სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტი

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ანნა ვარშანიძე

დასავლური ცივილიზაციის გავლენები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე

ნაშრომი წარდგენილია ისტორიის დოქტორიდ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

(სპეციალობა ისტორია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი ე. კახიძე

ბათუმი - 2022

შესავალი.....3

თავი I. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს დასავლურ ცივილიზაციასთან ურთიერთობის ისტორიულ-კულტურული წანამძღვრები.....**12**

1.1. ანტიკური პერიოდი.....12

1.2. შუა საუკუნეები 31

თავი II. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და დასავლური სამყარო XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში.....**49**

2.1 აჭარის ოსმალეთიდან გამოყოფის ისტორიულ-კულტურული ასპექტები.....49

2.2 ბათუმი - „საიმედო თავშესაფარი შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში“ XIX საუკუნის 60-70- იან წლებში.....65

2.3 ევროპული განათლება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX-XX სს მიჯნაზე)….80

2.4 საზოგადოებრივ-პოლიტიკური განწყობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XX ს დასაწყისში) 87

თავი III. აჭარა დასავლური ცივილიზაციის კონტექსტში თანამედროვე ეტაპზე.....**100**

3.1 საბჭოური პერიოდი.....100

3.2 პოსტსაბჭოური პერიოდი 113

დასკვნა.....**120**

გამოყენებულილიტერატურა.....**126**

შესავალი

დიქოტომიური ვექტორი: აღმოსავლეთი – დასავლეთი ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან ჩნდება მიკენისა და ტროას კოალიციების დაპირისპირებიდან, რაც ასე ნათლად აჩვენა გენიალურმა ჰომეროსმა თავის „ილიადაში“, რაც განსაკუთრებით ნათლად მის ორგანულ თუ ჩართულ ნაწილში, ე.წ. „ხომალდთა კატალოგში“ გამოჩნდა. ეს დაპირისპირება გაგრძელდა კლასიკურ, ელინისტურ და გვიანანტიკურ ხანაში და იმდროინდელი ბუმბერაზი ბერძენი თუ რომაელი ავტორების უკვდავ ქმნილებებში აისახა. ეს იდეოლოგიური დაპირისპირება გაგრძელდა ადრებიზანტიურ ხანაში, ხოლო ახ.წ. VIII ს–დან მძაფრი რელიგიური დატვირთვაც შეიძინა, რაც არაბებისა და თურქ–სელჩუკების ლაშქრობებში, ჯვაროსნულ ომებსა და ოსმალურ ექსპანსიაში გადაიზარდა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების, განმანათლებლობისა და ინდუსტრიული რევოლუციის ეპოქაში ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდა და XIX-XX სს მიჯნაზე პირველი ნობელიანტი ინგლისელი მწერლის რადიარდ კიპლინგის ცნობილ ფრაზაში ერთგვარი კვინტენსენციური ფორმა მიიღო: „დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი კი აღმოსავლეთი და ეს ორი ტყუპი ვერასდროს შეხვდება ერთმანეთს“ **(ვრცლად იხ. სურმავა 2018: 15–17).**

ბუნებრივია, მსოფლიო ომებისა და ბლოკური მოწყობის პირობებში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული ანტაგონიზმი არსად გამქრალა. ბევრი სხვა თეორიის გვერდით XX საუკუნის 70-იან წლებში ორიენტალისტიკაში ჩამოყალიბდა ცივილიზაციათა განვითარების წინააღდეგობრივი კონცეფცია, რომლის თანახმადაც, მსოფლიო ცივილიზაცია გაიყო ორ ნაწილად - დასავლეთად და აღმოსავლეთად, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი განვითარების ისტორია. საინტერესოა, რომ აღმოსავლური მიიჩნევა ცივილიზაციის განვითარების ნორმალურ გზად, დასავლური კი - გადახრად.

“დასავლეთი” დროითი, და არა წმინდა სივრცითი ცნებაა, მიუთითებს ვიტორიო სტრადა, რამდენადაც უნივერსალურ-ისტორიულ ჭრილში იგი ნიშნავს იმას, რასაც მოდერნს, მოდერნულობას უწოდებენ. სწორედ დასავლეთის მეშვეობით და დასავლეთში შეცვალა მოდერნმა ათასწლოვანი ტრადიციული საზოგადოება. ეს იყო

ერთადერთი დიდი რევოლუცია, რომელიც რამდენიმე ასწლეული გრძელდებოდა და რომლის ფარგლებში ცალკეული პოლიტიკური რევოლუციები, საფრანგეთით დაწყებული და რუსეთით დამთავრებული, მხოლოდ უბრალო ეპიზოდებია, რომლებიც ხან სტიმულის (საფრანგეთის რევოლუცია), ხან კი შემაფერხებლის (რუსეთის რევოლუცია) როლს ასრულებენ. გარკვეული თვალსაზრისით, "მოდერნის რევოლუცია" "აღმოსავლეთის დაისს", "დასავლეთის მზის ამობრწყინებას" ნიშნავდა.[1]

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცნებებს ხშირად ჩაენაცვლება ევროპისა და აზიის ცნებები. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ევროპა და აზია ერთი კონტინენტის – ევრაზიის ნაწილებია. გეოგრაფიული საზღვარი მათ შორის, არსებითად, პირობითია და სხვადასხვაგვარად ლოკალიზდება. თავდაპირველად იგი მდ. დუნაიზე გადიოდა. მონღოლ-თათართა შემოსევისა და კათოლიციზმის აღმოსავლეთისაკენ წინსვლის შემდეგ მან ლიტვის დიდი სამთავროს საზღვარზე გადაინაცვლა. XVIII საუკუნეში ევროპის საზღვარი ურალის ქედზე, მდ. ურალზე (იაიკზე), კავკასიონის ქედსა და ბოსფორის სრუტის გასწვრივ გაატარეს. უკვე ჩვენს დროში საზღვარმა კიდევ უფრო აღმოსავლეთით გადაიწია - სვერდლოვსკისა და ჩელიაბინსკის ოლქებზე, მდ. ემბაზე, სამხრეთით კი უკვე არა კავკასიონის ქედზე, არამედ მცირე კავკასიამდე, საქართველოსა და სომხეთის როგორც არა აზიური, არამედ ქრისტიანულ ქვეყნების უკიდურეს სამხრეთი საზღვრების გასწვრივ.

დასავლეთი და აღმოსავლეთი კაცობრიობის ისტორიაში არსებული მუდმივი ოპოზიციაა - წარმოგვიდგება ორი განსხვავებული კულტურული სივრცის სახით. ეს დაყოფა რა თქმა უნდა პირობითია, რადგან არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ეთნიკური თვალსაზრისით ერთგვაროვან გარემოს. მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ ამ საკითხის შესწავლით უფრო მეტად დასავლელი მეცნიერები ინტერესდებიან, რამაც გარკვეულწილად უფრო მეტად შეუწყო ხელი აღმოსავლეთის, როგორც ჩაკეტილ სივრცედ წარმოდგენას. რა თქმა უნდა, არადასვლელი ავტორებისათვის მსგავსი მიდგომა მიუღებელი აღმოჩნდა და უფრო მეტად გააღრმავა დაპირისპირება ამ ორ ცივილიზაციას შორის.

[1] http://www.culturedialogue.com/resources/library/civilresearches/index.shtml

დასავლეთ-აღმოსავლეთის ოპოზიციის არსებობას ჩვენი ქვეყანა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გრძნობდა. ის ხან ერთი მხარის გავლენის სფეროში გადანაწილდებოდა , ხან მეორის. ქართული კულტურა თუ ერთგან დასავლურობის მახასიათებელს აკმაყოფილებს , სხვაგან ასეთივე წარმატებით აღმოსავლურისას, ხან კი არც ერთს და არც მეორეს **(კაკიტელაშვილი 2000: 51).**

ცივილიზაციური და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ევროპა ერთგვაროვანი არ არის. აქ ჩამოყალიბდა დასავლეთქრისტიანული და აღმოსავლეთქრისტიანული ცივილიზაციები, ხოლო ევროპის სამხრეთ-დასავლეთით არსებობს მუსლიმური ცივილიზაციის კერები – თურქეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ალბანეთი და კოსოვო. მეცნიერები ვერც იმაზე თანხმდებიან, თუ სად გადის საზღვარი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის. ზოგისათვის იგი პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვარს ემთხვევა, ზოგისათვის ეს ხაზი ელბიდან ტრიესტისა და შემდეგ ხმელთაშუაზღვისპირეთისაკენ მიემართება, ზოგი კი ევროპის ამგვარ დაყოფას საერთოდ ხელოვნურად თვლის. საუკუნეთა მანძილზე ევროპის პოლიტიკური საზღვარი აღმოსავლეთისაკენ იწევდა - კათოლიციზმის, რომაული სამართალმემკვიდრეობისა და პროტესტანტული ეთიკის გავრცელების კვალობაზე.[2]

თანამედროვე საზოგადოებაში ჯერ კიდევ აქტუალურია საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ წარმოგვედგინა მოკლე ისტორიული მიმოხილვა საქართველოსა და დასავლური სამყაროს ურთიერთობიდან, კერძოდ კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაგალითზე შევეცდებით წარმოვაჩინოთ დასავლურ-ქართული ურთიერთობების პრაქტიკა.

როდესაც განვიხილავთ საქართველოს ურთიერთობას დასავლურ სამყაროსთან არ უნდა დაგვავიწყდეს რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობა, თუმცა ვფიქრობთ, რომ დასავლეთისაკენ მისწრაფება ქრისტიანობამდე გაცილებით ადრე არსებობდა და სწორედ ამის შედეგი იყო კონკრეტული ფაქტი - IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.

---

[2] http://www.culturedialogue.com/resources/library/civilresearches/index.shtml

კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ანტიკურობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან მის საფუძველზე განვითარდა ევროპული კულტურა, რომელიც თავის მხრივ, თანამედროვე დასავლური და გარკვეულწილად მსოფლიო ღირებულებების ბაზისს ქმნის. სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ ანტიკურ სამყაროსთან უთიერთობის შესაწავლა და განხილვა დიდად შეუწყობს ხელს სამომავლო პერსპექტივაში ქართულ-დასავლური ურთიერთობების უფრო საფუძვლიან გააზრებას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ ნაწილმა გამორჩეული როლი შეასრულა ძველი ქართული კულტურის ფორმირებაში. მისი ცალკეული მხარეების - სამცხის, ჯავახეთის ტაოს, შავშეთის, კლარჯეთის, გურიის აჭარის წარსულის შესწავლა ბევრ სიახლეს შესძენს ქართულ ისტორიოგრაფიას.

ბერძნული კოლონიზაცია, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში, მნიშვნელოვანი პერიოდია ჩვენი კულტურის ისტორიისათვის, ოთ. ლორთქიფანიძე პირდაირ მიუთითებს, რომ „კოლხეთის ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობამ რამდენადმე განსაზღვრა უფრო გვიან, ახ.წ პირველ საუკუნეებში, ქართული სახელმწიფოებრიობის ორიენტაცია დასავლურ-ქრისტიანულ სამყაროზე და ამით სათავე დაუდო ქართული ცივილიზაციის ევროპული განვითარების ტენდენციებს“ (**ლორთქიფანიძე 1998: 3**).

ელინისტურ სამყაროსთან ურთიერთობამ გავლენა მოახდინა კოლხეთის ეკონომიკურ ცხოვრებაზე, კულტურასა და იდეოლოგიაზე. ელინისტური პერიოდი კოლხეთში, ისევე როგორც მთელ მაშინდელ მსოფლიოში, ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებისა და სავაჭრო ურთიერთობების მანამდე არნახული აღმავლობის ხანაა. მატერიალურ კულტურაში ინერგება ანტიკური ფორმები. ვრცელდება ბერძნული რელიგიური კულტები, გაჩნდა ახალი საქალაქო ცენტრები, რომელთა მეშვეობითაც ადგილობრივი მოსახლეობა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას აფართოებს გარე სამყაროსთან.

კოლხეთის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო ძვ.წ II საუკუნის ბოლოდან როცა მან დაკარგა დამოუკიდებლობა და ანექსირბულ იქნა პონტოს სამეფოს მიერ. ეს აქცია ძვ.წ 111-110 წწ მოხდა. მართალია ამ ამბებზე ჩვენ კონკრეტული და

დაწვრილებითი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ აშკარაა, რომ ამ დროიდან კოლხეთი მოექცა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში და ძვ.წ 65 წლამდე მის სატრაპიას წარმოადგენდა.

აჭარის ტერიტორია, როგორც კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, როგორც ჩანს, პონტოს სამეფოს ხელქვეით მხარედ იქცა. ეს გასაგებიცაა, მეზობელი ტრაპეზუნტის ოლქიც მითრიდატე VI მიერ იქნა დამორჩიებული და პონტოს სამეფოში იქნა შეყვანილი.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს მოიცავს ურთიერთობა რომთან, ძველი საბერძნეთის შემდგომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო რომის შემადგენელი ნაწილი ხდება და ექცევა რომაული კულტურის გარემოცვაში.

ახ.წ აღრიცხვით IV საუკუნიდან იწყება ე.წ ბიზანტიური პერიოდი. გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში კულტურული სიტუაციის მკვეთრი ცვლილება არ მომხდარა. აქ განსაკუთრებით მძლავრობენ მცირეაზიული და ბერძნული ელემენტები რომაულის შერევით. ასე რომ, კავშირი დასავლეთთან კვლავ გრძელდება. ბიზანტიასთან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობისათვის ძალიან საინტერესოა 554 წელს ბიზანტიელი სარდლების მიერ ლაზიკის მეფის მეფე გუბაზის მკვლელობის ფაქტი. VI საუკუნის ბიზანტიელ ავტორს, აგათია სქოლასტიკოსს აღწერილი აქვს ამ მკვლელობის შემდეგ მოწვეული სახალხო კრების მსვლელობა, სადაც მიმდინარეობდა დავა ლაზიკის შემდგომი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე. ქრონიკის ტექსტიდან ცნობილია ორი გამომსვლელის - აიეტისა და ფარტაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ქართული ორატორული ხელოვნების შედევრებს **(კაკიტელაშვილი 2000: 54).**

დასავლეთის მონათესავეთ აღქმის საფუძველი ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომ ქრება. საქართველო ფაქტობრივად ჩამოშორდა იმ სივრცეს, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა დღევანდელი დასავლური საზოგადოება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპელ მისიონერებს დიდი წვლილი მიუძღვით საქართველო-დასავლეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში.

კაცობრიობის ისტორიის შინაარსს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კულტურათა და ცივილიზაციათა ურთიერთობის პროცესი, რომელიც მოიცავს ისტორიის როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ განზომილებას – იშლება დროსა და სივრცეში. კავკასია ყოველთვის ასრულებდა მნიშვნელოვან როლს, როგორც დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის.

„ამიერკავკასია მუდამ წარმოადგენდა არა მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ხიდს, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის საკონტაქტო ზონასაც, სხვადასხვა მტრული, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავი ცივილიზაციების გზაჯვარედინსაც. იგულისხმება არა მხოლოდ ევროპული და აზიური ცივილიზაციები, არამედ ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის ბინადარ-სამიწათმოქმედო და მომთაბარე სამყაროებიც“.[3] თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კავკასიის გავლით ოდითგან მოძრაობდნენ ხალხები, რელიგიები, კულტურები. კავკასია წარმოადგენდა, ერთსა და იმავე დროს, კულტურათა და ცივილიზაციათა გზაშესაყარსაც და გზაგასაყარსაც, ეს იყო ზემოთ ნახსენები ხიდიცა და ბარიერიც.

მრავალი ასწლეულის განმავლობაში ყველა კავკასიელი ხალხიდან შეიძლება ითქვას, მხოლოდ ქართველებსა და სომხებს ჰქონდათ მეტ-ნაკლებად მკაფიოდ გაცნობიერებული ეთნონაციონალური იდენტურობა. შუა საუკუნეებში და შემდეგაც ეთნიკურ წამონაქმნებს შორის არ არსებობდა მყარი და მტკიცე კავშირები, რომლებიც მათ დიდი ხნით გააერთიანებდა. ასეთი წარმონაქმნების წევრებს ჰქონდათ საერთო სახელწოდება, საერთო მითი წარმოშობის, საერთო ისტორიისა და სპეციფიკური კულტურის შესახებ. მათ ჰქონდათ, აგრეთვე, სოლიდარობის გრძნობა, ოღონდ არასახელმწიფო-პოლიტიკური თვალსაზრისით (სიტყვის თანამედროვე გაგებით). მაგალითად, შუა საუკუნეების ქართველებისა და სომხებისათვის იდენტურობა, პირველ რიგში, რელიგიური ტერმინებით გამოიხატებოდა.

[3] http://www.culturedialogue.com/resources/library/civilresearches/index.shtml

XIX საუკუნე არადასავლურ (ან ნაკლებადდასავლურ) საზოგადოებებში ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ხანაა. ეს პერიოდი სამეცნიერო ლიტერატურაში "ნაციონალიზმის ეპოქის" სახელით მოიხსენიება.

XIX საუკუნის დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთ მთავარ ლოზუნგს "ღრმა ძილიდან გამოღვიძების" ლოზუნგი წარმოადგენდა, რომელსაც ნაციონალისტები ქადაგებდნენ. ამის გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვები: "ოჰ,ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაგღვიძება?!" **(ჭავჭავაძე 1959: 11).** დასავლეთის მამარკირებელ სხვა ლოზუნგს "ძმობა, ერთობა, თავისუფლება", ასევე ვხვდებით ჭავჭავაძის პოეზიაში, კერძოდ, პოემაში "აჩრდილი".

ადრეულ ქართულ ნაციონალიზმთან მიმართებაში, საყურადღებოა ვაჟა-ფშაველას წერილი "პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი". შეიძლება ითქვას, რომ ეს სტატია მკვეთრად "ნაციონალისტურია", მიუხედავად იმისა,რომ ვაჟა ოდნავადაც არ გმობს კოსმოპოლიტიზმს. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა ვაჟას მოსაზრებების ნაციონალიზმის ჭრილში განხილვა. იგი არ იზიარებს თვალსაზრისს, რომ პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისევე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი არის პატრიოტი. ადამიანი, რომელიც საკუთარ ერს ემსახურება, მის კითილდღეობასა და განვითარებაში წვლილის შეტანას ცდილობს, ხელს უწყობს კაცობრიობის განვითარებას, რადგან ერის წიაღში შობილი საუკეთესო ადამიანები კაცობრიობას დიდ სამსახურს უწევენ. როგორც ერის განვითარებისთვის არიან მნიშვნელოვანი ცალკეული პიროვნებები, ასევე კონკრეტულ ერებს დიდი მნიშვნელობა აქვთ კაცობრიობისთვის. "ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა უნდა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში" **(იხ. ჩხეიძე 2009: 115).**

XIX საუკუნის 70-იანი წლები სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პერიოდია. ოსმალთა საუკუნოვანი ბატონობის დასასრული და ახალ სამყაროსთან ურთიერთობების დასაწყისი ძალიან დატვირთული აღმოჩნდა რეგიონისათვის, როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისითაც. პორტო-ფრანკოს პერიოდში ბათუმის ნავსადგურს

უამრავი საერთაშორისო გემი სტუმრობდა, რაც განაპირობებდა ქალაქში ევროპული კულტურის აქტიურ შემოდინებას, ადგილობრივი მოსახლეობა ეზიარებოდა დასავლურ ცივილიზაციას, ამ პერიოდის ბათუმის შესახებ მოგვეპოვება არა ერთი ევროპელი მოგზაურის ჩანაწერი, რაც საშულებას გვაძლევს წარმოდგენა შევიქმნათ XIX საუკუნის ბათუმზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე, მათ ყოფა-ცხოვრებაზე. საინტერესოა ასევე თვითონ მოგზაურთა შთაბეჭდილებები. ისინი ძალიან კარგად გადმოქვცემენ ინფორმაციას ქალაქის იერსახის შესახებ, მოსახლეობის ჩაცმულობისა და პიროვნული თვისებების შესახებაც კი.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის, მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობა სამხრეთ-დასავლეთი საქართელოს რეინტეგრაციის საქმეში. ილია ძალ-ღონეს არ იშურებდა რათა საზოგადოებისათვის ეჩვენები ამ კუთხის მნიშვნელობა და ისტორიული წარსული, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აკავშირებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დანარჩენ საქართველოსთან. მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ასევე იმ პერიოდის პრესა, რომელიც აქტიურად აშუქებდა ყველა მნიშვნელოვან ფაქტს, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი ბათუმს ეხებოდა. ასევე გავეცანით ადგილობრივ ავტორთა ნაშრომებს, რომლებიც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი რეგიონის კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდას და თავიანთ ნაშრომებში ძალიან კარგად გადმოგვცემენ აღნიშნული პერიოდის ბათუმში მიმდინარე პროცესების ანალიზს.

გამომდინარე იქედან,რომ ჩვენი ნაშრომი დასავლური ცივილიზაციის გავლენას ეხება, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ვისაუბროდ საქართველოს პირველი რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი აჭარის ისტორიის რიგ საკითხებზე, თუ რა დატვირთვა ჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე ბათუმსა და ბათუმის ნავსადგურს. ევროპის დიდი სახელმწიფოები ძალ-რონეს არ იშურებდნენ აქ გავლენის მოსაპოვებლად, ამაზე მეტყველებს საერთაშორისო კონფერენციებზე ბათუმის საკითხის წინა პლანზე წამოწევა.

უკვე საბჭოთა კომუნისტური მმართველობის დამყარების შემდეგ აჭარა, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში მოიაზრებოდა.

ყურადღებას ვამახვილებთ, ასევე იმ გარემოებაზე, რომ საბჭოთა ათეისტური იდეოლოგიის მქონე იმპერია, აჭარას რელიგიურ ნიადაგზე ანიჭებს ავტონომიას და ისე უერთებს საქართველოს რესპუბლიკას.

მართალია, დასავლეთთან ურთიერთობა უკვე ძალიან ბუნდოვანი ხდებოდა, რადგან საბჭოთა წყობა სწრაფად იკიდებდა ფეხს საზოგადოებრივი განვითარების თითქმის ყველა სფეროში, თუმცა ყველა უარყოფით თავის დადებითი ფაქტორიც შეიძლება ჰქონდეს და მართლაც შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კომუნისტურმა პარტიამ ხელი შეუწყო აჭარელი ქალის ემანსიპაციის პროცესს. მართალია, რთულია იმაზე მსჯელობა დადგებოდა თუ არა იგივე შედეგი რომ არა გასაბჭოება, მაგრამ ფაქტია, რომ კომუნისტურმა პოლიტიკამ ეს პროცესი უფრო მეტად დააჩქარა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო აჭარაში ქალთა ჩართულობა კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. აჭარის ქალების პოლიტიკურმა და კულტურულმა დაწინაურებამ, მათმა აქტიურობამ დღის წესრიგში დააყენა ჩადრის ახდის საკითხიც, რომელიც ხულოდან დაიწყო და 1929 წლის თებერვალში ქართველ მაჰმადიან ქალთა ყრილობის ბოლო დღეს ბათუმში აზიზიეს მოედანზე 30 დელეგატმა ქალმა ჩადრი საჯაროდ მოიხადა და დაწვა. მართალია, ბევრისთვის ეს ფაქტი მტკივნეულიც კი აღმოჩნდა, იყო ისეთი შემთხვევიბიც, როდესაც ჩადრის მოხსნას აიძულებდნენ. ეს იმას ნისნავდა რომ, არსებობდა მოსახლეობის ის ნაწილი რომლისთვისაც ისლამური წეს-ჩვეულებები ჯერ კიდევ პრიორიტეტული იყო.

დასავლეთთან ურთიერთობების ბოლომდე არგაწყვეტას მეორე ფაქტორმა, საზღვაო ფლოტმა და ავტონომიურ რესპუბლიკაში მომრავლებულმა მეზღვაურებმაც შეუწყეს ხელი. მოსახლეობის ეს, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა ინტენსიურ ურთიერთობაში იყო დასავლურ სამყაროსთან და თუნდაც მატერიალურ დონეზე ავრცელებდა მის მსოფმხედველობას. ამან და მრავალმა სხვა ფაქტორმა, უპირველეს ყოვლისა კი ისტორიულმა გამოცდილებამ, განაპირობა პოსტსაბჭოთა საქართველოს დასავლური ორიენტაცია, რომელმაც მე-20 ს-ის 90-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი ახალი საუკუნიდან მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ახალი ცივილიზაციური არჩევანის დატვირთვა მიიღო.

თავი I

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დასავლურ ცივილიზაციასთან ურთიერთობის ისტორიულ-კულტურული წანამძღვრები

1.1. ანტიკური პერიოდი

თანამედროვე საზოგადოებაში ჯერ კიდევ აქტუალურია საქართველოს კულტურლ-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, თუ საიდან იღებს სათავეს საქართველოს ურთიერთობა დასავლურ სამყაროსთან, რამდენად დიდია ანტიკური ცივილიზაცის გავლენები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე. იმისათვის რომ აღნიშნულ კითხვებს პასუხი გავცეთ აუცილებელია უკვე არსებული წყაროების შესწავლა და მათი საშუალებით საკითხის შეფასება. ისიც უნდა აღინიშნოს რომ ქართული კულტურის დასავლური ორიენტაციის შეფასება შეუძლებელი იქნება ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად დაგროვილი გამოცდილების გარეშე.

ცნება ანტიკური გაჩნდა აღორძინების ეპოქაში, როდესაც იტალიელმა ჰუმანისტებმა შემოიტანეს ტერმინი ანტიკური (antiquus - ძველი) იმ დროისთვის ცნობილ კულტურათა შორის ყველაზე ძველის - ბერძნულ-რომაული კულტურის განსაზღვრისათვის. ანტიკურ სახელმწიფოთა კულტურულმა მემკვიდრეობამ დიდი გავლენა იქონია ევროპის ყველა ხალხზე, მათ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ფილოსოფიაზე, რელიგიურ აზროვნებაზე, პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებზე (**ერიაშვილი 2016: 65**).

ნიშანდობლივია ქართველური ტომების ხანგრძლივი და ნაყოფიერი ურთიერთობა ბერძნებთან, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ჩვენში საქალაქო ცხოვრების განვითარების, ანტიკური სამყაროს ეკონომიკური და კულტურული მიღწევების დანერგვის საქმეში. ზემოთ უკვე მოვიტანეთ ოთ. ლორთქიფანიძის სიტყვები, საიდანაც ნათლად ჩანს ამ ურთიერთობების მნიშვნელობა.

ბერძენთა და ქართველთა შორის ურთიერთობები თითქმის ოთხ ათწლეულს - ორმოც საუკუნეს მოიცავს. მსოფლიოში ძნელია მოინახოს ამჟამად ისტორიის ასპარეზზე მოქმედი სხვა ისეთივე ორი ხალხი, რომელთა შორის კონტაქტი ესოდენ

ხანგრძლივი ტრადიცია ექნებოდა. ბერძნული მითების თანახმად, ევროპა მაშინ დაიბადა, როდესაც უზენაესმა ღმერთმა, ზევსმა, ხარის სახით მოვლენილმა, მოიტაცა მშვენიერი ფინიკიელი ასული ევროპე და კუნძულ კრეტაზე გადაიყვანა. მას ზევსისგან სამი ვაჟი შეეძინა - მინოსი, სარპედონი და რადამანთისი. მინოსი გახდა კრეტის ძლევამოსილი მეფე, რომლის დროსაც კუნძული თავისი კულტურით და ადამიანური შემოქმედების მრავალ სფეროში მიღწევებით მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაწინაურებულ რეგიონად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ცივილიზაციის უკიდურესი აღმოსავლური კერა აია-კოლხეთი იყო, სადაც ჰელიოსის ძე აიეტი მეფობდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰაინრიხ შლიმანის დაწყებულმა და შემდგომ არქეოლოგთა მთელი თაობების მიერ გაგრძელებულმა გათხრებმა ძვ.წ. II ათასწლეულში, ანუ ე.წ. ლეგენდარულ ბერძნულ მითებში ასახული ამბების ეპოქაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში ბრწყინვალე ცივილიზაციების არსებობა დაადასტურეს: კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილ კულტურას, მითიური მეფის სახელის მიხედვით მინოსური, კონტინენტურ საბერძნეთში აღმოჩენილს კი ჰომეროსის პოემებიდან ცნობილი ლეგენდარული მეფის, აგამემნონის სარეზიდენციო ქალაქის მიხედვით, მიკენური ეწოდა. ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ მათ დამკვიდრებამდე ისტორიული საბერძნეთის ტერიტორიაზე - ეგეიდა, ხმელთაშუა ზღვის კუნძულები და ბალკანეთის ნახევარკუნძული წინარებერძნულ ტომებს ეკავათ. მათი კულტურის აღმავლობამ თავისი უმაღლეს გამოხატულება მინოსურ კრეტაზე ჰპოვა. უკვე იმ შორეულ წარსულში, ბერძნული ტრადიციის თანახმად, წინაბერძნულ მოსახლეობასა და კოლხებს შორის ერთობ მჭიდრო ურთიერთობები არსებულა: მინოსის მეუღლე და მისი შვილების დედა კოლხეთის მეფის აიეტის და პასიფაე იყო, თავად აიეტის, სამკვიდრებელი საბერძნეთში მდებარე ეფირე ყოფილა, საიდანაც იგი კოლხეთში, ანუ თანამედროვე დასავლეთ საქართველოში გადასულა და იქ ძლიერი და მაღალგავითარებული კოლხეთის სამეფო შეუქმნია. აიეტის მეორე და კირკე კი, პირიქით აღმოსავეთიდან დასავლეთით დაძრულა და იტალიის ტერიტორიაზე

უძველესი კულტურების წარმოქმნის ერთ-ერთი უმთავრესი ბიძგის მიმცემი გამხდარა[4].

ამგვარად, უკვე ბერძნულ მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით, ძველ საქართველოსთან დაკავშირებული ფიგურები აქტიურად ყოფილან ჩართული იმ პროცესებში, რომლებიც ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში ბერძნების, ლათინების და სხვა ინდოევროპული ტომების დამკვიდრებამდე მიმდინარეობდა.

ბერძნულ-ქართული ურთიერთობების საწყისი ეტაპი არარეგულარული კონტაქტებით შემოიფარგლა, თუმცა დაგროვებულმა გამოცდილებამ, რომელიც ძირითადად არგონავტების მითში აისახა, მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი კოლხეთზე, როგორც ზღაპრულად მდიდარ ქვეყანაზე წარმოდგენის დამკვიდრებასა და შესაბამისად ელადასთან გაცილებით ახლოს განლაგებულ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთზე უფრო ადრე სინოპე-ტრაპეზუნტის ზოლის ათვისებას. მილეთის აქტიურობის შედეგად ბერძნები საფუძვლიანად აქ ძვ.წ. 631/630 წწ შემდეგ დაფუძნდნენ, როდესაც ხელმეორედ დაარსდა სინოპე და შესაბამისად მისი კოლონია ტრაპეზუნტი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ სინოპეს დაინტერესება ამ რეგიონით უპირველესად ლითონის მდიდარი საბადოებით ყოფილიყო განპირობებული. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ უფრო მოგვიანებით სხვა კოლონიებისა (კოტიორა, კერასუნტი) და სავაჭრო ფაქტორიების (ბათუმისციხე, ციხისძირი, ფიჭვნარი) დაფუძნება **(იხ. ხახუტაიშვილი, კახიძე 1989: 3-23).**

ელინები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც დამკვიდრდნენ, მაგრამ აქ ისეთი განვითარებული პოლისური ინფრასტრუქტურა ვერ შექმნეს როგორც სამხრეთ შავიზღვისპირეთში. ამის მთავარი მიზეზი კულხას დაცემის შემდეგ (ძვ.წ VII ს ბოლო) კოლხური კულტურის ცენტრის ჩრდილოეთისკენ საბოლოოდ გადაწევა და აქ ახალი სამეფო ჩამოყალიბებაში (ძვ.წ. VI ს) უნდა ვეძებოთ. ამ პერიოდისთვის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისთვის, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების დეზინტეგრაცია გრძელდებოდა, არახელსაყრელი საგარეო ვითარებაც შეიქმნა. კიროსის მიერ ბაბილონის აღების (ძვ.წ 539 წ) შემდეგ სპარსეთის ბატონობა

[4] https://intermedia.ge/

თანდათანობით აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მცირე აზიაშიც გავრცელდა. სამხრეთკოლხური ტომები მე-19 სატრაპიაში გაერთიანდნენ.

ბერძნულ კოლონიზაციაას გააჩნდა, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული მიზეზები. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს უნდა ყოფილიყო ლითონით დაინტერესება. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი პირველი კოლონია, რომელიც მილეთელებმა დაარსეს კოლხეტის ტერიტორიაზე, დიოსკურია, სტეფანე ბიზანტიელთან ცნობილია „ოქრომმრავალი კოლხეთის“ მეფის აიეტის დედაქალაქის - აიას სახელით. დიოსკურია აიეტის აია ნამდვილად არ არის, მაგრამ ეს ცნობა, საუკუნის მიწურულს მილეთის მიერ კოლხეთის კოლონიზაციის მიზეზი, როგორც ჩანს, ოქროს ძიებაა. მართალია, წერილობით წყაროებში „არსად არ ვხვდებით კოლხური ოქროს საექსპორტო დანიშნულების შესახებ“ (**ინაძე 1962: 102**), თუმცა თუ მილეთის საჭიროებებს გავითვალისწინებთ, კონკრეტულ მომენტში ბერძნების თავდაპირველად აქ მოსვლაში მაინც შეიძლება დავინახოთ ოქროს ძიების სურვილი. ძვ.წ VII საუკუნის მიწურულს მილეთმა ლიდიის მეფის თორმეტწლიან ალყას გაუძლო თრასიბულეს ტირანიის დროს. მილეთისთვის ოქროს მთავარი იმპორტიორი ლიდიის სამეფო იყო. სწორედ ძვ.წ VII-VI საუკუნეების მიჯნაზე მილეთის მიერ დაარსებული ახალშენების ფუნქცია, განსაკუთრებით კოლხეთში, რომელიც ცნობილი იყო თავისი ოქრომრავალობით, უნდა ყოფილიყო იმ დეფიციტის შევსება. როგორც ჩანს, სტეფანეს ცნობა გამოძახილია იმისა, რომ მილეთელები აქ თავიდან ოქროს ეძებდნენ. ძვ.წ VII საუკუნის მიწურულიდან, როდესაც მილეთს ომი აქვს ლიდიელებთან, მათთვის ოქროს მთავარი იმპორტიორთან, ისინი დაინტერესდნენ კოლხეთით.

თავდაპირველად ეს ურთიერთობები არ იყო იდეალური. ადგილობრივი მოსახლეობის და ბერძნების ეკონომიკური ინტერესები კონფლიქტში მოდიოდა, ადგილობრივები უტევდნენ ბერძნებს. თუმცა, მალევე კოლხურმა საზოგადოებამ გააცნობიერა ის სარგებელი, რაც ანტიკურ სამყაროსთან ინტენსიურ ურთიერთობებს მოჰქონდა. ამის შემდეგ თითქმის 4 საუკუნე (ძვ.წ. VI-III სს) ეს ურთიერთობები გაცხოველდა, გაიზარდა ეკონომიკური და კულტურული ზეგავლენები.

თუმცა, ჯერ ათენის შემდეგ კი აღმოსავლეთის ელინისტური ცენტრების დასუსტებამ კოლხური ახალშენების დეგრადირება გამოიწვია. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქები ზედმეტად იყვნენ მიჯაჭვულნი მეტროპოლიასთან, ამიტომ მათი დასუსტება მათ გარდაუვალ დეკადანს იწვევდა, ეს კი ადგილობრივი მოსახლეობის მათდამი ინტერესს აქვეითებდა. მაგალითად, ჰენიოხებმა დაკარგეს ინტერესი ბერძნულ ქალაქებთან ეკონომიკური კავშირისა, შეუტიეს კოლხეთის რიგ ბერძნულ ქალაქებს. ეკონომიკური მიზეზები პოლისის კვდომის განმაპირობებელი იმ შემთხვევაშია, როდესაც ქრება ის ეკონომიკური ინტერესი, რამაც ქალაქის დაარსება გამოიწვია - ადგილობრივებსა და ბერძნებს შორის ვაჭრობის ინტერესის გაქრობასთან ერთად პოლისები დეგრადირდებიან და კვდებიან.

კოლხეთის ძირითადი ბერძნული დასახლებებს (ფიჭვნარი, ფაზისი, დიოსკურია, გიენოსი) ყველას ერთი და იგივე სტატუსი და ფუნქცია არ ჰქონია, მით უფრო, მთელ მათი ისტორიის მანძილზე.

დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ, რომლის გავლენაც განსაკუთრებით ტრაპიზონ-გირესუნ-ორდუს სანაპირო ზოლზე იგრძნობოდა, ღრმა კვალი დატოვა მთელი კოლხეთის სამეურნეო საქმიანობაზე, სტიმული მისცა ვაჭრობასა და შესაბამისად სასაქონლო წარმოების განვითარებას, კიდევ უფრო გააღრმავა ქონებრივი დიფერენციაცია, განამტკიცა ქართული სახელმწიფოებრიობა და, რაც მთავარია, თავისი კვალი დატოვა ადგილობრივი მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაზე - შეიცვალა დამარხვის წესები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, გავრცელდა დიონისეს კულტი და ა.შ. ამ დროს შემზადდა თვისობრივად ახალი საფეხური, რომელმაც ფაქტობრივად განსაზღვრა რეგიონის მომავალი განვითარების მაგისტრალური მიმართულება. მხედველობაშია პონტოს ელინისტური სახელმწიფოს აღზევების ხანა, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაზე. ამის შემდგომ სამხრეთ კოლხეთის უდიდეს ნაწილში ისტორიული განვითარების ძირითადი დინება ქართული სახელმწიფოებრიობისთვის არასასურველ კალაპოტში ჩადგა, რომლისგან გადახვევა იშვიათი გამონაკლისების გარდა, ჩვენდა სამწუხაროდ, არ მოხერხდა. ასეთი ნეგატიური სიტუაცია თავისთავად ამ მხარის მომიჯნავე რაიონებზეც მოქმედებდა,

თუმცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომელიც ან უშუალოდ შედიოდა კოლხეთის სამეფოში, ანდა მის ძლიერ ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ანტიკური ცივილიზაციის ზემოქმედების ხარისხი დაბალი იყო, რამაც ბერძნებს საშუალება არ მისცა აქ პოლისური ინფრასტრუქტურა ჩამოეყალიბებინათ, როგორც ეს ტრაპიზონის მხარეში მოხდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნლეშიც ელინური კულტურის გავლენა არ იყო ისეთი ღრმა, როგორც სამხრეთ შავიზღვისპირეთის სხვა ცენტრებში რაც მოგვიანებით უფრო ნათლად გამოჩნდა (**კახიძე 2002: 14-18**).

ალექსანდრე მაკედონელის და მისი მიმდევრების ძლევამოსილი ლაშქრობების შედეგად ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული მსოფლიოში შეიქმნა ვეებერთელა კულტურული სივრცე, რომლის ფარგლებში ბერძნულ ენასა და კულტურას დომინანტური ადგილი ეჭირა. მას ახალ მეცნიერებაში ელინისტური, ანუ ბერძნულად მოლაპარაკეთა სამყარო უწოდეს. ფაქტობრივად, ეს იყო ანტიკურობაში მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის ყველაზე მასშტაბური ცდა. მისი სულისჩამდგმელის ალექსანდრე დიდის კონცეფცია ბევრ მსგავსებას გვიჩვენებს თანამედროვე გლობალისტურ იდეებთან. ბერძნულმა ამ დროს მსოფლიო ენის ფუნქცია მოიპოვა, ხოლო არმოსავლურ ელემენტებთან სინთეზირებულმა ბერძნულმა კულტურამ დანარჩენი სამყაროსათვის ერთგვარი მოდელის როლი იკისრა. ამ პროცესმა, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად გააფართოვა ქვეყნებისა და ხალხებს შორის მჭიდრო ურთიერთობების შესაძლებლობები, ხოლო, მეორე მხრივ, ბიძგი მისცა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში დიდ პოლიტიკურ და კულტურულ აღმავლობას.

სპეციალისტები, რომლებიც გვიანანტიკურ თუ ადრებიზანტიურ ხანაზე მუშაობენ, ერთხმად აღიარებენ, რომ ელინისტურმა ხანამ განსაკუთრებული გავლენა იქონია ამ ეპოქებზე. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან მთელი ეს, თითქმის ათსაუკუნოვანი ერა იმ სულიერი და შესაბამისად პოლიტიკური კრიზისის ნაყოფია, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ ძვ.წ IV ს-დან ჩაეყარა. ელინიზმი იმითაც იქცევს ჩვენს ყურადღებას, რომ ის ორი რადიკალურად განსხვავებული მენტალიტეტის, ერთი შეხედვით შეუთავსებელი დასავლური და აღმოსავლური კულტურების რეალური შერწყმის პირველი სერიოზული ცდა, "კომპრომისი" იყო, რაც

„საბოლოოდ” აღმოსავლური რელიგიების ევროპაში ტრიუმფალური სვლით დასრულდა. მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ რომაელების შავიზღვისპირეთში მყარად დამკვიდრებამდე კარგა ხნით ადრე, ძვ.წ. II ს პირველ მეოთხედში გამოიკვეთა ამ რეგიონის ერთიან პოლიტიკურ სისტემაში მოქცევის ტენდენცია, რასაც ამ იდეის ინიციატორ პონტოსა და დანარჩენ შავიზღვისპირულ ქვეყნებს შორის მწვავე დაპირისპირება, საბოლოოდ კი უცხო ძალის დამკვიდრება მოყვა (**კახიძე 2002: 19-23**).

ბერძნულ-მაკედონური ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს უშუალოდ არ შეხებია,მაგრამ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის ელინისტურ სახელმწიფოებთან უშუალო კონტაქტებმა ძველი კოლხეთი ელინიზმის სფეროში მაინც მოაქცია.

ელინისტურ სამყაროსთან ურთიერთობამ გავლენა მოახდინა კოლხეთის ეკონომიკურ ცხოვრებაზე, კულტურასა და იდეოლოგიაზე. ელინისტური პერიოდი კოლხეთში, ისევე როგორც მთელ მაშინდელ მსოფლიოში, ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებისა და სავაჭროს ურთიერთობების მანამდე არნახული აღმავლობის ხანაა. მატერიალურ კულტურაში ინერგება ანტიკური ფორმები; ვრცელდება ბერძნული რელიგიური კულტები; გაჩნდა ახალი საქალაქო ცენტრები, რომელთა მეშვეობითაც ადგილობრივი მოსახლეობა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას აფართოებს გარე სამყაროსთან.

ელინიზაციის პროცესს და ეკონომიკურ აღმავლობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალმა საერთაშორისო სატრანზიტო გზამ, რომელიც რიონ-ყვირილისა და მტკვრის მაგისტრალით შუა აზიას, ბაქტრიას და ინდოეთს ანტიკურ სამყაროსთან აკავშირებს.

გასული საუკინის უკანასნელი ათწლეულების მანზილზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა კიდევ ერთხელ ცხადყო ანტიკური სამყაროს გავლენა ჩვენს მიერ საკვლევ პერიოდში კოლხეთის მიდამოებსა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე. აქ ნაპოვნია მატერიალური ძეგლები, რომლებზეც ნათლად ჩანს ბერძნული კვალი: დაკრძალვის წესი, კერამიკის წარმოების აღმავლობა, სამშენებლო მასალების, კერძოდ კრამიტის წარმოება და ა.შ. მიგვანიშნებს რომ კოლხეთი ელინისტურ ხანაში ერთ-ერთი დაწინაურებული ქვეყანა იყო როგორც

ეკონომიკური ასევე კულტურული თვალსაზრისითაც.

ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნების მასალების მიხედვით ელინისტურ ხანაში გვხვდება ვერცხლის,ბრინჯაოსა და რკინის ნივთები, ვიგებთ ასევე იმას, რომ ელინისტურ ხანაში სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ დაწინაურებულ და გამორჩეულ დარგად რჩება მეთევზეობა.

ელინისტური ხანის ადგილობრივ მკვიდრთა რელიგიურ პანთეონში განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ასტრალურ ღვთაებებს. არსებობდა მზისა და მთვარის კულტი. დიდ პატივს სცემდნენ, აგრეთვე, მიცვალებულის კულტს, ცხედარს აყოლებდნენ სხვადასხვა დანიშნულების საგნებს, საგზალს და ა.შ. ასრულებდნენ სათანადო რიტუალს. ჩვენში ამ დროს თანდათანობით ფეხს იკიდებს უცხოური ღვთაებების (დიონისე, დემეტრა, აპოლონი, არტემიდე) თაყვანისცემაც. ადგილობრივ მკვიდრთა შორის ინერგებოდა ელინებისათვის დამახასიათებელი სამარხთა ტიპები და დაკრძალვასთან დაკავშირებული უცხოური წესებიც: აღაპის შესრულება, მიცვალებულისათვის მონეტების გატანება,სამარხში ამფორის ჩადგმა და ა.შ. (**კახიძე, ვაშაკიძე 2010: 51-76**).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გამოიკვეთა სამარხები რომლებიც მისი პატრონების საქმიანობაზე მიუთითებდა. პირველ რიგში აღსანიშნავია ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნებზე აღმოჩენილ მეთევზეთა სამარხები, რომლებიც შეიცავენ სათევზაო ბადის ტყვიის საძირავებს და ბრინჯაოს მასიურ ანკესებს. ასევე თითქმის ციხისძირის იმ სამარხებზე, რომლებშიც აღმოჩენილია რკინის თოხები.

შეიძლება ითქვას, რომ ელინისტურ ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სახეზე გვაქვს მაღალგანვითარებული, სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება თავისუფალი თუ დამოუკიდებელი მეთემეებით, სამოხელეო არისტოკრატიით, ქურუმებით, ხელოსნებით, ვაჭრებით მონებით დაწინაურებული მეურნეობითა და სულიერი კულტურით, განვითარებული გზებითა და საერთაშორისო კავშირებით.

აქემენიდთა სახელმწიფოში შემავალი ქართველური ტომები, მათი ნაწილი მაინც, ცენტრალური კოლხეთისგან განსხვავებით, ალექსანდრე მაკედონელის

იმპერიის შემადგენელობაში მოექცნენ. მისი სიკვდილის შემდეგ დიადოხოსები ქართველურ და მის მეზობლად განლაგებულ სომხურ სამყაროში უფრო საფუძვლიანად იკიდებენ ფეხს. ჭოროხის ქვემო წელზე „არსიანითგან ზღუამდე“ გადაჭიმულ ტერიტორიაზე კლარჯები (არიან-ქართველები) ბატონდებიან, სადაც პატარა მმართველების ადგილს მთავარი (აზონი) იკავებს. ამ უკანასკნელის მიერ პროვოცირებული მოვლენების, რაც, შესაძლოა, ელინიზმის გაფართოებისკენ ბუნებრივი სწრაფვის კონტექსტში ჩაჯდეს, შემდეგ ძვ.წ. IV ს ბოლოდან ყალიბდება და სელევკიდების ელინისტური სახელმწიფოს მხარდაჭერით თანდათან ძლიერდება აღმოსავლურქართული სახელმწიფო, რომელიც თავისი საგარეო ინტერესების კონცენტრაციას ძირითადად დასავლეთის მიმართულებით ახორციელებს.

აქ კი საკმაოდ საინტერესო ტენდენციები იკვეთება. მაგალითად, ფიჭვნარში საქალაქო ცხოვრება კიდევ უფრო მძლავრ ხასიათს იღებს, იზრდება დასახლების ფარგლები, ჩნდება ახალი სამაროვანი, თუმცა ძვ.წ 330 წ. ბერძენთა კვალი ქრება და იმპორტული ნაწარმის მრავალრიცხოვნობის მიუხედავად წამყვანი ადგილობრივი მასალა ხდება. ანალოგიური სიტუაციაა ციხისირში, ბათუმსა და გონიოში. დასავლური მსოფმხედველობის შეღწევის მიუხედავად მსგავსი სურათი გვხდება სულიერი ცხოვრების სფეროში, რომელშიც საკმაოდ ახლო მდებარე რეგიონებისგან (კარია, სირია, ფინიკია) განსხვავებით, სადაც III-I სს ადგილობრივმა კულტებმა ბერძნული სახელები დაიმკვიდრეს, წამყვანი კვლავ ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენებია (**უფრო ვრცლად იხ. კახიძე 2002: 24-25**).

განსხვავებული სიტუაციაა კოტიორა-კერასუნტ-ტრაპეზუნტის სანაპირო ზოლზე, სადაც ფარნაკე I (ძვ.წ. 185-169 წწ) მმართველობის ხანამდე სინოპეს ჰეგემონია გრძელდებოდა. ადრეელინისტური ხანიდან ის და სხვა სახრეთშავიზღვისპირული ცენტრები პონტოს ვაჭრობაში წამყვან როლს ასრულებენ. ნიშანდობლივია, რომ ამავე დროისთვის წარმოქმნილი ადგილობრივი სახელმწიფო ერთეულები კაპადოკია, პაფლაგონია, ბითვინია იმდენად სუსტები არიან რომ მცირედი გამონაკლისის გარდა, ყველაზე უფრო უმნიშვნელო ელინური პუნქტის დამორჩილებასაც კი ვერ ახერხებენ.

ძვ.წ II ს-დან კოლხიდა/ეგრისი, რომელიც ადრეკლასობრივი სახელმწიფო

ტრადიციების მატარებელი იყო და აქედან გამომდინარე საერთოდ სუსტი ცენტრალიზაციით ხასიათდებოდა, საბოლოო დაშლის გზას დაადგა. ამას სელევკიდების სამეფოს დაცემა და შესაბამისად იბერიის დასუსტება დაერთო. დეზინტეგრაციის ტენდენციებმა არც მესხეთს აუარა გვერდი. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით უკვე ძვ.წ II ს მეორე ნახევარიდან შეინიშნება კოლხეთის ქალაქების (მათ შორის ფიჭვნარის) საერთო კრიზისი. იგივე ვითარებას ვაწყდებით ორდუ-გირესუნ-ტრაპიზონის საზღვაო ზოლზე, სადაც ადრეანტიკურ ხანაში საკმაოდ მრავლად მოიპოვებოდა ბერძნული დასახლებები, რომლებმაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის ან შეწყვიტეს არსებობა ანდა უმნიშვნელო პუნქტებად გადაიქცნენ.

რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვაკუუმი, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანმოკლე აღმოჩნდა. უკვე ძვ.წ II დასაწყისიდან სომხური სახელმწიფოები მიიწევენ დასავლეთისკენ სინოპეს შემოერთების (ძვ.წ. 183 წ.) შემდეგ პონტოს მეფე ფარნაკე I დაახლ. ძვ.წ 180 წ. აარსებს ქ. ფარნაკიას აღმოსავლეთისკენ ექპანსია შემდეგ ხანებშიც მიმდინარეობდა და ამ ქვეყნის საზღვრებმა მითრიდატე ევპატორის (ძვ.წ 111-63 წწ.) გამეფებამდე ჰალისს, ტიბარენიასა და მცირე არმენიას, ხოლო II ს ბოლოსთვის ქალდებითა და ტიბარენებით დასახლებულ მიწებსაც (ტრაპეზუნტსა და ფარნაკიამდე) მიაღწია (Strabo, XII, 3, 28) ამის შემდეგ ევპატორმა მთელი კოლხეთი დაიმორჩილა (Strabo, XI, 2, 18; XII, 3, 1). ყველაზე მთავარი, რაც მოხდა და რაც მომდევნო ხანებშიც ხშირად განმეორდა, იყო ის რომ უცხო ძალამ პოლიტიკურად გაერთიანა კოლხეთი.

მითრიდატე ძირითადად სანაპირო ზოლსა და ჰინტერლანდის მიმდებარე ოლქებს აკონტროლებდა, ამიტომ დეკადანსის გზაზე დამდგარ ზღვისპირა ქალაქების მხარდაჭერით იყო დაკავებული ელინისტური ცივილიზაციის ზეგავლენა განსაკუთრებით თანამედროვე ორდუ-გირესუნის სექტორში იგრძნობოდა. სტრაბონის მიხედვით თემისკირა და სიდენა ლევკოსირების გავლენის ქვეშ მყოფ ამისოელებს ეკუთვნოდათ. ფარნაკია პონტოს სამეფოს შემადგენლობაში სპილენძის მონეტასაც კი ჭრიდა და რომაულ ხანაშიც განაგრძობდა სისხლსავსე ცხოვრებას.

ელინისტურმა მონარქიებმა, რომლებიც პოლისური წყობის გადაგვარების

შედეგად წარმოშობილი კრიზისის დაძლევის საშუალებად მოგვევლინენ, როგორც მოსალოდნელი იყო დროებით მოხსნეს ობიექტურად არსებული წინააღმდეგობები და გზა რომს გაუხსნეს.

როგორც მიიჩნევენ, რომაული აზროვნების ცენტრში მითოლოგიური და ისტორიული წარსულის გმირებისადმი გაჯიბრების დაუოკებელი ჟინი იდგა. აქედან მომდინარეობდა კვაზი-ჰომეროსული იდეოლოგია, ალექსანდრე მაკედონელის მიღწევების გამეორებისა თუ დაჩრდილვის მისწრაფება და სხვა ისტორიულ-მითოლოგიური მოვლენების რემისცენცირების სურვილი. ბუნებრივია, დიდი პოპულარობით სარგებლობდა თქმულება არგონავტთა ლაშქრობაზეც. დ. ბრაუნდის თანახმად, სწორედ ამ უკანასკნელმა ფაქტორმა, წარსულის გმირებთან პაექრობის იდეოლოგიურ ტრადიციასთან ერთად, გადამწყვეტი როლი ითამაშა კავკასიისკენ ლტოლვაში. მისი აზრით, შემთხვევითი არაა, რომ პომპეუსი კოლხეთში არგონავტების დაშქრობით, დიოსკურების, ჰერაკლეს და პრომეთეს მითებით, ასევე ოქროს საწმისის მოპოვების ტექნოლოგიით ინტერესდებოდა (**Braund 1994: 186**).

რა თქმა უნდა, ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს კონკრეტული პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მიზეზებიც გააჩნდა. გვიანრესპუბლიკურ ხანაში რომს, რომელმაც თითქმის მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი შემოიერთა მისი უზარმაზარი ბაზრით, პროვინციელი მონათმფლობელებით, მოქალაქეებისა და არამოქალაქეების რთული ურთიერთობებით, ვერ აკმაყოფილებდა სახალხო კრებით, წარჩინებულთა ვიწრო წრეზე ორიენტირებული სენატითა და ყოველწლიურად განახლებული მაგისტრატურებით წარმოდგენილი სახელმწიფო აპარატი.

ბუნებრივია, რომაელებს კავკასიაში უფრო „ვიწრო“ სამხედრო-სტრატეგიული ამოცანებიც ამოძრავებდათ. როგორც ცნობილია, პონტოს საბოლოო განადგურებისა და არმენიის დაპყრობის შემდეგ პომპეუსი ანტირომაულ ბანაკში შემავალ იბერიასა და ალბანეთში შეიჭრა, რომლებიც არმენიის ერტგვარ ზურგს წარმოადგენდნენ. ასე რომ, რომაელები სხვა მიზეზებთან ერთად (მითრიდატეს დევნა, მისი მოკავშირეების დასჯა, კავკასიონის გადასასვლელები, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან დამაკავშირებელი არტერია, აღმოსავლეთთან სავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთ-ერთი შტო) დაინტერესებულნი იყვნენ არმენიის (რომლის ცენტრი უკვე არაქსის შუა

დინებაზე მდებარეობდა) სამხრეთკავკასიელი მოკავშირეების (Plut., Luc., XXVI, XXXI) როგორც მომავალი ანტირომაული გამოსვლების შესაძლო ცენტრების მოშლით.

ძვ.წ I საუკუნის 60-იანი წლების დასაწისიდან პონტოს სამეფოს ბრძოლა რომთან გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჯერ ლუციუს ლუკულუსმა დაამარცხა პონტოს მეფე მითრიდატე VI, ხოლო ძვ.წ. 66 წელს მეორე რომაელმა მხედართმთავარმა გნეიუს პომპეუსმა არა მარტო გაანადგურა პონტოს სამეფოს სამხრედრო ძალები, არამედ აიძულა მითრიდატე VI გაქცეულიყო და კოლხეთისთვის შეეფარებინა თავი. ამის შემდეგ მან მორჩილებაში მოიყვანა მითრიდატე VI მოკავშირე დიდი არმენიის მეფე ტიგრან II, ხოლო 65 წ გაზაფხულზე იბერიაში (ქართლში) შეიჭრა **(ლომოური 2007: 321).**

მიუხედავად იმისა, რომ რომაული წყაროები ზემოარნიშნულ მოვლენებს საკმაოდ სრულად აშუქებენ, მათში საქართველოს ცალკეულ კუთხეთა მონაწილეობა ასახული არ არის და კონკრეტულად თუ როგორი იყო ისტორიული აჭარის პოზიცია პონტო-რომის ომების და რომაელთა მიერ კოლხეთისა და იბერიის დალაშქვრის დროს ჩვენ არ ვიცით.

ერთადერთი რაც შეიძლება დავადასტუროდ არის ის რომ კოლხეთში აქცეულ მითრიდატეს უდავოდ აჭარის ტერიტორიაზე უნდა გაევლო. პომპეუსის იბერია-კოლხეთში ლაშქრობის შემდეგ დასავლეთი საქართველო (კოლხეთი) სამმართველოდ გადაეცა ვინმე არისტარქეს. როგორც ჩანს იგი ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელი, ერთ-ერთი სკეპტუხთაგანი იყო, რომელმაც საფიქრებელია კონფლიქტის დროს პომპეუსის მხარე დაიჭირა.

თუკი სომხეთი, იბერია და ალბანეთი პომპეუსის ლაშქრობათა შედეგად რომზე პოლიტიკურად დაქვემდებარებულ ქვეყნებად იქცნენ, უფრო დასავლეთით მდებარე მხარეებში (პონტო, მცირე არმენია, კოლხეთი), რომლებიც ადრე მითრიდატე ევპატორის სამეფოს შეადგენდნენ, რომაელებმა უფრო მეტად მოიკიდეს ფეხი. დაახლოებით 18 წლის განმავლობაში კოლხეთი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც არისტარქე მართავდა (App., Mithr.,114; Eutrop., Brev., VI, 14; Fest., XVI). სტრაბონის დროისთვის კლარჯეთსა და შავშეთ-აჭარაში ჯერ კიდევ ძლიერია შიდა კოლხეთის გავლენა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ დღევანდელი

აჭარა და ართვინი, შეიძლება რიზეს მხარის ნაწილიც, ზემოთხსენებულ გაერთიანებაში შედიოდა. რაც შეეხება რეგიონის დანარჩენ ნაწილს (ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის სანახები), სტრაბონის თქმით, პომპეუსმა ის გალათიის ვასალური სამეფოს შემადგენლობაში მოაქცია (XII, 3, 13). ძვ.წ I ს. მეორე ნახევარში კოლხეთი რომაელების მცირეაზიელი მოკავშირეებისა და მითრიდატე პონტოელის მემკვიდრეების ბრძოლის ასპარეზად იქცა. ამას დაემატა მთიელთა გამანადგურებელი შემოსევები. სიტუაციას ამძაფრებდა ცენტრალიზირებული ხელისუფლების არარსებობა. სწორედ ამ მიზეზთა გამო ჩვენთვის საინტერესო რეგიონი, ისევე როგორც დანარჩენი კოლხეთი, ანტონიუსის მიერ 40-იანი წლებიდან დაწყებული რეორგანიზაციის პასიურ ობიექტად იქცა, რომლის შედეგადაც პონტოს აღმოსავლეთმა ნაწილმა დაიბრუნა სახელმწიფოებრიობა (ძვ.წ 41-36 წწ.) და მოგვიანებით მის შემადგენლობაში მთელი კოლხეთი მოექცა.

მიუხედავად იმისა, რომ ელინიზმი ღრმად არ შეჭრილა ფართო მასებში, ის რომაული გავლენის მთავარი საშუალება იყო აღმოსავლეთში. სწორედ ამ ეპოქის გამოცდილებიდან გამომდინარე დაიწყო ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთის პონტოს დაყრდნობით გაერთიანება. დ. ბრაუნდი ფიქრობს, რომ საფორტიფიკაციო ნაგებობა აფსაროსში სწორედ ამის შემდეგ, პოლემონების ბატონობის ხანაში (ახ. წ. I ს. პირველი ნახევარი) ააგეს (**Braund 1994: 45**). საერთოდ, ამ ეპოქაში საქალაქო ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში პოლემონიონსა და ტრაპეზუნტში მაინც, ძალზედ დაწინაურდა.

აღსანიშნავია, რომ ბოსფორისგან განსხვავებით, რომელმაც პოლემონს წინააღმდეგობა გაუწია, კოლხეთში, სადაც ცენტრალური ხელისუფლება დიდი ხანია არ არსებობდა ახალ ხელისუფლებას სერიოზული სირთულეები არ შეხვედრია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ კოლხეთში, ისევე როგორც ქართლში ძველი აღმოსავლური საზოგადოებების მსგავსად გვაროვნული საზოგადოების ძირითადი ნაწილი დიდხანს, ფეოდალური ურთიერთობების საბოლოო გაბატონებამდე, ინარჩუნებს ძლიერ პოზიციებს ეკონომიკაში, შესაბამისად ქვეყნის ცხოვრების სხვა სფეროებშიც. ამგვარ, გარდამავალი ტიპის ფორმაციაში დიდი როლს ქურუმობა ასრულებდა.

ფაქტობრივად, ის გაბატონებული ფენა, ხოლო ქართული სახელმწიფოები თეოკრატიული სახის სახელმწიფოები იყვნენ. მსგავსი სიტუაცია გვხდება კაპადოკიაში, სადაც სამეფო ხელისუფლება არ იყო ცენტრალიზირებული, ხოლო ქურუმობა, რომელიც სატაძრო ტერიტორიებს (ნახევრადქალაქური ცენტრებით) აკონტროლებდა და საზოგადოების წამყვან ფენას წარმოადგენდა მემკვიდრეობითი „სატრაპების“ სიძლიერე შეიმჩნევა მცირე არმენიაშიც .

ძვ.წ 48 წლამდე კოლხეთსა და არისტარქეს შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ამ წელს კოლხეთი კვლავ პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების ასპარეზად იქცა. როგორც ცნობილია, ძვ.წ 60 წეს რომის იმპერიას სათავეში ჩაუდგა ე.წ. პირველი ტრიუმვირატი პომპეუსის, იულიუს კეისრისა და მარკუს კრასუსის შემადგენლობით. 53 წ კრასუსი დაიღუპა პართელებთან ბრზოლაში, ხოლო 49-48 წწ დიდი ხნით ადრე მომწიფებული კონფლიქტი პომპეუსსა და კეისარს შორის მათ აშკარა შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, რაც პომპეუსის სრული დამარცხებით და მისი დაღუპვით დასრულდა. პომპეუსის დევნისას იულიუს კეისარი ეგვიპტეში აღმოჩნდა, სადაც ხელი შეუწყო ეგვიპტეში კლეოპატრას გამეფებას.

ძვ.წ 47 წელს ზელასთან, მცირე აზიაში, იულიუს კეისარმა გაანადგურა ფარნაკეს ჯარი და აიძულა იგი ბოსფორში გაქცეულიყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სამეფოც მისთვის დაკარგული იყო: მას აუჯანყდა ბოსფორის გამგებლად დატოვებული მხედართმთავარი ასანდრე, რომელთან ბრძოლაშიც ფარნაკე დაიღუპა. ამასობაში კეისარმა ბოსფორის დაკავება და ასანდრესთან ანგარშწორება თავის მხედართმთავარს მითრიდატე პერგამონელს დაავალა, მაგრამ მითრიდატესაც ხელი მოეცარა - ასანდრესთან ბრძოლაში ისიც დაიღუპა **(ლომოური 2007: 323).**

ჩვენთვის ამ მოვლენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში კოლხეთი აღმოჩნდა ჩართული. როგორც აღვნიშნეთ, ფარნაკმა კოლხეთი დაიკავა. სამწუხაროდ არაფერია ცნობილი როგორ წარიმართა ეს აქცია. მაგრამ სტრაბონის ერთი ცნობა იძლევა ვივარაუდოთ, რომ ფარნაკმა იაღარის ძალით ჩაიგდო ხელში კოლხეთი. აღწერდა რა კოლხეთს მდინარე ფაზისისა და მტვრის დინებას, სტრაბონი აღნიშნავდა: „მოხსენებულ მდინარეებს ზემოთ, მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული, და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ

სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც (სამლოცველო-სამისნო) მდიდარ იყო, ხოლო ჩვენ დროს იგი ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული“ (XII, 3, 15).

ამრიგად ძვ.წ 48-47 წწ. კოლხეთი მნიშვნელოვანი მოვლენების მოწმე გახდა, აღნიშნული მოვლენები ნაწილობრივ აჭარის ტერიტორიაზე თუ არა მის უშუალო სიახლოვეს ხდებოდა.

რომში მალე კვლავ შინაგანი არეულობა დაიწყო. ძვ.წ 44 წ იულიუს კეისარის მოკვლის შემდეგ ერთმანეთს ე.წ. კეისრიანელები და რესპუბლიკელები დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ ხელისუფლება გადავიდა კეისარის მომხრეთა ხელში, რომელთაც შექმნეს მეორე ტრიუმვირატი გაიოს ოქტავიანეს, მარკუს ანტონიუსისა და ლეპიდეს შემადგენლობით. ტრიუმვირებმა გაინაწილეს პროვინციები: აღმოსავლეტი ერგო ანტონიუსს და მაშინვე აზიაში გაემართა. აქ რომის ძალაუფლება საკმაოდ შერყეული იყო და ანტონიუსმა გაატარა სხვადასხვა ღონისძიებები რომის გავლენის აღსადგენად. ამ ღონისძიებათა შედეგად შეიცვალა აღმოსავლური მართვის სისტემა, რომელიც დამკვიდრებული იყო ჯერ პომპეუსის შემდეგ კი კეისრის მიერ. აღდგენილ იქნა პონტოს სამეფო, რომლის სატავეში ანტონიუსმა ჯერ ფარნაკეს ძე დარიუსი დააყენა, რომელიც შემდგომ კილიკიის მმართველმა პოლემონმა შეცვალა. წყაროები არაფერს ამბობენ იმის შესახებ თუ რა მდგომარეობა იყო ამ დროისათვის კოლხეთში, ვინ მართავდა მას მითრიდატე პერგამონელის დაღუპვის შემდგომ. მოგვიანებით სტრაბონის ცნობით, კოლხეთს პოლემონი დაეუფლა.

ამრიგად, კოლხეთი პოლემონის პონტოს შემადგენლობაში აღმოჩნდა და ასე რჩებოდა იმპერატორ ნერონის ხანამდე (ახ.წ 54-62 წწ.). მართალია, კოლხეთი არ იქცა რომის პროვინციად, მაგრამ იგი მთლიანად იყო მოქცეული მისი პოლიტიკური გავლენის სფეროში.

ეს პერიოდი, განსაკუთრებით კი პირველი ორი საუკუნე ანტიკური სამყაროს განვითარების უმაღლესი ეტაპია.[5] მისი ძირითადი მახასიათებელია მწვავე

[5] მატერიალურ კულტურაში მკვეთრად ჩანს ანტიკური გავლენა. მაგალითად, ამ დროს კოლხეთში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა საკულტო სკულპტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთი

კონფლიქტი, რომელიც ერთპიროვნულ ძალაუფლების დამყარების ისტორიულ აუცილებლობასა და რესპუბლიკურ ტრადიციებისადმი ერთგულ საზოგადოებრივ აზრს შორის წარმოიქმნა და რომლის გადაჭრის ნებისმიერი, ოდნავ ქმედითუნარიანი ცდაც კი სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მისგან საკმაოდ მოშორებულ ტერიტორიებზეც.

ნერონის იმპერატორობის დროს პოლემონის პონტოს პოლიტიკური მგდომარეობა შეიცვალა. როგორც ცნობილია, ნერონს განზრახული ჰქონდა პართიის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ლაშქრობის მოწყობა, რის გამოც მისთვის აუცილებელი იყო შავიზღვისპირეთში თავისი პოზიციები განემტკიცებინა. ახ.წ. 63 წელს გაუქმდა პოლემონის პონტოს სამეფო და მისი ტერიტორია რომის პროვინციად გამოცხადდა. ახალი პროვინციის სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრად და რომაული ფლოტის მთავარ ბაზად ქ.ტრაპეზუნტი იქცა. ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ კოლხეთი, როგორც პოლემონის პონტოს შემადგენელი ნაწილი, ახალადფორმირებულ რომაულ პროვინციაში შევიდა. როგორც ჩანს, კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებსა და სიმაგრეებში ნერონის დროს ჩაყენებული იყო რომაული გარნიზონები. მართალია, ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ რომაული გარნიზონები არმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ ვესპასიანეს დროის იქნა ჩაყენებული, მაგრამ საერთო სიტუაცის გათვალისწინებით და ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემი აშკარად მიუტითებს, რომ კოხეთის ზოგიერთ პუნქტში მაინც, რომაული გარნიზონი სწორედ ნერონის დროიდან უნდა მდგარიყო.

პონტოს სამეფოს რომის პროვინციად ქცევამ უდავოდ გაზარდა ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაცია, გადიდდა გადასახადები; როგორც სხვა პროვინციებში, აქაც გაჩნდნენ გადასახადის ამკრებნი ე.წ. პუბლიკანები, რომლებიც გადასახადების აკრებას იჯარით იღებდნენ. გაუარესდა ქალაქების მდგომარეობა, რადგან მათ დაკარგეს ის შეღავათები, რაც ანტონიუსმა და ოქტავიანე ავგუსტუსმა მიანიჭეს. ყოველივე ამან გამოიწვია რომის უშუალ ბატონობით უკმაყოფილების ზრდა, რაც

მხვრივ ძველი, ტრადიციული ფორმებისა და ნიმუშების შენარჩუნება-განვითარება, ხოლო მეორე მხვრივ იმპერიის პროვინციის პერიფერიული რეგიონისთვის დამახასიათებელი პრიმიტიულობა და სქემატიზმი. ჩანს ადგილობრივი მოსახლეობა თავისებურად აღიქვამდა ბერძნულ-რომაულ სამყაროში გავრცელებულ ღვთაებათა სახეებს. სხვათაშორის, ამ მხრივ საინტერესოა არიანეს ერთი ცნობა, რომლის მიხედვით ტრაპიზონტში ადრიანეს ქანდაკება იდგა, რომელიც საკმაოდ უხარისხოდ იყო შესრულებული და არ გავდა თავის პროტოტიპს **(კახიძე 2002: 130).**

მალე პონტოში ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებაში გადაიზარდა (**ლომოური 2007: 326**).

ანიკეტის აჯანყებას აშკარად გამოხატული ანტირომაული ხასიათი ჰქონდა და, როგორც ფიქრობენ, გი შემოსაზღვრული იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროთი. ამავე რეგიონში უნდა ყოფილიყო. სედოხეზების ტომიც და არა ცენტრალურ კოლხეთში, როგორც ეს მკვლევართა უმრავლესობის მიერაა მიჩნეული.

როგორი პოზიცია ეკავა ამ მოვლენების მიმართ კოლხეთის მოსახლეობას, ჩვენ კონკრეტულად არ ვიცით, მაგრამ ეს აჯანყება უდავოდ გამოხატავდა საერთოდ პონტოსპირეთის აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობის განწყობილებას. ამ აჯანყებამ შეასრულა გარკვეული როლი რომისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის შემდგომ ურთიერთობაში. რომის ხელისუფლებას უნდა დაენახა, რამდენად საშიშია შემდგომი ექსპანსია და უნდა წასულიყო რეჟიმის შერბილებაზე. რომის სამხედრო პოტენციალის შესუსტების, დამორჩილებულ ხალხთა და ტომთა აქტივიზაციას, პართიის სამეფოსთან მუდმივი კონკურენციის პირობებში რომს არ შეეძლო თავისი გავლენა, თავისი პოზიციები ამიერკავკასიის ქვეყნებში და კერძოდ კოლხეთში დარტყმის ქვეშ დაეყენებინა. ანიკეტის აჯანყებამ ცხადყო, რომ ასეთი დარტყმის საშიშროება არსებობდა. საერთო ისტორიული სიტუაციის გატვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ რომი იძულებული იყო ეცნო ერთგვარი დამოუკიდებლობა კოლხეთის ეთნოტერიტორიულ ერთეულთა მეთაურებისა, რათა შეენარჩუნებინა მათზე მეტნაკლებად რეალური ბატონობა და გავლენა სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახ.წ I საუკუნის ბოლოს თუ II საუკუნის დასაწყისში ნახევრადდამოუკიდებელი სამეფოთა თუ სამთავროთა წარმოქმნისა.

ახ.წ II ს დასაწყისისთვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულთაგან ცენტრალური ადგილი ლაზების სამეფოს ეჭირა. ლაზებს, ანუ ქართული წყაროებით ეგრებს, ეჭირათ მდ. რიონ-ფაზისის ორივე სანაპირო აჭარიდან ვიდრე მდ. ერისწყალამდეა ანუ თანამედროვე ღალიძგამდე. სამხრეთიდან მათ ესაზღვრებოდნენ ე.წ. ძიდრიტები, რომლებიც ქართლის სამეფოს ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო ჩრდილოეთიდან აფშილები.

შემდგომ ორ საუკუნეში ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფომ თანდათანობით შესძლო მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. ის რომ სწორედ ეგრისის სამეფომ მოახერხა დანარჩენ პოლიტიკურ ერთეულთა შორის დაწინაურება და მათი დაქვემდებარება, სავსებით კანონზომიერი იყო. ეს, უპირველეს, ყოვლისა ამ სამეფოს მეურნეობრივი მდგომარეობით უნდა აიხსნას. ძველი კოლხეთის ცენტრალურ და ყველაზე ნაყოფიერ ნაწილში განლაგებული ეგრისი დასავლეთ საქართველოს წამყვან რგიონს წარმოადგენდა.

„პერიპლუსი“ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროთა პოლიტიკური ვითარების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტეც ამბობს, არიან კოლხები და ტომი, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი; ქსენოფონტე მათ დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ ისინი სანები არიან ... გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი; მეფე არ ჰყავს.... ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები. მათი მეფე ანქილეა. მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები - ძიდრიტები ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან, ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან; ლაზების მეფე მალასაა რომელსაც ტახტი შენგან აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა მამაშენისგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგან აქვს მიღებული აბასკთა მეზობლები სანიგები არიან მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი, სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი“ (**ლომოური 2007: 328).**

ამრიგად, ფლავიუს არიანეს აღწერილობით, კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილა რამდენიმე პოლიტიკური ერთეული რომელთა სათავეში საკუთარი მმართველები არიან და ყველანი ისინი რომის იმპერატორის დამტკიცებულნი არიან.

ბერძნული, ელინისტური პერიოდის შემდგომ გაგრძელებას რომის ძლევამოსილ იმპერიასთან ურთიერთობა წარმოადგენდა. მართალია, რომის პოლიტიკა უფრო მეტად რადიკალური და დამპყრობლური იყო ამიერკავკასიაში, თუმცა წყაროებზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ადგილობრივი საზოგადოება იმდენად მაღალ საფეხურზე იდგა პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით,

რომ რიგ შემთხვევებში ახერხებდა წინააღმდეგობა გაეწია რომაული ბატონობისათვის და გარკვეული ავტონომია შეენარჩუნებინა.

თუმცა, რომის იმპერიის თუნდაც ნომინალურ დაქვემდებარებაში ყოფნამ უდიდესი ზეგავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის მომავალზე. სწორედ ერთიანი იმპერიის პროტექტორატმა გზა გაუხსნა დასავლური სოციალურ-კულტურული თუ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ტრენდების ჩვენამდე ჩამოღწევას, რომელთაგანაც უპირველესი, რა თქმა უნდა, ქრისტიანობა იყო. ახალი იდეოლოგიის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების ცდუნებამ, განუზომლად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, საბედისწერო როლი შეასრულა საქართველოს მომავლის გარკვევისათვის. საქართველო, როგორც მის აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ ქართლი და დასავლეთი, ანუ ეგრისი ამ არჩევანის წყალობით დასავლური ცივილიზაციის ფარგლებში მოექცნენ, თუმცა ეს არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი გზა. მომდევნო პარაგრაფში ნათლად დავინახავთ თუ რამხელა მსხვერპლის, შინაგან თუ გარეგან ძალებთან ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების ხარჯზე მოხეხდა ამ არჩევანის შენარჩუნება.

1.2 შუა საუკუნეები

საქართველოში შუა საუკუნეები იწყება ერთიან ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობით. ევროპის მთავარ ძალას იმ დროისათვის კვლავ წარმოადგენდა ქრისტიანული რომი, ანუ ბიზანტიის იმპერატორი, რომელიც იმპერიას განაგებდა ახალი ქრისტიანული რომიდან - კონსტანტინოპოლიდან.

ქართული შუა საუკუნეები წარმოიქმნა, როგორც ზოგადევროპული ფენომენი ანტიკური კულტურისა და ქრისტიანობის შეპირისპირებისა და მათი სინთეზის შედეგად.

მართალია, დიდი საეკლესიო განხეთქილების შედეგად საქართველო ბიზანტიასთან ერთად, დარჩა მართლმადიდებლურ სივრცეში, მაგრამ მას, როგორც სახემწიფოს, ბიზანტიის იმეპერიისაგან განსხვავებული მიზნები და ამოცანები ჰქონდა. ამ უკანასკნელის მიზანს ერთიანი, ქრისტიანული მსოფლიო იმპერიის შექმნა და შენარჩუნება წარმოადგენდა (**ჯავახია 2005: 2**).

ქართული შუა საუკუნეების თანდათან უფრო და უფრო უახლოვდება ბიზანტიურს, რაც რა თქმა უნდა განაპირობა იმანაც, რომ მის წანამძღვრებში ისევე როგორც ბიზანტიურისა, ჭარბობდა ელინისტური ელემენტები.

IV საუკუნისათვის რომის იმპერიის აღმავლობა თავის პიკს აღწევდა, მისი ტერიტორია გრანდიოზულ მასშტაბებს აღწევდა: იგი გადაიჭიმა პირინეის ნახევარკუნძულიდან ვიდრე მესოპოტამიამდე. მის შემადგენლობაში სხვადასხვა მოდგმის ხალხები და ტომები შედიოდნენ, რომლებიც განვითარების თვალსაზრისით სხვადასხვა კულტურულ და პოლიტიკურ საფეხურზე იდგნენ, რის გამოც მათი გაერთიანება საკამოდ დიდი კითხვითი ნიშნის ქვეშ იდგა. რთული ხდებოდა რომის აღმოსავლეთის პროვინციების დამორჩილება და იქ სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარება. აღმოსავლეთ და დასავლეთ პროვინციათა შორის არსებულმა კულტურულ-პოლიტიკურმა და სოციალურ-

ეკონომიკურმა განსხვავებებმა თანდათანობით შექმნა საფუძველი იმპერიის ორად გაყოფისა.

კონსტანტინე I (306-327 წწ) დროს ახალი დედაქალაქის დაარსებამ ბოსფორის სრუტის ნაპირას, ძველბერძნულ ქალაქ ბიზანტიონში, რომელსაც შემდგომ კონსტანტინეპოლი ეწოდა, აღმოსავლეთის პროვინციებს გაუჩინათ ერთიანი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. კონსტანტინეპოლი და რომი გახდნენ ორი სამყაროს - ლათინური დასავლეთის და ბერძნული აღმოსავლეთის ცენტრებად.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო კონსტანტინე დიდის მიერ ახალი რელიგიის ქრისტიანობის ჯერ თანსწოუფლებიან რელიგიად, ხოლო შემდეგ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინოპოლის დაარსებით და და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით იწყება აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე ახალი ძალის ე.წ ბიზანტიიის იმპერიის ჩამოყალიბება.

როგორც უკვე ვთქვით, შუა საუკუნეების ცივილიზაცია ორ ნაწილად იყოდა და ყალიბდება ერთის მხრივ ბიზანტიური და მეორეს მხრივ დასავლეთევროპული ცივილიზაცია. საქართველოსთვის გეოგრაფიულადაც და პოლიტიკურადაც უფრო ახლოს ბიზანტიის იმპერია იყო და სწორედ ამიტომ ამ პერიოდის ქართულ კულტურას ხშირად ბიზანტიურ ცივილიზაციას მიაკუთნებენ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ დასავლეთის ქვეყნებსა და საქართველოს განვითარების გზებს შორის არსებობდა მსგავსება. ბიზანტიისაგან განსხვავებით, რომელიც იმპერია იყო, ქართველ და დასავლეთ ევროპის ხალხებში შუა საუკუნეებში ყალიბდება ეროვნული სახელმწიფო იდეოლოგია (**ჯავახია 2005: 4**).

ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძული, მცირე აზია, ეგეოსის ზღვის კუნძულები, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, კრეტა და კვიპროსი, მესოპოტამიისა და არმენიის ნაწილი. ამიერიდან აღმოსავლეთის კერძოდ, ამიერკავკასიის ქვეყნებს, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა სწორედ ამ სახელმწიფოსთან ჰქონდა.

ბიზანტიის იმპერიასთან დასავლეთ საქართველოს ანუ ლაზიკას არსებითად იგივე ურთიერთკავშირები ჰქონდა რაც ერთიან რომის იმპერიასთან, მაგრამ ამ

სახელმწიფოს ახლადშექმნილ ცენტრთან სიახლოვე, ბიზანტიის იმპერიის აშკარა პრიორიტეტული აღმოსავლური მმართულება ახალ ამოცანებს აყენებდა ქართულ სახელმწიფოთა ხელისუფლების წინაშე და რამდენადმე ართულებდა მათ მდგომარეობას.

IV საუკუნის 70-იან წლებში განვითარებული მოვლების გამო ბიზანტიის იმპერია იძულებული ხდება თავისი პოზიციები მეტ-ნაკლებად დათმოს ლაზიკის სამეფოსთან მიმართებაში. რადგან მას მორჩილ ვასალზე მეტად ძლიერი მოკავშირე ესაჭიროება ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ამიტომ ის იძულებული ხდება არა მარტო შეურიგდეს ლაზეთის გაძლიერებას, არამედ ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს მას. ბიზანტიას ჭირდებოდა კარგი მოკავშირე სომხეთსა და ქართლში დამკვიდრებული ირანისა და თვით იბერიის წინააღმდეგაც. ცოტა უფრო ადრეული წყაროებიდან ჩვენ ვიცით, რომ იბერია თავს ესხის და იმორჩილებს აჭარის „ქვეყნის“ ტერიტორიაზე მოსახლე ძიდრიტების ტომს. სწორედ ამიტომ არ გამოირიცხებოდა იბერიას და ირანს მთელი ლაზიკა და განსაკუთრებით აჭარის ტერიტორია კვლავ ხელში ჩაეგდოთ. ამასთან ბიზანტიისათვის ლაზიკის სამეფო ძალიან კარგი გარანტი იყო მომთაბარე ტომებისაგან გუთებისა და ჰუნებისაგან თავის დასაცავად.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ კოლხეთს ნაკლებად შეეხო სოციალ-ეკონომიკური გართულებები. ამის მიზეზი ბევრია, შეიძლება მოინახოს პარალელები. მაგალითად, ბითვინია-პონტო მთლიანობაში აგრარულ ქვეყნად რჩებოდა, სწორედ ამან შეუწყო ხელი IV-V სს კრიზისის შედარებით რბილ ფორმაში გადატანას. მატერიალური კულტურის მთელ რიგ სფეროებს რომაული ზეგავლენა საერთოდ არ შეხებია, რაც ზღვისპირეთიდან მოშორებული პუნქტებისთვისაა დამახასიათებელი. თვით ფაზისის საქალაქო თემში, ისევე როგორც მისი “რადიაციის” ფარგლებში შემავალ შუხუთის “ვილასა” და ურეკში, მიუხედავად ანტიკური კულტურის დიდი ზეგავლენისა ძლიერი იყო ადგილობრივი ელემენტები (**კახიძე 2002: 96**). მძიმე ვითარებიდან გამომდინარე ბიზანტია იძულებული იყო ლაზიკა გაეძლიერებინა და IV ს ბოლოსთვის ხელსაც კი უწყობდა მის გაერთიანებასა თუ ტერიტორიალურ განვრცობას (გაგრა-ბიჭვინთიდან ჭოროხამდე).

„აშხარანცუიცის” მიხედვით IV ს მეორე ნახევარსა და V ს პირველ ნახევარში ლაზეთში აჭარა, ზღვისპირა კლარჯეთი და ნიგალი შედიოდნენ.

ბიზანტიელი მწერლების ნაშრომებში გარკვევით წერია, რომ ლაზები არც ხარკს იხდიდნენ, და არც პოლიტიკურად ემორჩილებოდნენ რომაელებს, გარდა იმისა რომ ისინი მტკიცედ იცავდნენ საზღვრებს, რათა მომთაბარე ტომები რომის ტერიტორიაზე არ შეჭრილიყვნენ. ერთად ერთი რითაც რომზე ლაზიკის დამოკიდებულება იკვეთებოდა იყო ის რომ ლაზიკის მეფეს რომის იმპერატორი ამტკიცებდა.

თუმცა, ბიზანტია კვლავინდებურად ფლობდა ლაზეთზე პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტებს და ზოგიერთი მეცნიერის აზრით უშუალოდ აკონტროლებდა მის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთს, ე.ი. ფასისის მარცხენა სანაპიროსა და ჭოროხის შესართავს. ამ მხრივ საინტერესოა ზოსიმეს ზემოთხსენებული ცნობა კონსტანტინეს მიერ იმპერიის ოთხ ნაწილად გაყოფისა და აღმოსავლური სამფლობელოების „ტრაპეზუნტამდე და ფაზისზე მდებარე სიმაგრეებამდე“ (Hist. Nova, II, 33) განვრცობის შესახებ. არაა გამორიცხული, კასტორიუსის რუკაზე დაფიქსირებული *Apasidam*-ი და *Nigro* ქობულეთის რაიონში (ციხისძირ-ფიჭვნარი) ანდა სულაც გურიის ტერიტორიაზე იყვნენ განლაგებულნი, რასაც თითქოს ბოლოდროინდელი აღმოჩენებიც უმაგრებენ ზურგს **(კახიძე 2002:113).**

ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ქრისტიანული რელიგია. ბიზანტიის შემადგენლობაში ყოფნა მის ვასალურ პოლიტიკურ ერთეულად ფუნქციონირება, ან მისი პოლიტიკური ორიენტაციის დაცვა აუცილებლად მჭიდროდ იყო დაკაშირებული ქრისტიანობასთან. სწორედ ამიტომ კანონზომიერია ის გადმოცემები, რომლის თანახმადაც დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობას ავრცელებდნენ ანდრია პირველწოდებული, მატათა და სვიმონ კანანელი. III-IV სს მიჯნაზე აფსაროსის ციხეში ქრისტიანობის მიღების გამო აწამეს ორი რომაელი ჯარისკაცი ფირმოსი და ფირმანიოსი. 325 წელს ნიკეას პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. უდავოა, რომ სტრატოფილე, პირველ რიგში, სწორედ ადგილობრივ

საზოგადოებას წარმოადგენდა და მაშასადამე ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული.

აჭარის ისტორიისათვის ეს გარემოება ზოგადად გასათვალისწინებელია რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს ოლქი ლაზისკის განუყოფელი ნაწილი იყო როგორც პოლიტიკურად ასევე კულტურულადაც. სწორედ ამიტომ ცხადია, რომ ახალი რელიგიის ოფიციალური დამკვიდრება აქაც იმავე ხანებში მოხდა, როდესაც დანარჩენ სახელმწიფოში. გადმოცემის თანახმად ანდრია პირველწოდებული და მატათა სწორედ აჭარის ტერიტორიიდან შემოვიდნენ საქართველოში. უძველესი ცნობები ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის შესახებ მიეწერება დოროთეოს ტვირელს და ეპიფანე კვიპრელს. დოროთეოს ტვირელის მიხედვით „ანდრია.. მოვიდა დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და მდინარე ფასისი, სადაც უშინაგანესნი ეთიოპნი (კოლხნი) ცხოვრობენ“ **(გოგიტიძე 1997: 6).**

წყაროები V ს ლაზეთზე წინააღმდეგობრივ ცნობებს გვაძლევს პრისკე პანონიელის მიხედვი იმპერატორ მარკიანეს (450-457 წწ) დროს ლაზეთი რომაელთაგან დამოუკიდებელი, უნავსადგურო (ე. ი. ზღვისპირა სამხედრო ბაზების გარეშე) და პროსპარსულად განწყობილი ქვეყნა იყო. თუმცა, ბიზანტიელთა ეგრისში წარმატებული ლაშქრობისა (455 წ.) და გარკვეული სამხედრო და დიპლომატიური ზეწოლის შემდეგ ლაზთა მეფე გუბაზ I იძულებული იყო ეცნო იმპერიის უზენაესრობა და ტახტი წათესთვის დაეთმო. აღსანიშნავია ისიც, რომ V ს მეორე ავტორი თეოდორიტე კვირელი პიტიუნტს იმპერიის უკიდურეს საზღვრად, ხოლო სანებს, ლაზებსა და აბაზგებს რომაელთა მორჩილებაში მყოფ ხალხებად მოიხსენიებს, თუმცა ძველი და თანამედროვე მეცნიერთა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ V ს ლაზეთი მაინც საბოლოოდ გამოვიდა რომის (ბიზანტიის) პოლიტიკური გავლენიდან და დანიელ მესვეტის ერთ ცნობას თუ დავეყრდნობით, 60-70-იან წლებში მისი საზღვრები აფსაროსის სამხრეთით თანამედროვე ხოფასთან დაფიქსირდა. საუკუნის ბოლო მეოთხედში შესაძლებელია აქ სულაც აღმოსავლეთქართული სახელმწიფო გაბატონდა **(კახიძე 2002:115)**.

VI საუკუნის დასაწყისიდან ეგრისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. თუ IV და V საუკუნეების მანძილზე იგი ფორმალურად

მაინც ინარჩუნებდა დამოუკიდებობას VI საუკუნის 20-იანი წლებიდან საცილობელ ობიექტად იქცა ორ დიდ სახელმწიფოს - ბიზანტასა და ირნს შორის. ეგრისი და შესაბამისად მის შემადგენოლაბაში მყოფი ბარის აჭარის ტერიტორია ბრძოლების ასპარეზად იქცა. ჯერ კიდევ ბიზანტია-ირანს შორის ბრძოლების დაწყებამდე ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ პეტრა „გარე ზღუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამაგრა და გაამშვენიერა კიდეც“. პეტრა გახდა ბიზანტიულ სტრატეგოსთა რეზიდენცია და მთავარი შტაბი. აქედან იმართებოდა ომის მსვლელობა, ამიტომ იგი უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სტრატეგიული ცენტრია **(დიასამიძე 2001: 176).**

ძალიან საინტერესო ინფორმაციეას გვაწვდის პეტრას ციხის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლბი. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაახლოებით ახ.წ III საუკუნის ბოლოდან VI საუკუნის დასასრულამდე არსებობდა რომაულ-ბიზანტიური სტრატეგიული პუნქტი, რომლის გვერდით წარმოიქმნა საკმაოდ მნრნიიშვნელოვანი ქალაქური ტიპის დასახლება განვითარებული სახელოსნო წარმოებით. აღნიშნული დასახლების უდიდესი განვითარების პერიოდი ახ.წ IV-V სს-ზე მოდის.

ნუმიზმატიკური მასალები, იმპორტული კერამიკა, სირიულ-პალესტინური მინის ნაწარმი, ოქროს სამკაულები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭლები ციხისძირის განძიდან აღმოსავლეთ რომის პროვინციებთან ფართო სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ კავსირებზე მიუთითებს **(ინაიშვილი 1993: 114).**

არქეოლოგიური გათხრები გვიჩვენებს რომ პეტრას დაარსების მომენტისათვის აქ უკვე არსებობდა მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი, რომელიც ყველაზე მაღალ განვითარებას სწორედ ახ.წ IV-V სს აღწევს. აღნიშნული ფაქტი ეწინააღმდეგება პროკოფი კესარიელის ცნობებს იმის შესახებ, რომ „პეტრა უმნიშვნელო იყო წინათ, ხოლო იუსტინიანე მეფემ გარეზღუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენიერა კიდეც“ ან კიდევ: „იმ ადგილას, სადაც წინათ ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა“ **(ინაიშვილი 1993: 115).**

პროკოფი კესარიელი წერდა : „ იოანე ციბემ დააჯერა მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა სახეად პეტრა“. ის ფაქტი რომ პეტრა მეფე იუსტინიანემდე არსებოდა ამას თვით პროკოფიც მოწმობს: „იუსტინიანემ ის გაამაგრა და ქალაქად აქცია...“ (BG, XI, 3). ეს ნიშნავს იმას რომ იუსტინიანეს დროს, მართალია, პეტრამ თავის ბრწყინვალებას მიაღწია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ციხე-ქალაქად ჩამოყალიბდა, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ქალაქი ის მანამდეც არსებობდა.

VI საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევის საქმეში ძალიან მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ეგრისის მეფის გუბაზის მოკვლის შემდეგ აიეტისა და ფარტაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები. მაშინ როდესაც ქვეყანა დამარცხებულია, მეფე მოკლულია და იქ უცხო ქვეყნის ჯარი დგას თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესახებ მსჯელობა ძნელად წარმოსადგენია, როგორც ბ.ჯავახია თავის ნაშრომში აღნიშნავს, საფიქრებელია, რომ არჩევანი კონრეტული ომის შედეგად არ ყოფილა მიღებული, კრებაზე წარმოთქმული სიტყვები გვაძლევს საშალებას უფრო მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოთ. დასახელებული გადაწყვეტილებიდან ჩანს, რამდენად ერთიანია ქრისტიანული სივრცე და რა მნიშვნელობა აქვს მას ქართველებისათვის. ქართველები თავს ერთიან ქრისტიანულ სივრცეს მიაკუთვნებენ. ასე, რომ შეიძლება დავასკვნათ, რომ შუა საუკუნეები ჩამოყალიბდა, როგორც საერთოევროპული ფენომენი, რამდენადაც საერთოევროპული ანუ ქრისტიანული შუა საუკუნეების ცივილიზაციის მსგავს წანამძღვრებს დაეფუძნა **(ჯავახია 2005: 7).**

ბიზანტიის როგორც, დასავლური სმყაროს მთავარი წარმმადგენლის კულტურული და პოლიტიკური შეფასებისას საინტერესოა კვლავ ბ.ჯავახიას მიერ მოყვანილი არღნიშნული ციტატა: „მსგავსად კიროსის, ალექსანდრესა და ავგუსტუსის მონარქიებისა, ბიზანტია წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე ნათელ ილუსტრაციას იდეისა, რომ ჭეშმარიტი საკაცობრიო კულტურა არ საჭიროებს ნაციონალური სახელმწიფოს არსებობას. მსგავსად დასახელებული მონარქიებისა, ბიზანტია შეგნებულად ცდილობდა განეხორციელებინა ერთიანი სამწყოს და ერთიანი მწყემსის იდეალი. თუკი მოაროვნე ბიზანტიელი სიამაყით წარმოიდგენდა თავს „რომაედ“, მას ამ შემთხვევაში მხედველობაში არ ჰქონდა თავისი ეროვნება,

ბერძნული ენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბერძნებისათვის, სირიელებისათვის და მცირეაზიელისთვის სახელი „რომაელი“ უცნაური იქნებოდა; ამ სახელწოდებით ის მიანიშნებდა თავის მიკუთვნებულობას უდიდესი კოსმოპოლიტური მონარქიისადმი,რომელიც მართლმადიდებელი ბასილევსის გვირგვინის ქვეშ აერთიანებდა მთელ ცივილიზებულ სამყაროს, ყველა ხალხსა და ტომს. ასეა თუ ისე, ისინი არიან მემკვიდრეები იმ კეთილდღეობისა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღეს ძველი ცივილიზაციისაგან“ **(ჯავახია 2005: 9).**

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ბიზანტიის, როგორც ძლევამოსილი კოსმოპოლიტური იმპერიის მიზნებზე. ბიზანტიამ მიიღო საერთო იდეოლოგიის გამტარებელი იმპერიის სტატუსი და სწორედ ეს განაპირობებდა მთელი საუკუნეების მანძილზე საქართველოს და იმ მცირე სახელმწიფოების მიჯაჭვულობას ერთიანი ქრისტიანული სივრცის მთავარ ცენტრთან - ბიზანტიასთან. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველო მიუხედავად ყველაფრისა მთელი ამ პერიოდის მანძილზე ახერხებდა თავისი ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებას და მის შემადგენლობაში არსებობას ისე, რომ არ დაეკარგა არც იდენტობა და არც ქრისტიანული ტრადიცია, რომელიც საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

ნ.ჩიქოვანი ფარტაძის სიტყვებს ბიზანტიასთან კულტურული ერთობის გაცნობიერების ფაქტად ასახელებს. ქართველებს ბიზანტიელებთან საერთო აქვთ: „საზოგადოებრივი კანონები, სახელმწიფო წყობა და ცხოვრება“, „აზრთა ერთიანობა“, სარწმუნოება, „წმინდა საიდუმლოთა უმწიკლოება“. და საერთოდ „მშობლიური წესები“ (**ჩიქოვანი 2003: 187**).

ყოველივე ამას თანამედროვე ადამიანი ერთი სიტყვით აღნიშნავდა - კულტურა. როგორც ჩანს, ლაზიკას ის ბიზანტიასთან მსგავსი ქონდა. სწორედ კულტურული განსხვავება მიაჩნია ფარტაძის სპარსელებთან კავშირის წარუმატებლობის წინაპირობად. ფარტაძის სიტყვაში ბევრია ორატორული ნიუანსი, გამიზნული მსმენელის დასარწმუნებლად, მაგრამ არგუმენტების თანმმდევრობა უდაოდ საყურადგღებოა. მშობლიური წესები, ბიზანტიასთან საერთო საზოგადოებრივი კანონები, რელიგიური ფაქტორი, სპრსული კულტურის უცხოობა,

და ბოლოს, გამოუვალ მდგომარეობა - „თავზე გვადგანან რომაელები“. ამ არცთუ უმნიშვნელო ფაქტორის ბოლოში მოქცევა, ალბათ, ფარტაძის თავისი პოზიციისათვის მომგებიანი ვითარების შესაქმნეად დასჭირდა **(კაკიტელაშვილი 2000: 53).**

საქართველო თავს, სხვა დამოუკიდებელი ევროპული ქვეყნების მსგავსად, რომის სივრცეში მოიაზრებდა. რომის იმპერიის ნგრევის შემდგომ, საქართველოს გამაერთიანებელი ქრისტიანული იდეოლოგია ხდება, რომელიც საქართველოს კიდევ უფრო მეტად აკავშირებს რომის იმპერიის მემკვიდრე - ბიზანტიასთან. საქართველო თავს წარმოიდგენდა ბიზანტიის როგორც ქრისტიანობის ჭეშმარიტი დამცველის სივრცეში. ამ საკითხის შესახებ ქართული და ბერძნულ წყაროები სრულიად თანხმდებიან ერთმანეთში. ამის საილუსტრაციო მაგალითად საკმარისია V-VI საუკუნეებიდან მმართველი წრისათვის ბიზანტიური ტიტულის მინიჭება, რაც დასტურდება, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე. ბერძენი ავტორების პრისკე პანიონელის, აგათია სქოლასტიკოსის, იოანე მალალას, პროკოფი კესარიელის თუ სხვების შრომებში პირდაპირ არის დადასტურებული ეგრისის მეფეთა ბიზანტიის სამეფო კართან დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც ეგრისის მეფეები თავს ბიზანტიური ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლებად აღიარებენ.

პრისკე პანიონელი აღწერს ლეონ I მმართველობის დროს ლაზიკის მეფის გუბაზ I ჩასვლას კონსტანტინოპოლში. ბერძენი ისტორიკოსი თეოფანე მოგვითხრობს 522 წელს, ლაზების მეფის დამნაზეს გარდაცვალების შესახებ, მისი ვაჟის წათეს ჩასვლაზე ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I, სადაც მან მიიღო სამეფო ღირსების შესაბამისი საჩუქრები და ცოლად შეირთო კონსტანტინოპოლის პატრიციუსის ქალიშვილი. პროკოპი კესარიელის ცნობით, “ლაზები დასაბამიდან ცხოვრობდნენ კოლხეთის მიწაზე, იყვნენ რომის მფარველობის ქვეშ ისე, რომ არ უხდიდნენ არაფერს, ასე რომ, ხარკით ან რაიმეთი არ გამოხატავდნენ მორჩილებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც გარდაიცვლებოდა მეფე, რომის ბასილევსი ხელისუფლების ნისნებს უგზავნიდა მას, ვისაც უნდა მიეღო ტახტი“ (BG, XI, 13). აგათია სქოლასტიკოსის თანახმად, გუბაზ II ძმა , რომელმაც ეგრისის ტახტი დიდი ომიაობის შემდეგ დაიკავა,

ცხოვრობდა ბიზანტიაში. მის გამეფებას ლაზები სთხოვე ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე დიდს (527-565 წწ).

საქართველოს კულტურული განვითარება მიმდინარეობდა დასავლურ სივრცეში, ჯერ ელინურ სამყაროში, შემდეგ რომის იმპერიაში და ასევე ბიზანტიურ სივრცეში. თუმცა, იგი თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ცდილობდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და თვითმყოფადი კულტურის განვითარებას. საქართველო ანტკური რომის არსებობიდან მოყოლებული შუა საუკუნეებშიც აგრძელებდა თავისი პოლიტიკური ფუნქციის შესრულებას - დაეცვა რომაული სივრცე ბარბაროსებისაგან. ის ყოიველთვის მოიაზრებოდა როგორც კავკასიის კარიბჭის მცველი. ეს ფაქტი კი რა თქმა უნდა იმაზე მეტყველებს, რომ ქართველები რომაულ სივრცეში მოიაზრებიან, უკვე IV საუკუნის დამდეგიდან კი ქრისტიანულ სივრცეში.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ეგრისის ზღვისპირა ქალაქებში მოსახლეობის უმრავლესობა ადგილობრივია. მათი მშობლიური ენა კი ქართული, ან არც ისე დიდი ხნის წინ მისგან გამოყოფილი - კოლხური (ზანური). V საუკუნემდე მოსალოდნელი არაა აქ იყოს ადგილობრივ ენაზე შესრულებული წერილობითი ძეგლები. აქ, ისევე როგორც ქართლში, ძირითადად ვხვდებით ბერძნულ და ლათინურ ენაზე შექმნილ წერილობით ძეგლებს. საფიქრებელია, რომ ისევე როგორც ქართლში, ეგრისსშიც ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზების პროცესსში იმპერიიდან იქნებოდნენ მოწვეული მღვდელთავრები და შესაბამისად ღვთისმსახურებაც სწორედ ბერძნულ ენაზე იქნებოდა. აღნიშნული პროცესები ემთხვევა ეგრისის სამეფოს გაძლიერების ხანას, როცა მკვლევართა უმეტესობის აზრით იმპერიას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებში ჯარები აღარ ყავს ჩაყენებული და ეგრისი დამოკიდებულება იმპერიის მიმართ ნომინალურია. ასეთ პირობებში საფიქრებელია, რომ ხელისუფლება დაინტერესებული იქნებოდა ქართული ენის გაბატონებით. იმპერიაში შექმნილი მძიმე მდგომარება კარგი საშუალება იყო იმისათვის რომ ადგილობრივ ხელისუფლებას მიეღო ნებართვა ეკლესიებში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარებისა. ამასთან, IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყიში უკვე რეალური ჩანს ქართულ ენაზე შექმნილი საღვთისმეტყველო ლიტერატურის არსებობა. ეგრისი ამ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. მისი

ეკლესია მით უფრო დამოუკიდებელი იქნებოდა. მხოლოდ IV საუკუნის ბოლოს და V საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო ავტოკეფალიურ ეკლესიათა გაერთიანება-შერწყმის პროცესი და უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე მოვლენას ექნებოდა ადგილი ეგრისშიც.

ეგრისის ტერიტორიაზე ქართული ენის ფუნქციონირებას და მის ფართო გამოყენებას ადასტურებს მე-5 საუკუნეში იერუსალიმის უდაბნოში აღმოჩენილი ქართული წარწერებიც. პეტრე იბერის ცხოვრების როგორც სირიულ ასევე ქართულ ტექსტში ნათქვამია, რომ პეტრე იბრმა და მისმა მოძღვარმა იოანე ლაზმა ააშენეს იერუსალიმში ტაძარი. მკვლევარები ფიქრობენ, რომ ეს უნდა ყოფილიყო იერულასიმის ჯვრის მონასტერი, მაგრამ ყურადღებას იქცევდა და ამ აზრს საეჭვოს ხდიდა პროკოფი კესარიელის ცნობა, რომლის მიხედვითაც იუსტინიანემ განაახლა „იბერთა მონასტერი იერუსალიმში... ლაზთა მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში“. როგორც აკად. ს ყაუხჩიშვილი ამასთან დაკავშირებით წერდა „ჯვრის მონასტერზე პროკოფი კესარიელი ლაპარაკობს, როგორც იბერთა მონასტერზე, ხოლო იგივე პროკოფი კესარიელი ამბობს, რომ იუსტინიანემ განაახლა ლაზთა მონასტერი“. მაშასადამე მეცნიერი ასკვნის, რომ იერუსალიმის მიდამოებში არსებობდა ორი ქართული მონასტერი იბერიელთა და ლაზთა მონასტერი **(იხ. დიასამიძე 2001: 81).**

ასევე ძალიან საინტერესოა VI საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწის საბა განწმენდილის ნაწარმოები „ანდერძი“ საიდანაც კარგად ჩანს, რომ ქართველებს ისეთი მდგომარეობისათვის მიუღწევიათ, რომ უფლება მოიპოვეს პალესტინის უდიდეს ლავრაში, სადაც ბერნები იყვნენ გაბატონებული „წართქვან ჟამნი და სამხარისი, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე“ **(იხ. დიასამიძე 2001: 82)**.

როდესაც ვსაუბრობთ VI საუკუნის არქეოლოგიურ ძეგლებზე საინტერესოა თანამედროვე არქეოლოგების მიერ 2015 წელს აჭარის ტერიტორიაზე, კერძოდ ავგიაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ადრებიზანტიური პერიოდის ნაგებობა. აღმოჩენის ადგილის ვიზუალური დათვალიერებისას ზედაპირულად შეინიშნებოდა ქვის წყობის ნაშთები. ადგილობრივთა მონათხრობით, აქ იდგა შენობა, რომელიც XX ს-ის II ნახევრამდე

საკმაოდ კარგად იყო დაცული. მოგვიანებით იგი დაუნგრევიათ და მისი ქვები სხვადასხვა სამშენებლო საქმიანობისათვის გამოუყენებიათ.

ორკვირიანი სადაზვერვო არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შემდეგ აღმოჩნდა საკმაოდ დიდი ზომის ბაზილიკა, რომელიც მშენებლობის ტექნიკით, გეგმარებით და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ადრებიზანტიური პერიოდის საეკლესიო ნაგებობას წარმოადგენს. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ტრანსეპტიანი დარბაზი, რომლის საწყისი გეომეტრიული სქემა ე.წ. ვნების ჯვარია (crux immissa), მას ,,ლათინურ ჯვარსაც“ და ,,გრძელ ჯვარსაც“ (crux immissa oblonga) უწოდებენ. ტრანსეპტიანი დარბაზების გავრცელების არეალი ადრე შუასაუკუნეებში საკმაოდ ფართე იყო.

ავგიის ნაეკლესიარი უგუმბათო ბაზილიკის ტიპს განეკუთვნება. არქეოლოგიური გათხრებისას ტაძრის ნანგრევებში არცერთი ისეთი ქვა არ აღმოჩენილა, რომელიც კამარის არსებობაზე მიუთითებდა. გარდა ამისა, ტაძრის კედლები იმ სიმყარის არ არის, რომ დარბაზისა და ტრანსეპტის გადაკვეთის კუთხეებს გუმბათის სიმძიმე ეტვირთათ. ნაგებობაში არც პილასტრები იკითხება. როგორც ჩანს, მას მარტივი კოჭოვანი, ბრტყელი ჭერი უნდა ჰქონოდა, როგორც ეს დასავლურ ადრეულ ბაზილიკურ ნაგებობებს ახასიათებდათ.

V-VI სს-თა მიჯნის შემდეგ აგებული ქართული ბაზილიკური თუ დარბაზული ტაძრები ქვის კამარებითაა გადახურული, ამიტომ გადახურვის ეს მეთოდი ნასაზრდოები ჩანს უშუალოდ IV-V სს-ის რომაულ-ბიზანტიური სამყაროდან: რომის იმპერიის ცენტრალურ და აღმოსავლეთის ქრისტიანულ პროვინციებში უძველესი ბაზილიკების სახურავები, როგორც წესი, ხის მზიდ კონსტრუქციებს ეყრდნობოდა **(მამულაძე, ქამადაძე 2015: 23-34).**

V-VI საუკუნეებში ჩანს აგებული ეგრისში ყველა ის ეკლესია, რომელიც საამშენებლო სტილით სიახლოვეს დგას აღმოსავლურქართულთან. ამის მაგალითებია ჭყონდიდის ჯვრის ტიპის ტაძარი, ვაშნარის ნაშენობა, რომელიც უჯარმას მოგვაგონებს უტოლდება კიდევაც მას, ბობოყვათის (ციხისძირი) სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც თან ახლავს ქვის სვეტისთავი, მარმარილოს სვეტის ნატეხები და „ბოლნურ-ჯვრიანი“ ქვა, ბიჭვინთის, ციხისძირის, შუხუთის მოზაიკები, სადაც

უცხოურ დეტალებთან ერთად მრავლად მოიპოვება ადგილობრივი ქართული დეტალები. ქართული ამ დროს სახელმწიფო ენაა, რასაც ნათელყოფს იმ დროს არსებული წერილობითი წყაროები. ირანის მეფე ხოსროსთან მისული ელჩები ადრე გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ლაპარაკობენ, ხოლო მემანდრეს ცნობა, რომელიც სვანი მთავრების სახარკო სიაში შეტანისა და ეგრისის მეფეების მიერ სვანების მთავრების დანიშვნას გვამცნობს, მიუთითებს, რომ საკუთრივ ეგრისისათვის საჭირო დოკუმენტები ადგილობრივ ქართულ ენაზე იქნებოდა შედგენილი.

ამ აზრს კიდევ უფრო ამყარებს ისც, რომ როცა ლაზი ელჩები ირანის მეფეს ეახლენ დახმარების სათხოვნელად და ბიზანტიელთა პოლიტიკის მიმართ გამოთქვამდნენ პრეტენზიებს, ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ბიზანტიელთა მხრივ ადგილობრივი ენის შეზღუდვა-უგულებელყოფაზე, მაშინ როცა არ ავიწყდებათ, რომ მათ მეფეს მხოლოდ სახელიღა შერჩა მეფის, რომ ქალაქებში ჯარები ჩაუყენეს, რომ ვაჭრობაზე მონოპოლია დაუწესეს და ა. შ. ეს გვაფიქრებინებს, რომ ბიზანტია ამ მხრივ ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა, უფრთხილდებოდა ეროვნულ გრძნობებს, რომ ადგილობრივთა მხარდაჭერა არ დაეკარგა.

VII საუკუნის 20-იანი წლებიდან, როგორც ეგრისის ისე ქართლის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოახდინა ჰერაკლე კეისრის (610-641 წწ) ლაშქრობებმა ირანის წინააღმდეგ. ჰერაკლე შეუბრალებად გაუსწორდა მოწინააღმდეგეებსა და ორგულობაში ევმიტანილებსაც: „ჰერაკლემ დაამხო არა მარტო სპარსთა სახემწიფო, მისი ნაწილობრივ მოკავშირე ქართლის სახელმწიფოც ძალზედ დაასუსტა და სასტიკად დასაჯა. სწორედ ამ დროს მოხდა ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დამცრობა“ (**დიასამიძე 2001: 83**).

აღნიშნულ პერიოდს უკავშირებს მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსთა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეყვანას. იგი წერს „ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში განლაგებული ბერძნული საეპისკოპოსოები ბიზანტიურ დოტიციებში ჩნდება ჰერაკლეს ლაშქრობის შემდეგ, VII საუკუნის პირველი მესამედიდან“. ამავე პერიოდიდან მიიჩნევს ანანია ჯაფარიძე ბერძნულ ენას დომინანტად აღნიშნულ ეკლესიებში. „ბერძნული ენა, - წერს იგი, - დასავლეთი საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში

საეკლესიო ენად ოფიციალურად იქცა მხოლოდ VII საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა ირაკლი კეისარმა დაიპყრო შავიზღვისპირეთი ... აქ დაარსდა ლაზიკის, ანუ ფოთის ბერძნულენოვანი სამიტროპოლიტო, რომელშიც შედიოდა რამდენიმე ბერძნულ ენოვანი საეპისკოპოსო“ **(დიასამიძე 2001 : 84).**

რაც შეეხება ამ პერიოდისათვის ბიზანტიიაში მიმდინარე მოვლენები ასეთია: მართალია, ჰერაკლე კეისრის დროს ირანელებზე გამარჯვებების მოპოვების შემდეგ, აღდგა ბიზანტიის იმპერიის ძლევამოსილება, მაგრამ არაბთა თავდასხმები გახშირდა. ბიზანტისს იმპერიამ დაკარგა სირია, მესოპოტამია, ეგვიპტე, სომხეთი. ასევე არაბები შეიჭრენ მცირე აზიაში და მიაღწიეს ქალკედონიამდე. ბიზანტიელებმა ხელიდან გაუშვეს ზღვაზე ბატონობაც; დასავლეთში დაკარგეს ესპანეთი და ცოტა მოგვიანებით - აფრიკის სამფლობელოებიც. VII საუკუნის შუა ხანებიდან ქართლში, ხოლო VIII საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოშიც არაბები შემოდიან.

მიუხედავად ინტენსიური მუშაობისა, რომანიზაციის პროცესის შედეგები კულტურის ისტორიის თვალსაზრისით ბოლომდე დადგენილი არ არის, მაგრამ ერთსახოვნად შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთში რომაული სახელმწიფოს შესვლამ გარკვეულად შეუწყო ხელი მოწინავე, მსოფლიო მასშტაბის კულტურის ელემენტების დანერგვა-გავრცელებასა და ზღვისპირა ციხე-ქალაქებსა და მათ გარემომცველ სამყაროში სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის დასტაბილირებას. ბიზანტიურმა ეპოქამ კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს ისტორიულ-კულტურული გეზი, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდა ქრისტიანულ სამყაროს.

უკვე დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ სტრუქტურულად საბოლოო ჩამოყალიბების შემდეგ შეუტია ანტიკურ კულტურას, რომელიც თავისი არსით სწორედ ქრისტიანობის სათავე იყო. ე.ი. ეს უკანასკნელი ანტიკურობის არამარტო უარმყოფელი, არამედ მისი იდეების, ფილოსოფიური და ლიტერატურული ფორმებისა თუ ხერხების გამგრძელებელი, მიმბაძველი და გადამღები იყო. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ახ. წ. I-III სს განსხვავებით, როდესაც კოლხურ პანთეონში ნათლად ჩანს წინა ეპოქებისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენების სიძლიერე, მომდევნო პერიოდი ყურადღებას იქცევს რომაულ-

ქართული რწმენებისა და კულტების დაახლოების ტენდენციით, რაც ანტიკურ სამყაროსთან ხანგრძლივი ურთიერთობის ლოგიკური შედეგი იყო.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ბიზანტიასთან ურთიერთობის საუკუნეებს ითვლს და მიუხედავად იმისა რომ სხვადასხვა დროს ურთიერთობის განსხვავებული მიდგომები არსებობდა ერთიანობაში საქართველო ბიზანტიას ყოველთვის ქრისტიანულ სივრცედ მოიაზრებდა და ცდილობდა სტაბილური ურთიერთობა შეენარჩუნებინა. ეგრისის მმართველები მოქნილი დიპლომატიის საშუალებით კარგად ახერხებდენენ ლავირებას და ისტორიულად ორ დამპყრობელს შორის მოქცეულნი ცდილობდნენ მშვიდობის დამყარებას. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავის მხრივ ბიზანტიაც, როგორც არა ერთ გზის აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს და ლაზიკის სამეფოს აღიქვამდა როგორც მოკავშირეს და ჯერ ირანის, ხოლო მოგვიანებით არაბების შემოსვლის დროისთვის ლაზიკა შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარ ბუფერულ სახელმწიფოს წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიისათვის, რომელიც გარკვეულ წილად უსაფრთხოების გარანტი იქნებოდა.

დასავლეთის მონათესავეთ აღქმის საფუძველი ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომ ქრება. საქართველო ფაქტობრივად ჩამოშორდა იმ სივრცეს, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა დღევანდელი დასავლური საზოგადოება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპელ მისიონერებს დიდი წვლილი მიუძღვით საქართველო-დასავლეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში.

კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ოფიციალურად XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება და XIX საუკუნის დამდეგამდე მოდის. ამ დროის მანძილზე მისიონერთა მრავალმხრივმა, ნაყოფიერმა მოღვაწეობამ სერიოზული შეასრულა ქართველთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში **(ბოკელავაძე 2010: 166).**

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ფიქსირდება სხვადასხვა ორდერის მისიონერთა მიმოსვლა, ისინი როგორც წყაროებიდან ჩანს საკმაოდ დაახლოებულნი იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ადგილობრივთა საგანმანათლებლო-კულტურულ

საქმიანობაზე. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ არქანჯელო ლამბერტი თეატინელთა კათოლიკური ორდენის წევრი, ნეაპოლელი ბერი, რომელიც რომის პაპის კურიის დავალებით და პროპაგანდა ფიდეს ორგანიზებით ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელთან ერთად 1631 წელს გამოემართა საქართველოში **(მერკვილაძე, გაბისონია 2014: 234).** მისი ნაშრომი „წმინდა კოლხეთი“ მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს იმ დროინდელი ისტორიის გასაანალიზებლად. ასევე საინტერესოა, რომ არქანჯელო ლამბერტი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა მხარეში, დასავლეთ საქართველოს კერძოდ კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ის ოსმალეთის იმპერიის მიწად მოიხსენიებს და კარგად აღწერს ადგილობრივთა ყოფას ოსმალთა ბატონობის პერიოდში.

ასევე გამოსაყოფია იტალიელი მისიონერი, ასევე თეატინელთა ორდენის წევრი დონ კრისტოფორო დე კასტელი, რომელიც 1628 წ ეწვია საქართველოს. მის უნიკალურ ალბომში, სხვა მრავალ საინტერესო ჩანახატებს შორის აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული გონიოს ციხე, სადაც ტყვეთა სყიდვა მიმდინარეობდა.[6]

ცალკე გამოსაყოფია ევროპული საზღვაო რუკები, ე.წ. “პორტოლანები“. მათი უმეტესობა იტალიელი კარტოგრაფების მიერაა შედგენილი, რომელთაც მე-13-15 საუკუნეებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ. შესაბამისად, კარგად იცნობდნენ საქართველოს ზღვისპირა დასახლებებს.

მე-13 საუკუნიდან სწორედ ევროპულ საზღვაო რუკებზე ჩანს ბათუმი, როგორც შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ნავსადგური. ლოვატი, ვათანი, ვატი, ბათინი, ლოათონი, ბოთანი - ასე აღნიშნავდნენ ევროპელები თავიანთ შედგენილ რუკებზე ბათუმს. ყველა ამ სახელწოდების ამოსავალი ფორმა ბათომია.

ამ მხრივ აღსანიშნავია ვენეციელთა (მე-13 საუკუნე), პეტრუსა ვესკონტეს (1313-1320 წწ.), ვენეციელი ძმების ფრანცისკა და დომინიკა პიციგანების (1367 წ.), ძველი ევროპული (1426 წ.), გრაციზო ბენიკაზას (1480 წ.), დიეგო ომემას (1559 წ.) და ჯაკოფო გასტოლდის (1561 წ.) რუკები.

[6] ჩანახატები შეგიძლიათ იხ. https://intermedia.ge/სტატია/100220-კასტელის-ნახატები-მე-17-საუკუნის-საქართველოსა-და-ქართველების-აღწერით/89/

კარტოგრაფიული ნიშნებით რუკებზე ქალაქი მითითებულია მდინარე ყოროლისწყლის მარცხენა სანაპიროზე, შესართავის სიღმეში. რუკაზე მდინარის ქვემოწელი მსხვილი გეგმითაა წარმოდგენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალაქი გაშლილი უნდა ყოფილიყო მდინარე ბარცხანის სანაპიროს ზოლზე, საკმაოდ დიდ მანძილზე. შესართავი, მდინარის გარკვეული მონაკვეთის ჩათვლით, ნავსადგურად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

საზღვაო რუკების გარდა, ბათუმი მე-13 საუკუნიდან ჩნდება ევროპაში შედგენილ სხვადასხვა დოკუმენტში. ვატი - ასე მოიხსენიებენ ბათუმს 1289 წლით დათარიღებულ იტალიურ სანოტარო აქტში. 1290 წლის 1 აპრილს გენუელთა მიერ ქ. კაფაში შედგენილ საკონტრაქტო დოკუმენტში მოხსენებულია ბათუმი.

1373 წლის აგვისტოში ბათუმს დიდი ამალით სწვევია ტრაპიზონის იმპერატორი ალექსი მესამე კომნენოსი. ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობებით, იმპერატორი დიდი საზღვაო ესკორტით ჩამოსულა (2 კატარღა და 40 ნავი) და ბათუმში ექვსი დღე დარჩენილა.

ბათუმში ღუზას უშვებდნენ გენუელ, ვენეციელ, პიზელ სოვდაგართა გემები, შემოჰქონდათ და გაჰქონდათ სხვადასხვა საქონელი, ქალაქში კი მრავლად ცხოვრობდნენ იტალიელი ვაჭრები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან საკმაოდ ახლო კონტაქტში იყვნენ.

1472 წლის ზაფხულში გენუელ ვაჭრებთან ერთად ბათუმში ჩამოსულა ვენეციელი დიპლომატი და მოგზაური იოსიფატ ბარბარო. იგი ქალაქს უწოდებს ვათის და წერს, რომ ქალაქი საქართველოს შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ცენტრია. ბარბაროს გენუელ ვაჭართან, ანცოლინე სკვარჩიაფიკოსთან, უსეირნია ქალაქში და იტალიურად გასაუბრებია ადგილობრივ მცხოვრებთ.

ვენეციელი დიპლომატის ცნობებით, აქ მოვაჭრე გენუელები კარგად იცნობდნენ ბათუმის მცხოვრებთ და თავს შინაურულად გრძნობდნენ. თანხლებ ვაჭართან ერთად ბარბაროს დაულევია გამაგრილებელი სასმელი, რომელიც ღირდა მხოლოდ რამდენიმე ასპრი. ბარბაროს ცნობით, მიმოქცევაში ყოფილა ვერცხლის ფული - ქართული თეთრი.

ევროპულ საზღვაო რუკებზე ბათუმი გამოსახულია ციხე-ქალაქის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული ნიშნით. იტალიელი კარტოგრაფის ჯ. გასტოლდის რუკაზე ბათუმთან ახლოს გამოსახული იალქნიანი გემი იმაზე მიანიშნებს, რომ ბათუმი მნიშვნელოვან სანავსადგურო ქალაქს წარმოადგენდა.

1614 წელს კი ბათუმში ჩამოვიდა ფრანგი მისიონერი იეზუისტთა ორდერიდან, ლუი გრანჟე. იგი წერს, რომ აქაურ მოსახლეობას ქრისტიანული რწმენის გამო ავიწროებდნენ და ასევე აღნიშნავს: „ბათუმი საქართველოს ნავსადგურია“, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ბათუმი ოსმალებს უხდიდა ხარკს, მაგრამ ამავე დროს კავშირი ჰქონდა საქართველოს სხვა რეგიონებთან და გარკვეულ დამოუკიდებლობასაც ინარჩუნებდა (უფრო დაწვ. იხ. **ლობჟანიძე 2010; https://www.flickr.com/photos/csem_archives/albums/72157707231432415?fbclid=IwAR2VTImPpGvhZhu4FoOrRompCdRt1HWpqzTAvHi0cbgIdIq8dR4tagwG3i4**).

თავიII. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და დასავლური სამყარო XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში

2.1. აჭარის ოსმალეთიდან გამოყოფის ისტორიულ-კულტურული ასპექტები

დასავლეთ-აღმოსავლეთის ოპოზიციის არსებობას ჩვენი ქვეყანა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გრძნობდა. ის ხან ერთი მხარის გავლენის სფეროში გადანაწილდებოდა, ხან მეორის. ქართული კულტურა თუ ერთგან დასავლურობის მახასიათებელს აკმაყოფილებს, სხვაგან ასეთივე წარმატებით აღმოსავლურისას, ხან კი არც ერთს და არც მეორეს.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ურთიერთობა დასავლეთთან უძველესი დროიდან იწყება, რაზეც ჩვენ წინა თავში ვისაუბრეთ, მიმოვიხილეთ როგორც ანტიკური ასევე შუა საუკუნეების პერიოდი და მათთვის დამახასიათებელი ფაქტორები. ამჯერად, ჩვენს საკვლევ პერიოდს წარმოადგენს უშუალოდ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი და XX საუკუნის დასაწყისი.

როდესაც ვსაუბრობთ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე და ზოგადად აღნიშნულ პერიოდში არსებულ გამოწვევებზე შეუძლებელია არ შევეხოთ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების - „თერგდალეულების“ მოღვაწეობას.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბებული ქართული ნაციონალური პროექტის მიმართულებები, უმთავრესად ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა. 1881 წლის “შინაურ მიმოხილვაში”, რომელიც “ივერიაში” გამოქვეყნდა, წარმოდგენილია სამოქმედო გეგმა, საზოგადოებრივი მოძრაობის ძირითადი პრიორიტეტები: “დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოვლის

მოსალოდნელის ფათერაკისაგან" **(ბაქრაძე 2006: 37).** ილიას აზრით, ნებისმიერი სახის საქმიანობა ამ დიადი მიზნის მიღწევისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, იქნებოდა ეს ბანკის შექმნა, თეატრის თუ სკოლის დაარსება.

ილია ჭავჭავაძე ძალიან კარგად აცნობიერებდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ევრპული ქვეყნების მდგომარეობას და საქართველოს მომავალი განვითარებისათვის მის მნიშვნელობას. განვითარება, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა აწმყოსა და წარსულზე. „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მერმისისაო". სწორედ გ.ვ. ლაიბნიცის ამ ფრაზაზე დაყრდნობით ცდილობდა ილია ქართველებში ეროვნული ცნობიერების ამაღლებას და მათში წარსულის სიყვარულისა და პატივისცემის გაღვივებას.

XIX ს მეორე ნახევრის საქართველოში ყველა „პარტიას" საერთო მიზნისაკენ სხვადასხვა გზა ჰქონდათ არჩეული. ზოგი, ე.წ. „პირველ დასს" ეკუთვნოდა (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვ. ფშაველა და სხვ.), ზოგი – „მეორე დასს" (გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და სხვ.). თითოეულ მათგანს მიზნად ჰქონდა ქვეყნის წარსულისა და აწმყოს ანალიზით, მისი შესაძლებელი მომავალი განვითარება გაეთვალისწინებინა. ცდილობდნენ ქვეყანაში არსებული ისეთი რეალური ძალა აერჩიათ, რომელზედაც დაყრდნობით შესაძლებელი იქნებოდა მთელი საზოგადოების ძალისხმევა წარემართათ სასურველი მომავლისაკენ, ე.ი. ქვეყანა მაშინდელი მსოფლიოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე გაეხადათ. პირველ დასს ასეთად მიაჩნდა მოსახლეობის ის ფენები, რომლებიც სოფლის მეურნეობით იყვნენ დასაქმებულნი. მეორე დასისათვის, წამყვანი ძალა შეიძლებოდა უფრო ვაჭრობაში და მრეწველობაში ჩაბმული მოსახლეობის ფენები ყოფილიყვნენ. მესამე დასი კი, რომელიც ჩამოყალიბერბის პროცესში იყო, რადიკალურად განსხვავებულ მიზანს ისახავდა. თვლიდა, რომ პროგრესული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კერძო საკუთრების უქონელი მშრომელები, რომელთა საკუთრება, როგორც ილია იტყოდა, მხოლოდ მათი მარჯვენაა, ე.წ. პროლეტარები, რომელნიც დასავლეთში, კარგა ხანია ძალაუფლებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ. მათი ინტერესების გამომხატველია კ. მარქსის (1818-1883 წწ) და ფრ. ენგელსის (1820-1895 წწ) ცნობილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" (1848 წ). პროლეტარიატის გამარჯვება, როგორც ადამიანის

ბუნებიდან გამომდინარე, ისე ისტორიის აუცილებელი კანონების ანალიზის საფუძველზე, მათ, თითქოს, ბუნების მეცნიერული სიზუსტით დაასაბუთეს და ამით ახალ რევოლუციურ მეცნიერებას საზოგადოების განვითარების შესახებ, ისტორიულ მატერიალიზმს, ჩაუყარეს საფუძველი.[7]

ეროვნულობის გადარჩენისა და კულტურის აღორძინებისთვის ზრუნვა თერგდალეულთა ფილოსოფიის ქვაკუთხედი იყო. ეს ყველგან იგრძნობოდა და ნათლად ჩანდა. მათმა პრაქტიკულმა მუშაობამ, უშუალო მონაწილეობამ განათლების, კულტურისა და ეკონომიკის განვითარების საქმეში საფუძველი ჩაუყარა ქართველთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთიანობას. მიუხედავად განსხვავებული აქცენტებისა, ყველა თერგდალეული მოითხოვდა ეროვნულ თანხმობას და რეალურად მუშაობდა იმისთვის, რომ ქართველ ხალხში სამოქალაქო და ნაციონალური თვითშეგნება გაეღრმავებინა (ჯონსი 2007: 58-59).

სწორედ თერგდალეულთა მოღვაწეობას უკავშირდება ლიტერატურის დანიშნულების ცვლა,რომელიც ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თაოსნობით დაიწყო. მათ პირველებმა დაამკვიდრეს რომანტიზმისაგან განსხვავებული, ნაკლებად რიტორიკული კრიტიკული რეალიზმი. ლიტერატურის ორიენტირის მკაფიოდ გამოკვეთა და მისი "ერის სამსახურში" ჩაყენება ნაციონალური პროექტის მნიშვნელოვანი ასპექტია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში დიდ როლს ასრულებს საკომუნიკაციო ენა. ილია გმობდა მწერლობას, რომელიც საეკლესიო, მძიმე, ხელოვნურ ენას ემყარებოდა. მისი მეთაურობით განხორციელდა ენის ცნობილი რეფორმა. ილია გახდა ახალი სალიტერატურო ენის შემომტანი და დამნერგავი. ანტონ კათალიკოსის "ანბანთ თეორეტიკაზე" დამყარებული საეკლესიო, მძიმე ენა (ლათინურის მსგავსად ევროპაში), შეიძლება ითქვას, მცირე, ელიტარული ნაწილისათვის იყო ხელმისაწვდომი.

ჩვენი აზრით, ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში, ევროპულის მსგავსად, უმნიშვნელოვანესი როლი ლინგვისტურმა მომენტმა ითამაშა. "ენის

[7] იხ. https://burusi.wordpress.com/2010/10/27/guram-tevzadze/

კანონმდებელი არის არა “ანბანთ თეორეტიკა”, არამედ ხალხი” (**ჭავჭავაძე 1981: 47**). ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები ნამდვილი ევროპული ნაციონალისტური ლოზუნგია.

აუცილებელია ასევე აღვნიშნოთ ვაჟა ფშაველას დამოკიდებულებაც აღნიშნული საკითხისადმი, რომელიც ძალიან კარგად ჩანს მის სიტყვებში: „ხალხი, ერი დედაა ენისა,იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას,როგორც დედა შვილს” (**ჩხეიძე 2009 : 67**).

XIX საუკუნის 60-იან წლებში, სამოციანელებად წოდებულმა თაობამ, ფაქტობრივად, ძალიან კარგი საფუძველი შექმნა ერის კონსოლიდაციისათვის და ქართული ცნობიერების აღდგენისათვის, ყველა რეფორმა თუ ღონისძიება, რომელიც ამ პერიოდში განხორციელდა, ემსახურებოდა ქართული ეროვნული სულისკვეთების აღდგენას და ერთიანი ბრძოლის დასაწყისისათვის მზადებას.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო საუკუნეების განმავლობაში ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფბოდა, არსებულ წყაროებზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა ძალ-ღონეს არ იშურებდა ეპოვა გამოსავალი და თავი დაეღწია ოსმალო დამპყრობლისაგან.

როგორც ვიცით, მთელი XIX საუკუნე რუსეთ-ოსმალეთს შორის მიმდინარეობდა დაპირისპირება და ბრძოლა პირველობისათვის. რუსეთი ყოველგვარ ძალას იყენებდა ოსმალეთის წინააღმდეგ. ადგილობრივი ფაშები, ბეგები ურთიერთობას არ წყვეტდნენ დანარჩენ საქართველოსთან, ამაზე მეტყველებს სელიმ ხიმშიაშვილის ჩანაწერები. ის არა თუ მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ქართველ თავადებთან, არამედ კიდევაც ემოყვრებოდა მათ. როგორც წყაროებიდან ჩანს, მამია გურიელის და მისი რძალი იყო. აჭარაში ოსმალთან განთავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ შეიძლება ვახსენოთ სელიმ ხიმშიაშვილის ბოლო ფრაზა: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემ შვილებს დავუტოვებ“ (**ახვლედიანი 1956: 94**). მართლაც, სელიმის გარდაცვალების შემდეგაც აჭარლები წინააღმდეგობას უწევდნენ სულთნის მოხელეებს. აჭარლებმა თავი გამოიჩინეს 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროსაც, ბრძოლა მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოსავლეთის საკითხი კვლავ გამწვავდა. რუსეთსა და დასავლეთს ევროპის სახელმწიფოთა (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია) ბრძოლა ოსმალეთის ტერიტორიების გადანაწილებისათვის ახალ სტადიაში შევიდა. ყირიმის ომში (1853-1856 წწ) განცდილი მარცხის შემდეგ რუსეთი წელში გაიმართა და ახალი ომისათვის მზადება დაიწყო. რუსეთის მისწრაფებას - ხელთ ეგდო ბოსფორ-დარდანელის სრუტეები და ქალაქი კონსტანტინეპოლი (დღევ. სტამბოლი) - ტრადიციულად ეწინააღმდეგებოდნენ ინგლისი და საფრანგეთი. სამაგიეროდ, რუსეთის ბრძოლას ოსმალათის წინააღმდეგ მხარს უჭერდა ბალკანეთის მოსახლეობა, რომელიც განმათავისუფლებელ ომს აწარმოებდა ოსმალეთის უღლის გადასაგდებად. ქართველი ერი მხარს უჭერდა რუსეთის ლტოლვას - განედევნა ოსმალეთი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოდან.

ინგლისს კარგად ესმოდა ამიერკავკასიის, კერძოდ ბათუმის დიდი მნიშვნელობა რუსეთისათვის. სწორედ ამიტომ, XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში ინგლისი აქტიურად ინტერესდება ამიერკავკასიით და ცდილობს ყველანაირი ბერკეტი ხელთ იგდოს რუსეთის ზრახვების შესაჩერებლად. ამის მაგალითია ინგლისელი უონდერერის მოგზაურობა საქართველოში. მიუხედავად არაერთგზის აკრძალვისა, ის მოგზაურობდა ფრონტისპირა ზოლში ბათუმთან ახლოს, ასევე თავის ჩანაწერებში გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ინგლისელები ცოტა აქტიურად მოქცეულიყვნენ რუსეთი ომს წააგებდა და კავკასიასაც დაკარგავდაო. ასეთი მოგზაურები ადრეც, 1875-1878 წლებშიც ზვერავდნენ, სწავლობდნენ მცირე აზიას და კავკასიას. მათი წყალობით ზუსტდებოდა კავკასიის რუკა და საერთო წარმოდგენა მის სამხედრო-სტრატეგიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე **(ჩხეიძე 1974: 11).**

ინგლისის პოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში ნათელი იყო. დიზრაელის „ომის ზღვარზე სიარულის პოლიტიკა“ რუსეთზე ზემოქმედების ძალიან კარგი საშუალება იყო. ინგლისის გეგმების მიხედვით ბათუმს საქართველოს და ამიერკავკასიას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. რუსეთთან ომის შემთხვევაში ყირიმის ომში დაშვებული შეცდომა აღარ უნდა განმეორებულიყო. ე.ი. მთავარი ძალები საქართველოში უნდა გადმოესხათ. ბუნებრივია, ამის შესახებ ძალიან კარგად იცოდნენ რუსეთშიც.

რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი დააჩქარა ბალკანეთის სლავი ერების აჯანყებამ ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც 1875 წელს დაიწყო. ბალკანეთზე სლავების აჯანყებას ოსმალეთის დამსჯელი ექსპედიციების ამოქმედება მოჰყვა. ინგლისისაგან წაქეზებულმა ოსმალეთმა ყურად არ იღო რუსეთის მოთხოვნა, შეეჩერებინა დამსჯელი ექსპედიციები. ოსმალეთის მიერ რუსეთის მოთხოვნის უგულებელყოფა ხელსაყრელი საბაბი იყო ომის დაწყებისათვის. 1877 წლის 24 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს.

რუსეთის არმიის შეჭრას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სიხარულით შეეგებნენ სლავები. 1877 წელს რუსებმა ალყა შემოარტყეს ოსმალეთის მთარ ციხე-სიმაგრეს პლევნას, ამავე დროს მათ დაიკავეს შიპკის უღელტეხილი, რათა არ დაეშვათა ოსმალეთის დამატებითი ძალების გამოსვლა სამხრეთი ბალკანეთიდან.

რუსეთ-ოსმალეთის ომი მარტო ბალკანეთზე არ მიმდინარეობდა, საომარი მოქმედებები დაიწყო ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც. ქართველებს იმედი მიეცათ, რომ აჭარა და საერთოდ მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ამჯერად მაინც დაუბრუნდებოდა საქართველოს.

აჭარის ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ოსმლოს საქართველოს“ საკითხისადმი ქართველი საზოგადოება განსაკურებით XIX სუკუნის 60-70-იან წლებში დაინტერესდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, მამია გურიელმა, ივანე კერესელიძემ, გიორგი წერეთელმა. ივანე კერესელიძე შეხვდა და ესაუბრა აჭარაში პოპულარულ პიროვნებას, აჭარელთა თავკაცს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს. ქართველი საზოგადოების დაინტერესება გამოიწვია 1875 წელს აჭარაში დაწყებულმა აჯანყებამ. ოსმალეთის სულთანმა ბრძანა აჭრაში ჯარის შეკრებადა და აჯანყებული სლავების წინააღმდეგ ბრძოლაში გაგზავნა, რაზეც აჭარლებმა უარი განაცხადეს და აჯანყდნენ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო სახალხო ლაშქრის შედგენა, რომელიც შემდეგ ხანებშიც გაგრძელდა. სულ ომის პერიოდში სახალხო ლაშქარმა შეადგინა 38 ათასზე მეტი კაცი **(ვაჩნაძე, გურული 2014: 113)**.

რუსეთ-ოსმალეთის იმის დაწყების დროისათვის კავკასიაში რუსეთს საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა გააჩნდა. კავკასიაში საომარი მოქმედებებისათვის ოსმალეთიც სერიოზულად იყო მომზადებული. აქტიური მოქმედებები კავკასიის ფრონტზე დაიწყო 1877 წლის აპრილში. 1877 წელსვე რუსებმა აიღეს ქალაქები ბაიაზეთი და არტაანი. რუსეთის სარდლობამ ვერ შეძლო მოპოვებული წარმატებების შენარჩუნება. მათ მარცხი განიცადეს აჭარაშიც. ამ ომში რუსეთის ჯარების შეტევა ბათუმზე ითვლებოდა არა მარტო რთულ ოპერაციად, არამედ შეუძლებლადაც. ციხისძირის ბუნებრივი პოზიცია და ზღვის სანაპიროზე ოსმალთა ბატონობა შეუძლებელს ხდიდა მარტო სახმელეთო ზალებით ბათუმის დაუფლებას. მართალია, 1877 წელს ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადასულმა ჯარებმა დაიკავეს სოფლები მუხაესტატე და ხუცუბანი, მაგრამ შემდეგ წინ ვეღარ წაიწიეს. ბათუმისაკენ მიმავალ გზაზე უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა ზღვის პირას მდებარე ციხისძირი, რომლის დასაცავად ოსმალეთის სარდლობამ 35 ათას კაცს მოუყარა თავი. გარნიზონს აქტიურად უჭერდა მხარს სამხედრო ფლოტი. რუსებმა ამის გამო ციხისძირიო ვერ აიღეს.

მარცხი განიცადეს რუსებმა აფხაზეთშიც. 1877 წლის შემოდგომაზე რუსები სამხრეთით შეტევაზე გადავიდნენ და ყარსი აიღეს. 1878 წლის იანვრისთვის მთელი შავშეთი რუსეთის ჯარებისა და ქართული სახალხო ლაშქრის მიერ იქნა დაკავებული.

წარმატებით ვითარდებოდა ბრძოლები ბალკანეთზე. რუსეთის ჯარები სტამბოლს მიუახლოვდნენ. ოსმალეთი სრული კატასტროფისაგან ინგლისმა იხსნა, რომელმაც რუსეთს შეტევის შეჩერება მოსთხოვა. რუსეთის საიმპერატორო კარმა თავი აარიდა ინგლისთან ურთიერთობის გართულებას და ახალ ომს. რუსეთის ჯარები სტამბოლთან ახლოს მდებარე დაბა სან-სტეფანოში შეჩერდნენ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1878 წლის 3 მარტს გაფორმდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება. სან-სტეფანოს საზვის პირობებით დამოუკიდებლობა მიიღეს ბულგარეთმა, ჩერნოგორიამ და რუმინეთმა. რუსეთს უნდა გადასცემოდა ევროპაში ბესარაბია, აზიაში - სახრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიული ტერიტორია (ტაო-კლარჯეთი, აჭარა, ლაზეთი). სან-სტეფანოს ზავის თანახმად რუსეთს შეეძლო მიეღო არტაანი, ბაიაზეთი, ბათუმი ყარსი და სხვა ტერიტორიები, ან მათ სანაცვლოდ

აეღო დიდი რაოდენობის კონტრიბუცია. როგორც უკვე ვთქვით, რუსეთმა ტერიტორიები აირჩია. იმპერატორმა ალექსანდრე II განაცხადა: „მარტო ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ რუსეთმა მათთვის გასწიროს რამდენიმე მილიონი“ **(ვაჩნაძე, გურული 2014: 115).**

ამ ზავის პირობებით მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ ევროპის სახელმწიფოები. ისინი აშკარად ხედავდნენ, რომ ხელშეკრულება ხელს უწყობდა რუსეთის გაძლიერებას როგორც ევროპაში, ისე აზიაში. ეს კი არ შეესაბამებოდა მათ ინტერესებს. მაგალითად, ინგლისის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ ინგლისი ყოველნაირად შეეწინააღმდეგებოდა ოსმალეთსა და რუსეთს შორის დადებულ სეპარატისტულ ხელშეკრულებას. ისიც უნდა ითქვას, რომ ინგლისის მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრი წინააღმდეგი არ იყო რუსეთისათვის ბათუმის გადაცემაზე იმ პირობით, თუ რუსეთი უარს იტყოდა მისი საზღვრების სამხრეთით გაფართოებაზე. ინგლისმა დაიწყო რუსეთის დაშინება. თუ რუსეთი არ გადახედავდა 1856 წ ხელშეკრულების პირობებს და დათმობაზე არ წავიდოდა მათ სასარგებლოდ, საომარ მოქმედებებს განაახლებდნენ. ინგლისმა მარმარილოს ზღვაში შეიყვანა თავისი ფლოტი. რუსეთი აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში. მას არ შეეძლო ომი განეახლებინა, ეს მისთვის დამღუპველი აღმოჩნდებოდა.

სწორედ ინგლისის ინიციატივით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა მიაღწიეს სან-სტეფანოს ზავის გადასინჯვას. ბერლინის კონგრესის მოწვევას წინ უძღოდა ახლოაღმოსავლური საკითხით დაინტერესებული სახელმწიფოების - ინგლისის, რუსეთის, და ავსტრია-უნგრეთის დიპლომატიური სამზადისი. მართალია, აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის ცალკ-ცალკე, კონგრესის შეკრების წინა ხანებში დაიდო საიდუმლო შეთანხმებები, მაგრამ ბევრი მწვავე პრობლემა ჯერ კიდევ არ იყო ბოლოდე გადაწყვეტილი. ამიტომ, ეს საკითხები კონგრესზე მსჯელობის საგნად უნდა გამხდარიყო. ასეთი იყო ბათუმის საკითხიც. როგორც მკვლევარი მედლიკოტი აღნიშნავს, კონგრესზე სასტიკ დიპლომატიურ ორთაბრძოლებს ჰქონდა ადგილი და აქ მიღებული გადაწყვეტლებანი არ წარმოადგენდა კონგრესის შეკრებამდე მიღწეული შეთანხმებების რეგისტრაციას **(იხ. ჩხეიძე1974: 48).**

1878 წლის 1 ივნისს ბერლინში გერმნაიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის თავმჯდომარეობით მუშაობას შეუდგა 1856 წლის პარიზის ზავზე ხელმომწერი ქვეყნების კონგრესი. მართალია, „რკინის კანცლერმა“ ადრე განაცხადა, რომ სურს დარჩეს ,,პატიოსან მაკლერად” და არც ერთ მხარეს არ მიანიჭოს უპირატესობა, მაგრამ სან-სტეფანოს ზავის გადასინჯვისას, იგი რუსეთის მოწინააღმდეგეებს მიემხრო. რუსეთი ამ კონგრესზე აშკარა იზოლაციაში აღმოჩნდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ინგლისი. სხვათა შორის, ინგლისი ხედავდა, რომ რუსეთის დელეგაციაში არ იყო ერთიანობა და ამას ბრწყინვალედ იყენებდა თავის სასარგებლოდ. საქმე იმაშია, რომ რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა თავადი გორჩაკოვი, რომელიც 80 წელს იყო მიტანებული. ამის გამო დელეგაციის ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო შუვალოვი. კონგრესის მსვლელობისას მათ შორის ხშირად იძაბებოდა ურთიერთობა. ზოგიერთი სხდომა ისე ტარდებოდა, რომ ისინი ერთმანეთს ხმასაც არ სცემდნენ და ზოგიერთ საკითხში სხვადასხვა აზრისანი იყვნენ. მაგალითად, რუსეთის ელჩი გერმანიაში და დელეგაციის წევრი ბარონი უბრი ამბობდა, რომ ჩემთან საუბარში შუვალოვი აღშფოთებული იყო გორჩაკოვის წინდაუხედაობით. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს მოხუცი სრულებით ვერ ერკვევა რუკებშიო და ზოგჯერ ის ჩემ ჯიბრზე რუკებზე ინგლისელებს ისეთ საიდუმლო ადგილებს უჩვენებდა, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას განეკუთვნებაო. ეს მართლაც ასე იყო. მაგალითად, გორჩაკოვმა ინგლისის პრემიერ-მინისტრს ბიკონსფილდს უჩვენა საიდუმლო რუკა, რომელიც ინგლისელებმა შემდეგ მოხერხებულად გამოიყენეს. რუსეთის დიპლომატიის ასეთმა ლაფსუსებმა ძლიერი დაღი დაასვა კონგრესის მსვლელობას მიუხედავად ამისა, რუსებმა მაინც მოახერხეს მდგომარეობის თავის სასარგებლოდ შემობრუნება **(გოგოლიშვილი 2009 :60)**

ბათუმის საკითხმა კონგრესზე აზრთა დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. თავდაპირველად ბათუმის რუსეთისათვის გადაცემის წინააღმდეგი იყო ინგლისის დელეგაცია. განსაკუთრებით აქტიურობდა საგარეო საქმეთა მინისტრი სოლსბერი. ერთ-ერთ კერძო საუბარში ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ყარათეოდორ ფაშასთან სოლსბერიმ აღნიშნა, რომ ინგლისი ყოველ ღონეს იხმარს, რომ ბათუმი დარჩეს ან ოსმალეთს, ან ჩვენ (იგულისხმებოდა ინგლისი - ა. ვ.). ბათუმს ასევე, როგორც ზემოთ ითქვა, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის იმპერატორი. მან

რუსეთის დელეგაციას პირდაპირ დაავალა, რომ კონგრესის დადგენილებას შევასრულებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბათუმი ჩვენი იქნებაო. ინგლისი ასევე ცდილობდა ბათუმის საკითხში მის მხარეზე დამდგარიყო საფრანგეთი ამ მიზნით, კონგრესის მიმდინარეობის დროს გაიმართა მოლაპარაკება სოლსბერსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ვადიგტონს შორის, სადაც შეთანხმდნენ იმაზე, რომ საფრანგეთი წინ აღუდგებოდა ბათუმის რუსეთისათვის გადაცემას. მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა სკანდალი. ერთ-ერთმა ინგლისურმა გაზეთმა გამოაქვეყნა რუსეთ-ინგლისის 1878 წლის 18 მაისის საიდუმლო შეთანხმება, რომლის ძალითაც ინგლისი უთმობდა რუსეთს ბათუმს. ამ შეთანხმებამ ინგლისის საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ერთ-ერთმა ინგლისურმა გაზეთმა მოითხოვა ბიკონსფილდის კაბინეტის გადადგომა და ხელშეკრულებაზე ხელმომწერთა დასჯა **(გოგოლიშვილი 2009 : 60-61)**

ამ დროს შუამავლის როლის შესრულება იკისრა გერმანიამ. რაიხსკანცლერ ბისმარკსა და შუვალოვს შორის გაიმართა მოლაპარაკება, რომლის დროსაც შუვალოვმა სთხოვა ბისმარკს, გამოეყენებინა მისი დიდი ავტორიტეტი და ეიძულებინა ინგლისი დათმობაზე წასულიყო ბათუმის, ყარსის, არდაგანისა და სხვა საკითხებში. გერმანია დათანხმდა რომ იგი ამ საკითხებში მხარს დაუჭერდა რუსეთს. ასევე ბისმარკსა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ კორტის შორის გაიმართა საიდუმლო მოლაპარაკება, სადაც აღინიშნა მათი შეშფოთება ინგლისის პოლიტიკის გამო. სწორედ ამან გადაწყვიტა ბათუმისა და სხვა მხარეების რუსეთისადმი გადაცემის საკითხი. როდესაც ბისმარკმა კონგრესის სხდომაზე ეს განაცხადა და მას ამაში დაეთანხმნენ იტალიის დელეგაციის წარმომადგენლები. განცვიფრებულმა ინგლისელებმა ჯერ გადაწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. ბათუმი გადადიოდა რუსეთის ხელში და ის ცხადდებოდა პორტო-ფრანკოდ (თავისუფალი სავაჭრო ნავსადგური). უკანასკნელ სხდომაზე, 1878 წლის 1 ივლისს, კონგრესის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს 64-მუხლიან ხელშეკრულებას, რომელიც ბერლინის ტრაქტატის სახელწოდებითაა ცნობილი **(გოგოლიშვილი 2009 : 60-61)**

1878 წლის ბერლინში ხელმოწერილი ტრაქტატით რუსეთს გადაეცა ოსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიები: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი. ბერლინის ტრაქტატის ძალით, ბათუმი რუსეთს პორტო-ფრანკოს (თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურის) სტატუსით გადაეცა.

ბერლინის ტრაქტატის ხელმოწერის დღეს აღნიშნული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი რუსეთის ჯარებს ეკავათ. მხოლოდ აჭარაში, მათ შორის ბათუმშიც რჩებოდა ოსმალეთის ჯარები. ოსმალეთი აჭიანურებდა აჭარიდან ჯარის გაყვანას. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარები ბათუმში შევიდნენ. იმავე დღეს ბათუმში შევიდა რუსეთის სამხედრო ფლოტი. ბათუმი პორტო-ფრანკოდ რჩებოდა 1886 წლამდე. ამ წელს რუსეთმა ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსი ცალმხრიდავ გააუქმა.

რუსეთის მიერ აჭარის შემოერთებას მოჰყვა მუსლიმი ქართველების ოსმალეთში გადასახლება (მუჰაჯირობა), რასაც ხელს უწყობდა რუსეთი. მუსლიმანი ქართველების მასიური გასახება ოსმალეთში, ჩვენს ისტორიაში ცნობილია მუჰაჯირობის სახელით. ეს ტერმინი, დამკვიდრებულია რევოლუციამდელ პერიოდში და შემორჩა დღემდე. თუმცა, არნიშნული ტერმინის გამოყენება ქართველი ხალხის ნაძალადევი გასახლებისა ოსმალეთში არაა მართებული. „მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა და ქართულად სამშობლოდან ნება-სურვილით წასვლას ნიშნავს, მაგრამ ქართველი ხალხი ნება სურვილით არ ტოვებდა სამშობლოს.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების შემდეგ ოსმალებმა დაიწყეს ადგილობრივი მოსახლობის ოსმალეთში გადასახლება. ამას ხელს უწყობდნენ სამშობლოს მოღალატეები, განსაკუთრებით ზედაფენების წარმომადგენლები, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ და საზგადოებას თურქეთში გადასვლისაკენ მოუწოდებდნენ: „აქ არ დარჩეთ, თორემ ჯეენეთს თვალით ვერ ნახავთ, აქ ცხოვრებას ოსმალეთში დაღუპვა უნდა არჩიოთ, იმიტომ რომ მუსლიმანის ბინა იქაა, მისი ფადიშახი იქ ზის“ **(მეგრელიძე 1956: 49).** იგივე მითს ავრცელებდნენ მოლები და ხოჯები აჭარაში, რელიგიის ზეგავლენით მოქმედებდნენ მორწმუნე ადამიანების გრძნობებზე.

თავის მხრივ, რუსეთიც დაინტერესებული იყო სახელმწიფო საზღვრიდან რაც შეილება მეტი მუსლიმი ქართველი მოეშორებინა. სწორედ ამიტომ, რუსებმა აჭარის მაჰმადიან მოსახლეობას აუტანელი პირობები შეუქმნეს. „მუჰაჯირობას“ ხელს უწყობდა ოსმალეთის აგენტურაც, მოსახლეობას მოუწოდებდა დაეტოვებინათ რუსეთის შემადგენლბაში გადასული ტერიტორია. სულ 1877-1878 წლებში მუჰაჯირობის პერიოდში აჭარიდან გადაიხვეწა დაახლობით 30 ათასი ქართველი მაჰმადიანი (ვარდმანიძე 2001: 46)

რუსეთის არმიის სარდლობამ, ძირითადად, ჩაიბარა ბათუმი, მაგრამ ოსმალეთის ჯარების გასვლა 31 აგვისტომდე გრძელდებოდა. 31 აგვისტოს დევრიშ-ფაშას უკანსკნელი გემი გავიდა ბათუმიდან.

რუსეთის შემოსვლის წინ გაზეთებში იწერებოდა, რომ სამხრეთ საქართველში შემოსვლა უნდა მომხდარიყო სრული წესიერების დაცვით, რათა ხალხი არ დაფრთხეს და ინგლისისა და სულთანის არ მიეცეთ საშუალება ეს მდგომარეობა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენონ. გაზეთ „დროებაში“ (მესხი 2000 :133) ეს აზრი სერგეი მესხმა ასე ჩამოაყალიბა:

1. რუსეთის ჯარი უნდა შევიდეს კეთილშობილურ დამოკიდებულებით. ისინი დასაჩაგრად კი არ მოდიან, არამედ როგორც მოძმე და მეგობრები მათი.
2. ჯარს უნდა მიუძღოდენ ისეთი კაცები, რომლებიც იცნობენ მათ ჩვეულებას და ისინი იმათს. ასეთები არიან გრ.გურიელი და მეფისოვი.
3. ჩვენმა მთავრობა ადგილობრივ ენაზე უნდა გამოუშვას პროკლამაციები, რომ ჩვენ მათი მტერი არა ვართ, არამედ მეგობრები და კეთილმოსურნეები ვართ.

აჭარის საქართველოსთან მიერთება უდიდესი მოვლენა იყო ქართული საზოგადოებისათვის. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა, ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“ **(მესხი 2000 : 135).**

ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით 1878 წლის ნოემბერში აჭარის დეპუტაცია თბილისში მიიწვიეს და მათ პატივსაცემად ბანკეტი გამართეს. დეპუტაციაში

შედიოდნენ: ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი (ბეჟანიძე), ჰუსეინ აბაშიძე, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი და სხვები. ბანკეტის სტუმრებს ბრწყინვალე სიტყვებით მიესალმა გრიგოლ ორბელიანი. საპასუხო სიტყვა დახვეწილი ქართულით წარმოსთქვეს ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძემ და შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა: „კაი იქნება ბატონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყვნენ შემოერთებული, მაგრამ თუ აგი არ მოხდა, საცაა უნდა იქნეს, ვინატროთ ბედნიერად იყვნენ. განათლება ეჭირება, ბატონებო იმათ. ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები, წადით გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ; სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა... აბა რა ძმა ხართ თუ ისე აბდლურად დატოვებთ“ **(ახვლედიანი 1956: 144)**.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი, რომელსაც აჭარის საქართველოსთვის შემოერთება მოყვა, მნიშვნელოვანი მოვლენაა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. საქართველოს მოსახლეობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედით, ძალდაუტანებლად, საკუთარი ნებით მონაწილეობდა ამ ომში.

თერგდალეულები (ნიკო ნიკოლაძე და სხვები) აქტიურად მოუწოდებდნენ საზოგადოებას ომში მონაწილეობისკენ. საზოგადოების განწყობაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: ქუთაისის გუბერნიაში ომში წამსვლელთა რიცხვი ორჯერ მეტი აღმოჩნდა გასაწვევ კონტინგენტთან შედარებით, გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოხალისედ ეწერებოდა სიაში. საქართველოში მილიციონერთა ორმოცამდე ცხენოსანი და სამოცამდე ქვეითი ასეული ჩამოყალიბდა. ფრონტისპირა ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ყველანაირ დახმარებას უწევდა არმიას მომარაგების კუთხით. ამ ომთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ცნობა, რომელსაც ნიკო ბერძერნიშვილი გვაწვდის: “მოვიტან ორი ლოდის წარწერის შინაარსს (შემოქმედიდან და მაწევნიდან). თითოეული შეიცავს ცნობას ვაჟკაც–მეომრის დაღუპვის შესახებ თურქებთან ომში. ჭავჭავაძე დაღუპულია 1853 წელს გურიის ფრონტზე, საგინაშვილი კი დაღუპულია იმავე გურიის ფრონტზე, მაგრამ უფრო გვიან – 1877 წელს. პირველი გლოვობს თავის უცხოეთში დამარხულობას, მეორე ეპიტაფიაში კი ხაზგასმულია მეომრის დაღუპვა სამშობლოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში ... და როგორ ნიშანდობლივ ეხმაურება ამ წარწერათა შინაარსი იმ ტეხილს, ქართველი საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებაში რომ ხდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ამ მონაკვეთში” **(ბერძენიშვილი 1964: 360).**

ეს მცირე მოგონება, ვფიქრობთ, ნათლად გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ქართული საზოგადოების ნაციონალური თვითშეგნების ხარისხი გაცილებით მაღალი იყო, თუნდაც ამავე საუკუნის პირველ ნახევარში არსებულ ვითარებასთან შედარებით, რაც, დიდწილად 60-იან წლებში დაწყებული მოძრაობის დამსახურებად მიგვაჩნია.

ილია ჭავჭვაძე ბერლინის კონგრესის შეფასებისას თავის ნაშრომში „ოსმალო საქართველო“ აღნიშნავს, რომ ბერლინის კონგრესი საქართელოსთვის და ქართველი ხალხისათვის დიდად მნიშვნელოვანია, იმ მხრივ, რომ საუკუნეების განმავლობაში ერთიან საქართველოს მოწყვეტილი აჭარა კვლავ შემოუერთდა დედა-სამშობლოს. ამიტომ, ის როგორც საქართველოში გაბატონებულ ადმინისტრაციას, ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და ჩვეულებრივ მოსახლეობას თხოვდა ყველაფერი გაეკეთებინათ იმისათვის რომ აჭარა მაქსიმალურად უმტკივნეულოდ დაბრუნებოდა ძირძველ ტრადიციებსა და კულტურას.

ამ მხრივ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება უნდა განხორციელებულიყო: 1. ქართული სკოლების გახსნა აჭარაში და მშობლიურ ენაზე განათლება; 2. ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაციაში დანარჩენი საქართველოს ეკონომიკური თანადგომა აჭარის მოსახლეობისათვის; 3. აჭარაში მთავრობის მიერ ისეთი მოხელეების დანიშვნა, რომლებიც იქნებოდნენ შემოწმებულნი და მოსახლეობისადმი კეთილად განწყობილნი; 4. მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის საკითხის მოწესრიგება; 5. ქ. ბათუმში ეროვნული ინტელიგენციის გაძლიერება, ქალაქის თვითმმართველობის დაარსება და მისი დემოკრატიზაცია.

ილია ჭავჭავაძე 1879 წლის იანვრის შინაურ მიმოხილვაში აგრეთვე მიუთითებდა ბათუმისადმი საერთაშორისო დაინტერესების გაზრდას ბერლინის კონგრესის შემდეგ, რომ მისი საქართველოსთან დაბრუნებით ამ რეგიონს უპირატესი ადგილი მიენიჭა აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტაში. ,,ეს პატარა ქვეყანა, - წერდა ილია, - რომელსაც ამიერკავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოველისფრით ქართველობას უპყრია, დღეს იმ ქვეყნად შეიქმნა, რომელშიც, ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ გამოიკვანძა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა“ **(,,ივერია“ #1, 1879).**

როგორც ვხედავთ, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ამიერკავკასია, კერძოდ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო თავის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას საერთაშორისო მასშტაბით არ კარგავს. ახლო აღმოსავლეთის საკითხით არა ერთი ევროპული სახელმწიფო გალდათ დაინტერესებული, რუსეთი თავის მხრივ ცდილობდა ბათუმის დაუფლებით შავ ზღვაზე დასაყრდენის მოპოვებას და შემდგომი გეგმების - კონსტანტინეპოლის, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებას, რითაც ის შეძლებდა ევროპისა და აზიის გზაგასაყარ რეგიონში სრული კონტროლის მოპოვებას.

ინგლისის მისწრაფებები რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის პროცესშიც და შემდგომ, უკვე ბერლინის კონგრესზეც ნათელი იყო. ის მაქსიმალურად ცდილობდა რუსეთის გეგმებისათვის ხელის შეშლას და თავის პოზიციების გამაგრებას ოსმალეთის ხარჯზე. 1877-1878 წლების ომის დაწყებისთანავე ინგლისის პარლამენტში ბათუმის მიმართ საგანგებო ინტერესმა იჩინა თავი, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ პარლამენტში ბერლინის კონგრესის შედეგების განხილვისას გამოჩნდა. ეს კი იმის გამოხატულებას წარმოადგენდა, რომ ინგლისის მმართველი წრეები ბათუმს გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ბათუმის საკითხისადმი გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი განსაკუთრებით ოფიციალური პრესის ფურცლებზე აისახებოდა. გაზეთი „ტაიმსი“, რომელიც პარლამენტის ორივე პალატის სხდომების ანგარიშებს ბეჭდავდა, ბათუმის შესახებ სპეციალურ წერილებსაც აქვეყნებდა. ინგლისის საზოგადოებრიობა ბათუმის საკითხს უმთავრესად ამ გზებით ეცნობოდა. პარლამენტი და პრესა ბათუმის საკითხში მთავრობის პრაქტიკულ საქმიანობაზე დიდ გავლენას ახდენდა. ამ საკითხისადმი ყურადღების გამახვილებით პრესა და პარლამენტი საზოგადოებრიობას რუსეთის მიმართ მტრულ განწყობილებას უმაღლებდნენ და მთავრობას ახლო აღმოსავლეთში მეტი ინტერესის გამოჩენისაკენ მოუწოდებდნენ.

საფრანგეთი ამ პერიოდში დაჟინებით ეძებდა საგარეო-პოლიტიკური იზოლაციდან გამოსავალს, რომელშიც პარიზი აღმოჩნდა პრუსიასთან ომის (1870-1871 წწ) შემდეგ. ამავე დროს, 1875 წელს გაუარესდა საფრანგეთ-ბრიტანეთის ურთიერთობა, მას შემდეგ, რაც 26 ნოემბერს ცნობილი გახდა, რომ ლონდონმა 100 მილ. ფრანკად შეიძინა სუეცის არხის 177 ათასი აქცია. მართალია, პარიზს დარჩა

აქციის ნაწილი, მაგრამ მის უფლებებს არავინ არ აღიარებდა. ეს გარიგება განხორციელდა კონსპირაციულად, რასაც შეუძლებელია საფრანგეთის გაღიზიანება არ გამოეწვია.

გერმანიას ამ პერიოდში არ ჰქონდა უშუალო ინტერესები ბალკანეთში და, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთში. თუმცა, კონფლიქტის დასაწყისშივე ბერლინის როლი დიდი იყო. ამ კრიზისმა გერმანიის დიპლომატიას ფართო შესაძლებლობები გაუხსნა. ამავე დროს, იგი ფარული და საშიში გახდა. ბისმარკის ამოცანა იყო: 1. მაქსიმალურად დაეპირისპირებინა ინგლისი და რუსეთი; 2. აღეკვეთა საფრანგეთის და რუსეთის დაახლოება; 3. აეცილებინა კონფლიქტი ავსტრიასა და რუსეთთან. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1875-1877 წწ. აღმოსავლეთის კრიზის დროს ის, ერთი მხრივ აქეზებდა პეტერბურგს თურქებთან ომისათვის, მეორე მხრივ კი, გადაჭრით გააფრთხილა რუსეთის ხელისუფლება, რომ ბერლინი არ დაუშვებდა ავსტრიის დაშლას.

ზემოთ აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს თუ რაოდენ აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო ბათუმის საკითხი XIX საუკუნის 70-იან წლებში ევროპის სახელმწიფოებისათვის. შეიძლება ითქვას რომ, სწორედ საერთაშორისო ინტერესმა და გეოპოლიტიკურმა მნიშვნელობამ მოგვცა ის შედეგი, რითაც ბერლინის კონგრესზე რუსეთს ბათუმი გადაეცა თავისუფალი ნავსადგურის - პორტო-ფრანკოს სტატუსით, რაც ძალიან კარგი საშუალება იქნებოდა ბათუმის როგორც საერთაშორის სავაჭრო ნავსადგურის განვითარებისათვის.

2.2. ბათუმი - „საიმედო თავშესაფარი შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში“ XIX საუკუნის 60-70- იან წლებში

XIX საუკუნიდან იწყება დასავლეთის სახელმწიფოთა სწრაფვა ბათუმის გზით დაემყარებინათ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები აღმოსავლეთის მდიდარ რეგიონებთან. ეს იმით აიხსნება, რომ შავიზღვისპირეთის პუნქტებს შორის ბათუმი გამოირჩეოდა თავისი საზღვაო-სანავსადგურო პირობებით. კერძოდ იგი ფლობდა მყუდრო, ბუნებრივ ნავსაყუდელს. „ბათუმის ნავსადგური ერთადერთი საიმედო თავშესაფარია ხომალდებისათვის შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწიში“. წერდა კ.მარქსი **(იხ. ჩხეიძე 1959: 27).**

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან კაპიტალისტური წარმოებისა და ვაჭრობის შემდგომი განვითარების შედეგად იზრდება ბათუმის როგორც სანავსადგურო პუნქტის კომერციული მნიშვნელობა. ბათუმის გარდა მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ მოიპოვება ისეთი მოხერხებული საზღვაო პუნქტი, სადაც გემებს შეეძლებოდათ ყოველგვარ ამინდში შესვლა და სატვირთო ოპერაციების წარმოება. ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუსი“ 1876 წელს წერდა: „ ბათუმის პორტი ერთადერთი უსაფრთხო ნავსაყუდელია შავი ზღვის მთელ სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროზე ყირიმამდე. აქ წყალი იმდენად ღრმაა, რომ ყველა დიდ გემს შეუძლია ჩაუშვას ღუზა ნაპირის ახლოს; გემების დატვირთვა და გადმოტვირთვა შეიძლება ყოველგვარ ამინდში. ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ქარები, რომლებიც აღწევენ კავკასიის ნაპირებს არასოდეს არ უბერავენ ბათუმის ნავსაყუდელის სანაპიროს“ **(იხ. ჩხეიძე 1974: 45).**

1862 წლის ბათუმის შესახებ ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი ერისთავი წერდა: „აქ მრავალი გემი იალქანგაშლილნი, დიდროვანნი ნავნი და პატარა ლოტკები მიმოსცურავენ“ **(იხ. ჩხეიძე 1974:47**). თუ ადრე აქ მხოლოდ თურქული გემები შემოდიოდნენ, უკვე XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან სისტემატურად შემოდიოდნენ

ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების, ინგლისის, საფრანგეთის, ნორვეგიის, იტალიიის, ავსტრიის და სხვა ქვეყენბის სავაჭრო გემები.

ყოველივე ეს ზრდიდა ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვას. ძირითადად შემოჰქონდათ სხვადასხვა მანუფაქტურული ნაწარმი. ინგლისიდან შემოდიოდა მანჩესტერის საფეიქრო ნაწარმი; რუსეთიდან ქვანახშირი, რკინა, მარცვალი; საფრანგეთიდან შაქარი და სხვ. გაჰქონდათ ხე-ტყე, აბრეშუმი, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი **(უზუნაძე 1997: 22).**

ბათუმის როგორც სავაჭრო პუნქტის მნიშვნელობის ზრდამ, ინტენსიურმა ნაოსნობამ, თანდათან ხელი შეუწყო ბათუმის საქალაქო ცხოვრების განვითარებას. „ბათუმში სულ უფრო იგრძნობა გამოცოცხლება და ზრდა, როგორც მოსახლეობის, ისე ვაჭრობის მხრივ“.. წერდა იტალიელი კონსული მალმუზი **(იხ. აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში 2019: 35).**

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდელი ბათუმი საკმაოდ აქტიურადაა ჩართული სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ბათუმის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ ევროპის ძლიერი სახელმწიფოები. გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმი კულტურული თვალსაზრისითაც იწყებს აღმავლობას, რაც განაპირობა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა კულტურის ხალხების მიმოსვლამ ქალაქში. ძალიან საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ამ დროის უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები ბათუმზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე. თუმცა, უნდა ითქვას, ისიც, რომ მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, ამ პერიოდის ბათუმი მაინც ტოვებდა აზიური ტიპის ქალაქის შთაბეჭდილებას. ოსმალეთის მთავროება არანაირ ზომებს არ ღებულობდა ქალაქის კეთილმოსაწყობად. ინგლისური გაზეთის „დეილი ნიუსის“ ცნბით: „ოსმალებისაგან არ შეიძლება მოველოდეთ რაიმე არსებით გაუმჯობესებას ბათუმისათვის“ **(იხ. უზუნაძე, 1997: 66).**

ოსმალეთის მფლობელობაში ყოფნის პერიოდში ბათუმმა ვერ შეძლო გამოეყენებინა თავისი შესაძლებლობანი, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთ ძალზე მოხერხებულ საზღვაო პუნქტს. ნ. ნიკოლაძე გულისტკივილით წერდა: „ცოდვა არ არის ამისთანა ბუნებისაგან მდიდრად დაჯილდოებული ბოღაზი,

რომელიც აღებ-მიცემობით აყვავილებული უნდა იყოს, ასე ღარიბად გამოიყურებოდეს“ **(იხ. უზუნაძე, 1997:69).**

ამის მიზეზი ის იყო, რომ ოსმალეთი წარმოადგენდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანას, სადაც ძალიან ნელი ტემპით ვითარდებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო სავაჭრო ურთიერთობები.

ამ მხრივ საინტერესოა სერგი მესხის ჩანაწერები ბათუმის შესახებ როგორც ვიცით, სერგი მესხი ერთ-ერთი იყო იმ პირთაგან, რომლებმაც პირველებმა შემოაბიჯეს ოსმალთა განდევნის შემდგომ აჭარაში. ის დაწვრილებით აღწერს აჭარაში მოგზაურობას: „ბათუმი წმინდა აღმოსავლური, აზიური ქალაქია. ბაზარი ქუჩების სიბინძურე. შენობების არქიტექტურა. ხალხის ცხოვრება, - ყველაფერი აზიას, აღმოსავლეთს მოგაგონებთ. მხოოდ რამდენიმე სახლია აქ, რომლებსაც ცოტა რამ აცხია ევროპისა; ეს სახლები არიან: ალი-ფაშა თავდგირიძის სახლი, ჩვენი კონსულის სახლი, დამოჟნა და ერთი-ორიც სხვა, რომელნიც ყველა ზღვის ნაპირას არიან ჩაწკივრებულნი“ **(მესხი 2000 : 118)**

პორტო-ფრანკოს გამოისობით ბათუმის ნავსადგური სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტად გადაიქცა, როგორც ევროპის დიდი სახელმწიფოებისათვის, ასევე რუსეთისა და ოსმალეთისათვის. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის პორტში საზღვარგარეთიდან შემოსული გემების რაოდენობა - 607 ორთქლის და 1743 იალქნიანი გემი საკმაოდ მაშტაბურია. ამავე პერიოდში ბათუმიდან გავიდა 712 ორთქლის და 2332 იალქნიანი გემი **(კომახიძე 1999: 423).** ეს ყოველივე კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს,რომ ბათუმის ნავსადგური კავკასიის ერთ-ერთ ძლიერ სავაჭრო ბაზას წარმოადგენდა. მრავალრიცხოვანი ტვირთის შემოტანა-გატანის პროცესმა გამოიწვია ბათუმში სხვადასხვა სააგენტოს შექმნა, მაგალითან როგორებიც იყო რუსული - „მესაჟერი და ბარიტომი“; საფრანგეთის - „ჰაკე და კომპ.“ ; არსებობდა მსგავსი სააგენტოები საბერძნეთის, ავტრალიის, დანიის, გერმანიის, ნიუ-იორკის, რომლებიც ემსახურებოდნენ სამგზავრო და სატვირთო გემებს, ახდენდნენ ტვირთის დაზღვევას, ხელბარგის გადატანას და სხვ. ბათუმის პორტს აღებ-მიცემობის განვითარებისათვის

მომსახურეობას უწევდნენ ავსტრიული, თურქული, ფრანგული, იტალიური, რუსული და ა.შ. სანაოსნოებიც **(კომახიძე 1999: 424).**

ოსმალთა ბატონობის საზოგადოებაზე ზეგავლენის ყველაზე ნეგატიური ფაქტორი იყო აჭარაში განათლების ქართული კერების მოშლა. მხოლოდ მეჩეთი და მედრესე წარმოადგენდა სწავლა-განათლების დაწესებულებებს. XIX საუკუნის 90-იანი წლების მონაცემებით მთელს აჭარაში დაახლოებით 270-ზე მეტი მედრესე იყო (**ახვლედიანი 1944: 122**). სწავლა არაბულ ენაზე ტარდებოდა დაზეპირებით და არა წერა-კითხვის შესწავლით. პირველი ქართული სკოლა ბათუმში გაიხსნა 1882 წლის მარტში, ქართველთა შორის წერა- კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით.

აჭარაში მუსლიმანური რელიგიის დამკვიდრებამ ძირეულად შეცვალა აჭარელი ქალის მდგომარეობა საზოგადოებრივ და საოჯახო ცხოვრებაში. აჭარაში, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში, ქალს განსაკუთრებული როლი ეკავა არა მარტო ოჯახში, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. რეალური ფაქტია და ამას მოწმობს ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები, რომ ოსმალთა მიერ დამკვიდრებულ არაქართულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, ისლამის გავრცელებას განსაკუთრებით აჭარელი ქალები ებრძოდნენ და ხშირად იარაღითაც კი გამოდიოდნენ. ამის მიუხედავად, ყველაზე უუფლებო და დამცირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქალები. ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია ასე აღწერს გამაჰმადიანებული ქართველი ქალის მდგომარეობას: „საშინელია აქაური დედაკაცის მდგომარეობა, სახლშია ჩაკეტილი, არ შეუძლია გარეთ, საზოგადოებაში გაიაროს. ქალის უფლებებისადმი განსხვავებული მიდგომა ჩანს დაკრძალვისა და ქორწინების წესებში, ჩაცმულობაში“ **(ზოიძე 2009 : 300).**

ბათუმის ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლების შემდეგ 10-15 წლის მანძილზე, ბათუმმა საგრძნობლად იცვალა სახე. სერიოზული ყურადღება მიექცა მის კეთილმოწყობას, დიდი სამუშაოები ჩატარდა ჭაობების ამოსაშრობად. 1881 წელს გაშენდა ქალაქის ბაღი, ხოლო 1883 წელს ზღვისპირა პარკი, ჭაობების დაშრობამ შეამცირა მალარიით დაავადების შემთხევები.

პორტო-ფრანკოს პერიოდში ბათუმში კიდევ უფრო გაიზარდა უცხოელ მოგზაურთა შემოსვლა, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების განვითარებასთან

ერთად თანდათან შესამჩნევი ხდებოდა ბათუმის როგორც ევროპული ტიპის ქალაქად ჩამოყალიბება. ამაზე მეტყველებს არაერთი ევროპელი მოგზაურის ჩანაწერები ბათუმსა და მისი მოსახლეობის ცხოვრების აღწერის შესახებ.

1890 წლის 17 ივნისს იტალიის ქალაქ ფლორენციიდან სტამბოლის გავლით გემით ბათუმში ჩამოვიდნენ ცნობლი იტალიელი მეცნიერები: ბოტანიკოსი ემილ ლევილი და ანთროპოლოგი სტეფანე სომიე. ისინი ორი თვის განამვლობაში ეცნობოდნენ და სწავლობდნენ საქართელოს ბუნებას, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებს.

ორი თვის მანძილზე დასახული მიზნის შასაბამისად, მათ მოინახულეს ბათუმი და მისი შემოგარენი, მთიანი აჭარა. საკუთრივ ლევილი და სომიე ერთი კვირა იმყოფებოდნენ აჭარაში. გაეცნენ ბათუმის მხარეს, აჭარისწყლის ხეობას გოდერძის უღელტეხილის ჩათვლით. ლევილი პროფესიით ბოტანიკოსი იყო და მისი მოგზაურობის მთავარი მიზანიც საქართველ-ამიერკავკასიის ფლორის შესწავლა იყო. მისი ჩანაწერები საინტერესო და სანდო წყაროა იმდროინდელი, კერძოდ XIX საუკუნის 90-იანი წლების ბათუმზე, აჭარაზე, მის მოსახლეობაზე.

ლევიესა და სომიეს მოგზაურობა ბათუმისა და აჭარის გაცნობითა და დახასიათებით დაიწყო. ლევიე აღწერს ბათუმის მდებარეობას, მოსახლეობას, მის ჩაცმულობას, ევროპულ იერსახეს. იგი წერდა: „აქაურ მცხოვრებთ, რომ ვუკვირდებოდი, ასე მგონია ევროპაში ვარ მეთქი ... მკვიდრი ქართველები და სხვა ატარებენ ერთგვარ ხალათივით გრძელ ტანისამოს, რომელიც წელში მოწეულია და გულთან პატარა ჯიბეები აქვს. ყველას ხანჯალი აკრავს. მანდილოსნები უჩადრო, პირახდილი გაევროპულებულნი არიან....“ (**აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში 2010: 83**).

იტალიელი მოგზაური აჭარლების უფრო შტამბეჭდავ დახასიათებასაც იძლევა: „აჭარლები უმშვენიერესნი უნდა იყვნენ კავკასიის ხალხთა შორის. სულ ყველას მოსული ტანი და გმირული შეხედულება აქვს. ადვილად შეამჩნევთ სიარულში სიყოჩაღეს, ქცევაში ზრდილობას, საქმეში სიმარდეს. მსუქნები იშვიათია, თითქმის სულ არ არიან. მოხუცი კაცებიც მკვირცხლი და მარჯვე არიან. საუცხოო სურათს წარმოადგენს როცა აჭარელი თავისი მშვენიერ ტანისამოსით ცხენზე ზის. ყველა

იარაღშია ჩამჯდარი, თითქოს მარტო ჩხუბისა და სიკვდილის მეტს არაფერს ფიქრობენ...“ **(აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში 2019: 84).**

იტალიელი მოგზაურების ჩანაწერებიდან როგორც ვხედავთ ირკვევა, რომ XIX საუკუნის აჭარა და ადგილობრივი მოსახლეობა, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურდა, სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებთან ხელი შეუწყო დასავლური კულტურის, დასავლური ცივილიზაციის აქტიურ შემოდინებას აჭარაში, უფრო კერძოდ კი ბათუმსა და მის შემოგარენში.

როგორც ბათუმის ისტორიიდან არის ცნობილი, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩვენს ქალაქში ჩვიდმეტი საკონსულო ფუნქციონირებდა: ავსტრია-უნგრეთის, პრუსიის (გერმანიის), ჩრდილოეთი ამერიკის შტატების[8], საფრანგეთის[9], დანიის, იტალიის, ბელგიის, ოსმალეთის, სპარსეთის, იაპონიის, ბრიტანეთის, შვეციის, ნორვეგიის და ა.შ. **(ბაგრატიონი 2010: 75).**

მას შემდეგ რაც ბათუმი ოფიციალურად პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა 1878 წლის 29 ოქტომბერს და მოქმედებდა 1886 წლის 27 ივნისამდე, ამ რეჟიმმა საგრძნობლად გააძვირა ცხოვრება.

1880 წელს ბათუმში ჩამოსულან გერმანელი ვაჭრები: რიხტერი, ნოიმანი და პრეხდერი. მათ ქალაქში შეუძენიათ მიწის ნაკვთები და აუშენებიათ რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. დოკუმნტური მასალებით ირკვევა, რომ 1884 წელს ბათუმში გერმანელ დორნერს აუგია აბანო, რომელიც მოუწყვია ევროპულ ყაიდაზე. 1885 წელს ბათუმში გერმანელი მოგზაური გოტფრიდ ჰერმანი ჩამოვიდა. ჰერმანის შთაბეჭდილებები ბათუმის შესახებ ძალიან საინტერესოა. როგორც ვკითხულობთ, მას არ მოწონებია ბათუმის კლიმატი, ხშირი წვიმები და გაუვალი ტალახიანი ქუჩები. როგორც ის გადმოგვცემს, ქალაქში მიმდინარეობდა აღმშენებლობითი საქმიანობები, შენდებოდა სახლები, სასტუმროები, სავაჭრო დუქნები და სხვა. მთელი დატვირთვით მუშაობდა პორტი. 1882 წლისათვის გერმანელთა რაოდენობა ქალაქში 145, ხოლო 1887 წლისათვის 200 სული, ხოლო 1897 წლისათვის 300 სული ყოფილა.

[8] კონსული უილიამ სტიუარტი, დედოფალ მარია სტიუარტის მემკვიდრე, რომელიც მახინჯაურში მოუკლავთ იმის გამო, რომ მილიონერი რუსი კონსულის სავა მოროზოვის ცოლს გაეარშიყა.
[9] კონსული იყო დელაკრუა.

ქალაქში მცხოვრებ გერმანელთა უმრავლესობა სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები იყვნენ, კერძოდ ინჟინრები, მასწავლებლები, მხატვრები, ვაჭრები, მუშები და სხვა. გერმანელების შესახებ საუბარია ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მოხსენებით ბარათში, რომელიც გაგზავნილია კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიისადმი 1887 წელს, სადაც გერმანელები დახასიათებულია რუსეთის სახელმწიფოსადმი ერთგულ ხალხად, თანაც ისინი საჭირო პროფესიის ადამიანები არიან და თავისი კულტურით გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე ბათუმის სხვა უცხოელი მოსახლეობა (**გოგოლიშვილი 2019: 95**).

როგორც უკვე ვთქვით, ბათუმი აღნიშნული პერიოდისათვის საკამაოდ აქტიურ ქალაქად ყალიბდება, რაც მისმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამაც განსაზღვრა. ბათუმის ამ პერიოდის ისტორიისათვის ძალიან საინტერესო ცნობებს მოიცავს ავსტრიელი ცოლ-ქმარის არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერისა და ბერტა ზუტნერის მოგზაურობის ამსახველი რომანი, რომელიც 2007 წელს ითარგმნა ქართულად რუსუდან ღვინეფაძის მიერ.

არტურ ზუტნერის ნაწარმოებში კარგადაა ასახული ბათუმის სავაჭრო-ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპები. არტურ ზუტნერის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში ბათუმი ფაქტიურად იცვლებოდა და ვითარდებოდა, არა მხოლოდ სტატისტიკური, არამედ არქიტექტურული, დემოგრაფიული, ეთნოკონფესიური და ეკონომიკური თვალსაზრისით, იგი „ნეიტრალურ ტერიტორიაზე მდებარეობდა უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობებიც გაცხოველდა, ისე, რომ ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფო იძულებული გახდა, საკონსულოები გაეხსნა და მათი წარმომადგენლები ოჯახის წევრებიანად სიამოვნებით იყენებდნენ შესაძლებლობას, ერთფეროვანი ცხოვრება გუბერნატორის სახლში გამართული თავყრილობებით გაეხალისებინათ“ (**აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში 2019: 76**).

არტურ ზუტნერი დაინტერესულია რეგიონის ეთნიკური შემადგენლობითაც, რომელთა შორის ასახელებს აფხაზური, ბერძნული და სომხური წარმომავლობის პირებს.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მას შემდეგ, რაც ბათუმი ოფიციალურად პორტო-ფრანკოს სტატუსით

რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა, შავიზღვისპირეთის ეს კუთხე ძალზე სწრაფად ყალიბდება პოლიეთნიკურ ქალაქად, რაც კაპიტალისტური ურთიერთობების გარიჟრაჟზე, მზარდი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამსახურება იყო. უცხოელ ავტორთა ჩანაწერები ამ პერიოდის ბათუმზე მრავლადაა, რომელთა შორის აღსანიშნავია ნორვეგიელი პროზაიკოსის, ნობელიანტი კნუტ ჰამსუნის მოგზაურობა კავკასიაში.

კნუტ ჰამსუნმა 1899 წლის სექტემბერსი იმოგზაურო რუსეთსა და საქართველოში, მისი ნაშრომის რამოდენიმე გვერდი დათმობილია სწორედ ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის.

ჰამსუნი წერს: „ბათუმში ორმოცდაათი მოსახლეა ან ცოტა მეტი, გარეგნულად ტიფლისსაც ჰგავს და ბაქოსაც. ერთმანეთშია არეული დიდი, თანამედროვე ქვითკირის სახლები და თურქთა მმართველობის დროინდელი პატარ-პატარა ქვის შენობები. ქუჩები განიერი, მაგრამ მოუკირწყლავია, ხალხი და ეტლი პირდაპირ ქვიშაში დადის. პორტში ბევრი გემია, დაწყებული პატარა იალქნიანი ნავებით, რომლებიც აქ სამხრეთის ქალაქებიდან ჩამოვიდნენ, დამთავრებული ალექსანდრიისა და მარსელის დიდი გემებით. ქალაქი ჭაობიან და არაჯანსაღ ადგილას არის გაშენებული, მაგრამ გარემოცულია ტყით, ნაყოფიერი მიწების სიმინდის ყანებით და ვენახებით. ეკალ-ბარდებით დაფარული გორაკებიდან მოსჩანს ციხის ნანგრევები“ (**ტუნაძე, ორაგველიძე 2010: 127).**

ბათუმის, როგორც მთავარ საექსპორტო პუნქტად ქცევასთან ერთად ქალაქში მტკიცედ დამკვიდრდა როტშილდის, მანთაშევის, ნობელის და სხვა მონოპოლისტური გაერთიანებები. მათ კონტროლს დაექვემდებარა იმ დროისათვის ტექნიკურად საუცხოოდ აღჭურვილი საწარმოები, რაც ძირითადად განსაზღვრავდა ბათუმის ოლქის კომერციულ პროფილს.

მათგან მნიშვნელოვანია როტშილდის ქარხანა და დირექტორი ფრანგი გიონი, რომელიც სამუშაოზე მხოლოდ ქართველებს იღებდა. ის თვლიდა რომ „ქართველები კეთილსინდისიერი მუშები არიან და დროულად ასრულებენ მათზე მინდობილ საქმესო“ **(გოგოლიშვილი 2019: 30-34).** ამიტომაც იყო რომ როტშილდის ქარხანაში მუშა-მოსამსახურეები ქართველები იყვნენ. მისი თქმით: „რუსები გამოირჩევიან

საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებით“ **(გოგოლიშვილი 2019:30-34).** ამის გამო ფრანგი გიონი აითვალწუნა ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობამ. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან გამართულ თათბირზე რუსი ჩინოვნიკები თავს ესხმოდნენ ქართველებს და მათ ყაჩაღებსა და ბუნტისთავებს უწოდებდნენ. ისინი მოითხოვდნენ, რომ შემცირებულიყო ქართველ მუშათა რაოდენოდა ფაბრიკა-ქარხნებში, დირექტორებს ავალებდნენ შეემცირებინათ ქართველები და მათ ნაცვლად სამუშაოზე მიეღოთ მხოლოდ რუსები. ხელისუფლების ასეთი შოვინისტური ქმედებების წინააღმდეგ გამოდიოდა გიონი და აკრიტიკებდა მას **(გოგოლიშვილი 2019: 30).**

როგორც ვხედავთ, უცოხელები, რომლებიც აწარმოებდნენ თავიანთ ბიზნესს ბათუმის ტერიტორიაზე, დიდ პატივს სცემდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მათ კულტურასა და ღირებულებებს. ძალიან დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, როტშილდის ქარხანის დირექტორი იცავდა ქართველ მუშებს და პატივს სცემდა მათ უფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, რბილი კლიმატით, ზღვის რესურსებით გეოსტრატეგიული მდებარეობით უძველესი დროიდან იზიდავდა მრავალ უცხოელს, XIX საუკუნემდე აქ ძირითადად სასოფლო და სათემო ტიპის დასახლებები იყო. ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის პერიოდში თანდათანობით ვითარდება ახალი ტიპის, საქალაქო დასახლებები, ცხოველდება აღებ-მიცემობა, ფართოვდება ეკონომიკური ურთიერთობა სხვადასხვა რეგიონებთან. ამ მხრივ ყველაზე უფრო დაწინაურდა ბათუმი, რომელმაც შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ქალაქების შორის საპატიო ადგილი დაიჭირა **(სიჭინავა 1958 : 119)**

რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს ხელმწიფე-იმპერატორისაგან ქრისტიან მოსახლეობისადმი გამოჩენილი მფარველობის შედეგად საქართველოსა და მათ შორის ბათუმის ოლქისადმი ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ბერძენთა, სომეხთა ქურთთა და სხვათა ლტოლვა გაიზარდა. ბათუმის ნავსადგურის გაფართოების და ზღვაოსნობის განვითარების საფუძველზე თანდათან გაცხოველდა ქალაქის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, რასაც უპირველესად მოჰყვა მისი მნიშვნელობის ზრდა, აგრეთვე უცხოელი ვაჭრების, მრეწველებისა და მუშების

ბათუმისადმი დაინტერესება. სანაოსნო ხაზის გახსნამ ბათუმის გზით ვაჭრობას ფართო ხასიათი მისცა.

გარდამავალ პერიოდში ქალაქ ბათუმში დემოგრაფიული „ბუმი“ შეინიშნებოდა, რის შედეგადაც ის პოლიეთნიკურ ქალაქად იქცა. როგორც ანატოლიაში მოღვაწე ინგლისელი კონსული ვ.ჯ პალგრევი გვაცნობს: 1872 წელს ქალაქში 4970 სული ცხოვრობდა 4500 - მაჰმადიანი, 350 - ბერძენი, 120 - სომეხი **(ვარშანიძე, კახიძე 2012: 287)**.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ ბათუმის მოსახლეობის უმრავლესობა გაიხიზნა. ოსმალეთის ქვეშევრდომთა დიდი ნაწილი ტოვებდა ქალაქს. 1880 წლისათვის ქალაქის მოსახლეობა ოთხი ათასამდე გაიზარდა, ხოლო 1882 წლის მონაცემებით ბათუმში ცხოვრობდა 8671 კაცი.

1882 წლის მონაცემებით ბათუმის მოსახლეობის ეთნო-კონფესიური შემადგენლობა შემდეგ სურათს ქმნიდა: ძირითად მოსახლეობას ქართველები, სომხები, ბერძნები და რუსები შეადგენდნენ, ამათ გარდა ბათუმში დაიწყო ევროპელი და ამერიკელი მოსახლეობის შემოსვლა, რასაც მოჰყვა ბათუმში უცხოური საკონსულოების გახსნაც კი **(ვარშანიძე, კახიძე 2012: 287)**. 1882 წლისათვის ბათუმში - 316 სომეხი კათოლიკე და 178 ლათინო კათოლიკე ცხოვრობდა. თუ თვალს გადავავლებთ სტატისტიკას ვნახავთ, რომ თანდათანობით ბათუმში კათოლიკური მოსხლეობის რაოდენობა იზრდება. 1886 წლისათვის ბათუმში კათოლიკე მოსახლეობის რაოდენობა შემდეგია: პოლონელი კათოლიკე - 250; გერმანელი კათოლიკე - 111; ფრანგი კათოლიკე - 67. 1890 წლის მონაცემებით კათოლიკეთა რაოდენობა ბათუმში კიდევ უფრო იზრდება ლათინოკათოლიკეთა რიცხვი აღწევს - 1151 , ხოლო სომეხ კათოლიკეთა რაოდენობა - 508-მდეა გაზრდილი **(ვარშანიძე 2006: 87).**

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარდა ლათინოკათოლიკეებისა, ქართველ კათოლიკეთა რიცხვიც საკმაოდ დიდი იყო ბათუმის ოლქში. ამაზე მეტყველებს ზაქარია ჭიჭინაძის სტატია, სადაც იგი აღნიშნავს: „ბათუმში მეტად გამრავლდა კათოლიკობა, ისე რომ, მცირე ხნის განმავლობაში ქართველ კათოლიკეთა რიცხვი რამდენიმე ათასს სულამდე ავიდა. აქაური კათოლიკენი, ანუ დროებით აქეთ-იქედან

მოსულები, ვაჭრობას ანუ აღებმიცემობას მიეცნენ, ასეთ კათოლიკეთა რიცხვი თითქმის ქართველ კათოლიკეთ გვარისგან შესდგებოდა, ენითაც ქართულ მოლაპარაკე იყვნენ და არიან კიდეც...“ **(კომახიძე 1999: 35).**

აღნიშნულმა პროცესებმა ხელი შეუწყო ბათუმის ევროპულ ქალაქად ჩამოყალიბებას, XIX საუკუნის ბოლოს კი ქართველი კათოლიკეების ინიციატივით (ძმები ზუბალაშვილები) იწყება პირველი მონუმენტური კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა ბათუმში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კათოლიკეები ბათუმში ძველთაგანვე მრავლად ცხოვრობდნენ. XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე აქ მხოლოდ ერთი კათოლიკური ეკლესია იყო. ეს ეკლესია სომხური წესის კათოლიკეთა სამლოცველო იყო.

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, აჭარის დაბრუნების შემდეგ, ბათუმის ოლქში ქართველ კათოლიკეთა რიცხვი რამდენიმე ათასამდე გაიზარდა. გაიყვანეს სამხედრო გზა და ბათუმი მთიანი აჭარის მხრიდან ახალციხესაც დაუკავშირდა. როგორც ევროპასთან და კონსტანტინოპოლთან დაკავშირებელი მნიშვნელოვან საპორტო ქალაქში, ბათუმში აქტიურად ფუნქციონირებდა ქართველ კათოლიკეთა ღმრთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის მონასტერი. იგი გულმხურვალე მამულიშვილის პეტრე ხარისჭარიშვილის მიერ იყო დაარსებული. ყოველივე ამან გამოიწვია ქართველი კათოლიკეების სწრაფვა ბათუმისკენ. იმ დროისათვის ის საქართველოს ერთადერთი ევროპული ქალაქი იყო და ქართველი კათოლიკეები აქ ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ.

ყველა ქართველი კათოლიკე ლათინურ წესს მიეკუთვნებოდა. მრევლის ზრდამ დღის წესრიგში ახალი ტაძრის მშენებლობის საკითხი დასვა. ამ დროს ბათუმში მრავლად იყო ევროპის კათოლიკური ქვეყნების საკონსულოები. ბათუმის ლათინ კათოლიკეთა მოძღვარმა მამა ***ანსელმო მოძღვრიშვილმა*** საკონსულოთა დახმარებით რუსეთის იმპერატორისაგან ეკლესიის მშენებლობის ნებართვა მიიღო. ეკლესიისათვის ადგილის ნაწილი ქალაქის თვითმმართველობამ გამოჰყო, ნაწილი კი მრევლის მიერ შემოწირული ხარჯებით შეიძინეს. ეკლესიის საძირკველი ჩაუყარეს 1897 წლის 12 აპრილს. ტაძარი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მარიამის სახელზე აიგო. მისი მშენებლობა მთლიანად დააფინანსა ქართველმა კათოლიკე

ნავთობმრეწველმა სტეფანე ზუბალაშვილმა. სტეფანეს მხარში ედგნენ მისი ძმებიც. ამის გამო, ტაძრის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა ძმებ ზუბალაშვილებსა და მათ საქველმოქმედო საქმიანობას. გადმოცემის თანახმად, ბათუმში კათოლიკური ეკლესიის აშენება მათი დედის დიდი ხნის სურვილი ყოფილა და ძმებმაც ეს ტაძარი მისი სულის მოსახსენიებლად ააგეს. ამაზე მეტყველებს მთავარი შესასვლელის ორივე მხარეს ჩასმული მარმარილოს ქვები ქართული და ფრანგული სამშენებლო წარწერით, რომელიც იუწყება, რომ ტაძარი აგებულია სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის მიერ. მისი სულის, "მშობელთა და ძმათა და დათა სულის საცხონებლად" (**ob.https://www.marketer.ge/dzmebi-zubalashvilebi/**).

სტეფანე ზუბალაშვილთან ერთად ტაძრის მშენებლობაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მამა ანსელმო მღებრიშვილს. მშენებლობის მთელმა სიმძიმემ მის მხრებზე გადაიარა. მძიმე ავადმყოფობის გამო მამა ანსელმო მღებრიშვილი ტაძრის კურთხევას ვერ დაესწრო. ტაძარი 1903 წლის 5 მაისს ეკურთხა, ბათუმში საგანგებოდ ჩამოსული ეპისკოპოსის ედუარდ ბარონ როპის მიერ. სამწუხაროდ, 1930-იან წლებში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, სხვა ტაძრების მსგავსად, კათოლიკურ კათედრალსაც დაუკარგა ფუნქცია. იგი დანგრევას გადაურჩა, მასში ჯერ არქივი, შემდეგ კი მაღალი ელექტრომაბვის ლაბორატორია განათავსეს, რამაც ტაძრის ინტერიერი ძალიან დააზიანა. ამიტომ, 1980-იან წლებში, როცა დადგა შენობაში კულტურული ცენტრის გახსნის საკითხი, საფუძვლიანი რესტავრაცია გახდა საჭირო. წვიმის წყლით ჩამორეცხილი კედლის მხატვრობის აღდგენაზე მუშაობდნენ მხატვრები ამირან გოგლიძის ხელმძღვანელობით.

რესტავრაციის შემდეგ, შენობა აჭარის კულტურის სამინისტროს გადაეცა და მასში ხელოვნების ცენტრი გაიხსნა, ხოლო 1989 წელს ბათუმში ჩავიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და წმინდა სინოდის წევრები, რომლებმაც ტაძარი მართლმადიდებლურად აკურთხეს და გაიმართა საზეიმო, მასშტაბური ნათლობა.

ამრიგად, თუ კარგად დავაკვირდებით სტატისტიკურ მონაცემებს მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ XIX საუკუნის ბოლოსათვის ქალაქ ბათუმში და მის შემოგარენში კათოლიკეთა რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა, ისინი აქტიურად

იყვნენ ჩართული ბათუმის საქალაქო ცხოვრებაში. სწორედ მათი რაოდენობის ზრდამ და აქიუტრობამ მიგვიყვანა ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ბათუმში ქართველ კათოლიკეთა ინიციატივით აშენდა პირველი კათოლიკური ეკლესია ბათუმში.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი განვითარებულ, დასავლური ტიპის ქალაქად ჩამოყალიბდა. თუ ბათუმის შესახებ არსებულ მონაცემებს კარგად გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ მიუხედავად ოსმალთა საუკუნოვანი ბატონობისა, ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პროცესშიც კი ოსმალებმა ვერ შეძლეს ბათუმი გადაექციათ აღმოსავლური სამყაროს შემადგენელ ნაწილად.

ევროპასთან ურთიერთობა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში რუსეთის გავლით იწყება. ვგულისხმობთ იმას, რომ იგივე სამოციანელებმაც, ანუ თერგდალეულებმა ევროპულ ცივილიზაციას რუსეთის მეშვეობით ეზიარნენ. რუსულად ნათარგმნმა გერმანულმა ლიტერატურამ გარკვეულწილად აამაღლა ეროვნული თვითშეგნება ქართველებში. უკვე XX საუკუნის დასაწყისში, ცისფერყანწელწბმა დაიწყეს ზრუნვა არა მარტო თანამედროვე ევროპასთან ურთიერთობაზე, არამედ ქართული კულტურის კვლავ დასავლურ ცივილიზაციში დაბრუნებაზე.

პრაღის კარლის უნივერსიტეტის დოქტორი ადრიან ბრისკუ ნაშრომში "ასე შორს და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში" განმარტავს: „მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველებისთვის ევროპის სახე-ხატი სამი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული წარმოდგენით იყო განსაზღვრული: ევროპა, როგორც გეოპოლიტიკური სივრცე, ევროპა როგორც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მოდელი, ევროპა როგორც თანამედროვე ცივილიზაციის აკვანი. ამ წარმოდგენებმა საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს საქართველოს ისტორიაზე, დაწყებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენებული ეროვნული მოძრაობით, გაგრძელებული მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნითა და დამთავრებული საბჭოთა კავშირის დაშლით. მიუხედავად ამგვარი არაერთმნიშვნელოვნებისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოში არსებობდა პრეტენზია იმისა, რომ ქვეყანა ევროპის

ნაწილს წარმოადგენდა, რადგანაც სწორედ მასთან იყო დაკავშირებული პროგრესისა და უკეთესი მომავლის სურვილიც“ **(ბრისკუ 2017:7).**

როგორც რაინჰარტ კოზელეკმა აჩვენა, ახალ დროში მომავლის ცნება პროგრესის ფილოსოფიის გამოხატულებაა, რომელშიც ერთანეთს ერწყმის წინასწარმეტყველება და პოლიტიკური სტრუქტურა, რაციონალური პროგნოზები და ხსნის მოლოდინენები. მომავლის მოლოდინით დატვირთული ევროპის სახე-ხატი საქართველოში კატალიზატორის ფუნქციას ასრულებდა, რამდენადაც „მოლოდინის ჰორიზონტს“ შლიდა და ახალ „მოლოდინის სივრცეს“ ქმნიდა **(ბრისკუ 2017 : 2)**.

უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან ბათუმის ეკონომიკური დაწინაურება განაპირობა ბაქოს ნავთობის საზღვარგარეთ ტრანპორტირების ყველაზე მუმოკლესი გზის ძიებამ. ბათუმის პორტი ყველაზე უმოკლესი გზა აღმოჩნდა, თუმცა იყო სხვა პორტების ვარიანტებიც, მაგრამ ბათუმმა ყველას აჯობა. ათეულობით საექსპორტო ფირმებთან ერთად მტკიცედ დაფუძნდნენ ნავთობის უმსხვილესი, მონოპოლისტი ფირმები (როტშილდი, ნობელი, მანთაშევი) და ხელსაყრელი საბაზრო კონიუქტურის პირობებში, ენერგიული ოპერაციებით აქედან ნავთობის ექსპორტის მაგნატებად იქცნენ. მათსავე კონტროლს დაექვემდებარა აქ ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული სოლიდური, იმ დროისათვის ტექნიკურად საუცხოოდ აღჭურვილი საწარმოების ფუნქციონირება, რომელიც მთელ დასავლეთ ამიერკავკასიის ინდუსტრიის წამყვანი დარგი და თვით ქალაქის კომერციული ცხოვრების პროფილისა და მაჯისცემის განმსაზღვრელი შეიქმნა **(გოგოლიშვილი 2019: 165).**

დროთა განმავლობაში ბათუმის ახალმა ფუნქციამ ხელი შეუწყო ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მნიშნელოვნად იზღუდებოდა მუშათა უფლებები, შეუსაბამო ანაზღაურების გამო ხშირი იყო გაფიცვები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ პერიოდისათვის ბათუმი ცხოვრების სიძვირით „კავკასიის ყველა ქალაქზე მაღლა იდგა და რუსეთშიც კი მხოლოდ დედაქალაქს ჩამოუვარდებოდა. ყოველივე ეს მაშინ, როცა ნავთობის პროდუქტების საექსპორტო ჭურჭლის წარმოება და ნავთობის ბიზნესი ბათუმში თავის „ოქროს ხანას“ განიცდიდა“ **(გოგოლიშვილი 2019: 166).**

XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პროცესებმა გვაჩვენა, რომ მიუხედავად გარკვეული შეზღუდვებისა, ადგილობრივი მუშები ძალიან კარგად აცნობიერებდნენ საკუთარ უფლებებს და ჰქონდათ შესაბამისი რეაქცია, ეს კი შეიძლება ითქვას,რომ ამ დროისათვის მეტყველებდა საზოგადოებრივი აზროვნების მაღალ დონეზე. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ 1904 წლის მეორე ნახევრიდან ბათუმელი მეწარმენი, უცხოური სანაოსნო საზოგადოებები ხელისუფლებას განუწყვეტელი თხოვნით მიმართავდნენ, მოუწოდებდნენ მიეღოთ გადამწყვეტი ზომები. კამპანიაში დიპლომატიური სამსახურიც ჩაერია. ბრიტანეთის კონსული პ.სტივენსი 1905 წლის იანვარში გუბერნატორს განმეორებით თხოვდა დახმარებას მუშათა საკითხის მოგვარებაში. მიმდინარე არეულობა აფერხებდა სატვირთო ოპერაციების წარმოებას. „ბრიტანეთის გემები მთელი კვირეების მანძილზე ჩერდებიან პორტში ისე, რომ თითქმის არავითარ სამუშაოებს არ აწარმოებენო“ **(გოგოლიშვილი 2019: 174).**

ბათუმის როგორც პოლიეთნიკურ ქალაქად გადაქცევამ, მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ, ქალაქში ხელიშეუწყო კულტურული დაწესებულებების განვითარება ჩამოყალიბებას. საჭირო ხდებოდა ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება, იხსნებოდა სკოლები, ფუნქციონირებდა თეატრი, რომელსაც ძალიან აქტიური დასი გააჩნდა. ბათუმის თეატრში ჩამოდიოდნენ უცხოელი მსახიობები, ბათუმს ხშირად სტუმრობდნენ უცხოელი მომღერლები. იმართებოდა კონცერტები. თეატრალური დასის ზრდამ მოითხოვა თეატრისათვის ახალი შენობის გამოყოფა. აღნიშნულ პრცესებზე, ბათუმში სკოლების გახნსის შესახებ კიდევ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ შემდეგ ქვეთავში, რომელიც დაეთმობა პირველი დასავლური განათელბის კერების ჩამოყალიბებას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

2.3. ევროპული განათლება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX-XX სს მიჯნაზე)

ჯერ კიდევ უძველესი პერიოდიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აქტიური, მჭიდრო კავშირი ჰქონდა დასავლურ ცივილიზაციებთან. დასავლეთთან ურთიერთობის სიმბოლოდ მოიაზრება ფაზისის აკადემია, რომელზე ცნობებსაც გვაწვდიან ძველი ბერძენი ისტორიკოსები პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, თემისტიოსი და სხვები. კოლხეთის აკადემიაში იწრთობოდნენ მჭევრმეტყველებაში, ტანვარჯიშში, სწავლობდნენ ფილოსოფიას, პოლიტიკას იმართებოდა შეჯიბრებები სამართლისა და პოლიტიკის საკითხების ცოდნაში. აღნიშნულ დაწესებულებებში განათლებას იღებდნენ როგორც ადგილობრივები, ასევე უცხოელი ახალგაზრდები.

საქართველოში დასავლური განათლება და კულტურა ოდითგან მნიშვნელოვან საფეხურზე იდგა, X-XI საუკუნეებიდან ბიზანტიასთან ურთიერთობამ გარკვეულ წილად ხელი შეუწყო დასავლეთ საქართელოში ბიზანტიური კულტურის შემოდინებას, ახალგაზრდები ბიზანტიაში იგზავნებოდნენ და იღებდნენ ბერძნულ განათლებას, ითარგმნებოდა ლიტერატურული ნაშრომები, ამ დროის ქართული ლიტერატურა განიცდიდა ბიზანტიური კულტურის გავლენას.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, კერძოდ აჭარა განათლებისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით ოდითგან საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ XIII საუკუნეში აჭარაში მოღვაწეობდა დიდი ასტრონომი, მწერალი და ფილოსოფოსი ტბელ აბუსერისძე.

ოსმალური ბატონობის დამყარების შემდეგ ოსმალებმა სისტემატურად დაიწყეს აჭარის ოსმალურ პროვინციად გადაქცევისათვის ბრძოლა. ჩქარი ტემპით ხდებოდა ქართული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის უკანასკნელი ნაშთების ამოძირკვა და მის ნაცვლად ცხოვრების ყველა სფეროში ოსმალური წესების, ზნე-ჩვეულებებისა და ინსტიტუტების დანერგვა. ოსმალური ადმინისტრაციამ დაიწყო

უცხო ენის ძალდატანებით გავრცელება, ჯამე-მედრესეების გახსნა და ისლამის, როგორც ოფიციალური იდეოლოგიის ინტესნსიური გამტკიცება. ამით კი ქართველობას აჭარაში საბოლოოდ გადაშენების საფრთხე დაემუქრა.

აჭარლებისათვის არაბული ენა გაუგებარი იყო, ამიტომ მოსწავლეები მედრესეებში ლოცვის თავებს ზეპირად სწავლობდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარელი მოსახლეობა რელიგიურთან ერთად საერო განათლებასაც იღებდა და აღმოსავლურ კულტურას ეცნობოდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ოსმალთა ინიციატივით ბათუმში გაიხსნა გიმნაზიის ტიპის სასწავლებელი ე.წ. „რუშტიე“ **(ვარშანიძე 2006: 78).**

აჭარა-მესხეთის გამაჰმადიანებას, თურქული მართვა გამგეობის დამყარებას ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად აღწერს: „ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიაში და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი მონაპირე კუთხე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო. საუკუნეთა განმავლობაში დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფას და მშვენიერ ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა. ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნეობრივი დევნით და ეკონომიკური შევიწროებით იგი ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართელთა შორის დაემხო და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა. ჯერ უმაღლეს წრითაგან დაიწყო, შემდეგ ხანგრძლივ ბრძოლის საშუალებით მაჰმადიანობა თვით ხალხშიც გაავრცელეს. მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი და მთელს მეთვრამმეტე და მეცხრამმეტე საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა. წინანდელი დამოუკიდებლობისა და ქართველობის ხსენებაც კი რომ მოესპოთ, ოსმალებმა სამცხის მფლობელნი „ახალციხის ფაშა“-დ გახადეს, ხოლო ეს ღირსება ამავე საგვარეულოს მემკვიდრეობით დატოვეს. ამ საშუალებით ოსმალეთმა ეს მშვენიერი ქვეყანა საქართველოს მოსწყვიტა და მთლად შთანთქა. ოსმალთა დროს ახალციხის საფაშო კვლავინდებურად მთელი ჭოროხის მხარესაც შეიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იყოფოდა. თითეულს თემს ანუ სანჯაყს სათავეში მემკვიდრეოობითი მფლობელი სანჯაყ-ბეგები უდგნენ“ **(ახვლედიანი 1944: 22-23).**

მართალია, ოსმალთა ბატონობამ დიდი ხნით შეაფერხა ქართული განათლებისა და კულტურის განვითარება, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ მაინც შეინარჩუნა წინაპართა ადათ-წესები და, რაც მთავარია, მშობლიური ენა. ოსმალთა მთავარ მიზანს კი სწორედ ქართული ენის ქართველთა მეხსიერებიდან წაშლა წარმოადგენდა, რაც საწინდარი იქნებოდა ერის გადაგვარებისა. დიდი ილია აღნიშნავდა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“.

აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ საჭირო გახდა საერო განათლების გადახალისება, სწავლების ძირეულად გარდაქმნისათვის ქართველი მოღვაწეები საჭიროდ მიიჩნევდნენ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას. პირველ რიგში საჭირო იყო წერა-კითხვის გავრცელება ასევე სახალხო სკოლების დაარსება, რათა დაწყებითი სწავლება წარმართულიყო ქართულ ენაზე. ამ მიმართულებით ოლქში თავიდანვე ენერგიული მუშაობა წარიმართა. ბათუმის ოლქის მმართველობა ოსმალეთის ქვეშევრდომ ხოჯებს პედაგოგიური მოღვაწეობა აუკრძალა **(გაზეთი „დროება“, 1978 წ 22 ივლისი).** ასეთი განკარგულებით განათლების ძველი სისტემის გავლენა იზღუდებოდა. თუმცა, ეროვნული კადრების სიმცირის გამო განათლების გაეროვნულების პროცესი გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე ვერ გაღრმავდა, სამაგიეროდ შედარებით ადვილად მოხერხდე ახალი ევროპული ტიპის სახალხო სკოლების ორგანიზება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აჭარაში პირველ საგანმანათლებლო დაწესებულებად ქალაქ ბათუმში 1881 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლაა მიჩნეული. ბოლო დროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს. ზემო აჭარაში ახალი ადმინისტარაციის ჩამოყალიბებისთანავე (1878 წ) შეუდგნენ მუშაობას განათლების გარდასაქმნელად. ჩანს, რომ აქაურმა ქართველმა მოხელეებმა ადრიდანვე შეიმუშავეს ხულოში სპეციალური სასწავლებლის გახსნის სქემა, სადაც მოზარდები ქართული, რუსული და თურქული ენის დაუფლებას შეძლებდნენ. საგულისხმოა, რომ სკოლის შენობა უსასყიდლოდ დაუთმო სასწავლებელს დიდაჭარაში მცხოვრებმა ყედირ შერვაშიძემ. თურქულ ენასაც ის ასწავლიდა. რუსული და ქართული ენა იმავე სკოლაში უნდა ესწავლებინა ზედა

აჭარის უბნის მდივან მწიგნობარს ნ.ლორთქიფანიძეს. სკოლის ზედამხედველობა იტვირთვა მ.მეფისაშვილმა **(სიხარულიძე 1999: 23).**

სათანადო წყაროების უქონლობის გამო ძალზედ ძნელია შეაფასო ამ სკოლის ფუნქციონირების ყველა დეტალი, მაგრამ ერთი რამ უეჭველია, რომ აღნიშნულ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საკუთრივ მთელი აჭარისათვის ისე მთლიანად ახალდაბრუნებულ მხარისთვის, ვინაიდან აღნიშნულ სკოლაში ეროვნულ განათლებასთან ერთად დასავლური განათლების ელემენტებიც იქნებოდა შეტანილი.

ეროვნული და დასავლური სწავლა-განათლების პროცესს ახლადდაბრუნებულ ბათუმის ოლქში მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ამ კუთხეში მოვლენილმა სწავლულ-განმანათლებელთა ჯგუფმა. ამ დიდებულ პლეადას ქმნიან: დიმიტრი ბაქრაძე, ივანე კერესელიძე, გრიგოლ გურიელი, გიორგი ყაზბეგი, მიხეილ მეფისაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, სერგი მესხი, ზაქარია ჭიჭინაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, დავით და გიორგი წერეთლები, ყადირ შერვაშიძე, აბდულ მიქელაძე, ხასან ციციშვილი და სხვები.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ბათუმის ოლქში ძალზე მცირე იყო სასწავლო დაწესებულებების რიცხვი და შესაბამისად წერა-კითხვის მცოდნე საზოგადოების რაოდენობაც. 1897 წლის აღწერაში ბათუმის ოკრუგში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 18,2 პროცენტს შეადგენს. 1905 წლისათვის ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების რაოდენობა ბათუმში შეადგენდა 28-ს (ვარშანიძე 2006:34). მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მკაცრი რეჟიმი იყო დამყარებული. რუსეთის ხელისუფლება განათლებას რუსეფიკაციის ერთ-ერთ მძლავ იარაღად მიიჩნევდა. ცარიზმის რუსუფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში XX საუკუნის დამდეგიდანაც არ შესუსტებულა.

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ბათუმში ფუნქციონირებდა სხვადასხვა სასულიერო სკოლა: ბათუმის საეკელსიო-სამრევლო სკოლა, ბათუმის გოგონების საეკლესიო სამრწევლო სკოლა (ბერძნული), სომხურ-კათოლიკური საეკლესიო-სამრევლო-სკოლა.

მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნე ეს არის დრო, როდესაც საქართველო იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის სემადგენლობაში, მიმდინარეობდა ბრძოლა ეროვნულობის ქართული ტრადიციების წინააღმდეგ, საკულტო ნაგებობების მსენებლობა აჭარაში მაინც მიმდინარეობდა. ქალაქს ამშვენებდა სხვადასხვა აღმსარებლობის საკულტო ნაგებობები. ამის შესახებ საუბრობდნენ იმხანად ქალაქში მყოფი უცხოელი მოგზაურები თუ მეცნიერები. საინტერესოა, 1911 წელს ბათუმში მყოფი ფრანგი მეცნიერის პიერ ლემორის აღნიშვნა: „ბათუმი მიეკუთვნება იმ ქალაქთა რიცხვს, სადაც ყველა რელიგიის მიმდევრებს აქვთ საკუთარი საკულტო ნაგებობა. ყველა ეს ნაგებობა ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს. აქ ნახავთ ქართველ მართლმადიდებლებს, რომლებიც ლოცულობენ თავიანთ ეკლესიებში. ქართველ მართლმადიდებლებს თავიანთი მშვენიერი ეკლესია აქვთ, ასევე საკუთარ ეკლესიებში ლოცულობენ რუსი მართლმადიდებლები. რუსებს ბათუმში აგებული აქვთ ერთ-ერთი დიდებული ტაძარი, რომელსაც აქაურები „სობოროს“ ეძახის. იქვე ახლოს მდებარეობს კათოლიკების საოცარი ტაძარი, რომელიც ყოველდღე სავსეა ბათუმელი კათოლიკეებით, ამ ტაძართან ახლოს მდებარეობს ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, რომლის გვერდზე ბერძნული სამრევლო სკოლაა. ეს სკოლა ხშირად აწყობს ღონისძიებებს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ბერძნული ეკლესიიდან ორი ქუჩის იქეთ მდებარეობს სომხური გრიგორიანული ეკლესია. ამ ეკლესიას გააჩნია რამდენიმე სამრევლო სკოლა. ბათუმში მდებარეობს სამი მეჩეთი, რომელსაც მლოცველები ნამდვილად არ აკლია. ჩემი ბათუმში ყოფნის ხუთი თვის განმავლობაში არ მომხდარა არც ერთი ინციდენტი რელიგიურ ნიადაგზე“ **(გოგოლიშვილი 2019: 78-79).**

გარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, ბათუმში აქტიურად იწყებს ფუნქციონირებას თეატრალური დასი. 1891 წლიდან ბათუმის თეატრის შენობა გახდა ფრანგი ვაჭრის მარშოს რკინის დიდი საწყობი, რომლის გამოც მას „რკინის თეატრი“ დაერქვა.

ბათუმის გათავისუფლების შემდგომ დასავლელ ვიზიტორტა რაოდენობა საგრძნობლად იზრდება, ამას დაემატა ისიც რომ აქ კონცერტებს მართავდნენ

როგორც ქართველი ასევე უცხოელი მომღერლები. 1884 წელს ბათუმს ეწვივნენ მომღერალი ფილიმონ ქორიძე, კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე და სხვ.

ჩვენი ქალაქი საგასტროლოდ უცხოელ მომღერლებს, კომპოზიტორებს და სხვა ჟანრის მსახიობებაც იზიდავდა. 1882 წელს ბათუმს რუსული დასი ესტუმრა, რომელსაც ოსეტროვი ხელმძღვანელობდა. 1886 წელს ქალაქას საგასტროლოდ ნიჭიერი იტალიელი მსახიობი გრესტრინო როსი ესტუმრა. იმავე წელს ბათუმში ჩამოვიდა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი.

ბათუმის ხშირი სტუმარი იყო ევროპელი მომღერალი რატილი: „ ბატონი რატილი თავისის ხოროთი ბათუმლებსაც გვეწვია და ორი კონცერტი გამართა. წმინდა ქართულ ხმებთან აქა-ია ევროპული ხმებიც მოისმოდა, რაც კონცერტს ქართულ ხასიათს არ უკარგავდა. მადლობა გამოუცხადეს რატილს რომ ის უცხო ტომის კაცი, შემოგვეკედლა ჩვენ, შეიმუშავა ჩვენი ხალხური ხმები. „ 1888 წელს ჩეხი მომღელის ვიზიტი ბათუმში მნიშვნელოვანია, იმ მხრივაც, რომ როდესაც რატილს უჩვენეს ადგილობრივ მომღერლებისაგან შემდგარი გუნდის კონცერტი , აღფთოვანება ვერ დამალა და აღნიშნა „გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა,ხმები და ჰანგები აქვს, შეუძლებელია“ **(გოგოლიშვილი 2019: 85).**

მე-19 საუკუნეში ბათუმში, როგორც უკვე ვთქვით, სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა განსხვავებული კულტურითა და ღირებულებებით. მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთის წარმომადგენლები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ცალკეულ ეროვნებათა კულტურულ განვითარებას ხშირად იმართებოდა კულტურული ღონისძიებები. საინტერესო ცნობას გვაწვდის ბათუმელი ექიმი ა. ერიქსონი 1888 წელს გამართულ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ბათუმელი მასწავლებლის ნიკოლოზ დერჟავინის სახლში. მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა კულტურისა და სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები - ქართველები, ბერძნები, სომხები, ადგილობრივი მუსლიმები, რუსები, ებრაელები და სხვ. შეხვედრაზე ისაუბრეს ბათუმში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს შორის დაახლოების შესახებ, რომელშიც ამ ხალხთა კულტურამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. ითქვა იმის შესახებაც, რომ ხშირად უნდა მოეწყოს კულტურული ღონისძიებები, სადაც მონაწილეობას მიიღებს ყველ ერის წარმომადგენელი

(გოგოლიშვილი 2019 : 86). 1889 წლის 6 ივნის ქალაქის ზღვისპირა პარკსი გამართულა დიდი კონცერტი, სქადაც მონაწილეობას იღებდა იმ პერიოდში ბათუმში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი. აღნიშნულმა კონცერტმა ხაზი გაუსვა კულტურის როლს ხალხთა დაახლოების საქმეში. კულტურა ის ფენომენია, რომელიც ხალხებს ერთმანეთს უკეთ აცნობს, აგებინებს მათ ტრადიციებს, ეხმარება მათი წარსულის გაცნობაში.

1890 წელს ბათუმს გამოჩენილი იტალიელი მომღერალი ერნესტო როსი ეწვია. მომღერლის საპატივცემულად გაიმართა კონცერტი, სადაც ყველა კულტურის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. როსი განსაკუთრებით მოიხიბლა ადგილობერივ მუსლიმთა მიერ შესრულებული „განდაგანით". მომღერალი სცენაზე ავიდა და განაცხადა, რომ ასეთი ლამაზი ილეთებითა და მუსიკით ცეკვა პირველად ვნახეო **(გოგოლიშვილი 2019: 85).**

ბათუმში ეროვნებათა შორის კულტურული ურთიერთობის კარგი მაგალითი იყო ცენტრალური ბიბლიოთეკა და მუზეუმი, სადაც თითქმის ყველა ერის წარმომადგენელი მუშაობდა. სწორედ ამას აღნიშნავდნენ ხელმძრვანელი ორგანოები როდესაც ქალაქში კულტურული ცხოვრების შესახებ საუბრობდნენ.

2.4. საზოგადოებრივ-პოლიტიკური განწყობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XX ს დასაწყისში)

როდესაც ვსაუბრობთ კულტურული იდენტობის შეუქცევად პროცესებზე, გვერდს ვერ ავუვლით პოლიტიკურ მოვლენათა განვითარების თავისებურებებს, რომელიც ერთის მხრივ განპირობებული იყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ამიერკავკასიის როლითა და დანიშნულებით და მეორეს მხრივ აღსანიშნავია ის, რომ საქართველო, კერძოდ კი ბათუმის ოლქი წარმოადგენდა ამიერკავკასიის ფრონტის ზურგს. ამ კონტექსში მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავაანალიზოთ იმჟამად ქალაქ ბათუმსა და მის ოლქში არსებული ვითარებაც.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ მთლიანად ამიერკავკასიაში მოშალა საქალაქო ცხოვრების ჩვეული რიტმი დაიწყო მოსახლეობის მასიური ევაკუაცია საომარი ომის სუსხი ბათუმსაც შეეხო აღსანიშნავია ოსმალეთის სამხედრო კრეისერების გებენისა და ჰამიდიეს მიერ ქალაქის დაბომბვა ზღვიდან თუმცა მას რაიმე სერიოზული ზარალი არ მოუტანია თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსი გენერლის ახირებას რომელმაც ბათუმის ზღვიდან პირველი დაბომბვის შემდეგ (1914 წლის 10 დეკემბერი) გადაწყვიტა ბათუმის ბულვარში მოეჭრა მაღალი ხეები მისი აზრით ისინი მოწინააღმდეგის სამიზნეს წარმოადგენდნენ (**სცსსა, ფონ. 157, ანაწ. 1. საქ. 320, ფურც. 487**).

საბედნიეროდ, ბოლომდე პრინციპული დარჩა ამ საკითხში ქალაქის თავი ივანე ანდრონიკაშვილი, რომლის წყალობითაც ქალაქის სიამაყე - ზღვისპირა პარკი გადაურჩა განადგურებას. ომის საწყის ეტაპზე აღსანიშნავია რუსეთის არმიის წარუმატებლობა, რის შედეგადაც მტერი ქ. ბათუმის მისადგომებს მიუახლოვდა. მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების ერთი ნაწილი ხულოში ავიდა მათ გააჩაღეს

აქტიური ანტირუსული პროპაგანდა, რათა ადგილობრივი მოსახლეობა დაეყოლებინათ საბრძოლველად.

მიუხედავად მრავალმხრივი ღონისძიებისა, ოსმალთა ამ ცდას სერიოზული წარმატება არ მოჰყოლია. ეს ამბავი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ შემდგომში აგორდა ბინძური ჭორი ე. წ აჭარელთა ღალატის შესახებ. ქართველმა საზოგადოებამ ხმა აღიმაღლა თავისი ძმების დასაცავად. მათ შორის აღსანიშნავია რუსეთის იმპერიის მე-4 სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების აკაკი ჩხენკელისა და კარლო ჩხეიძის შეფასებები, თუმცა გადამწყვეტი როლი სიმართლის გამარჯვებაში უბრალო ქართველმა კაცმა ითამაშა. ასეთი კი მრავალი იყო. იმდენად დიდი იყო საზოგადოებრივი აზრის გამოხატულება, რომ თვით რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II თავის ტელეგრამაში მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისადმი, ბათუმისა და ყარსის მოსახლეობის განსაცდელი შეაფასა არა ღალატად, არამედ უბედურებად. (**სცსსა, ფონ. 13, ანაწ. 2. საქ. 3193, ფურც. 224, ფონ. 1831, ან.1, საქ. 1, ფურც.9**).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საომარი მოქმედების დასაწყისში ამიერკავკასიის ფრონტზე ოსმალებმა საკმაო წარმატებას მიაღწიეს, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის სარდლობის აშკარა მოუქნელობამაც, 1915 წლის თებერვლის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, 1916 წლის თებერვალი დაეცა ერზერუმი. აპრილში კი რუსებმა აიღეს ტრაპიზონიც, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო ოსმალეთის მთელ ფრონტზე. 1916 წლის ზაფხულში დაიწყო ბათუმი-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობა. შემდგომი პერიოდი ამიერკავკასიის ფრონტზე რაიმე შესამჩნევი აქტიურობით აღარ გამოირჩევა, რაც საქალაქო ცხოვრების რიტმსაც დაეტყო (**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 3, 2008: 367**).

ბათუმის იმჟამინდელი ისტორიიდან მნიშვნელოვანია ის გარემოება რომ იგი გადაიქცა ამიერკავკასიის ფრონტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ზურგის ქალაქად. ომმა ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი ზარალი მიაყენა ბათუმს. შეწყდა ნავთობის ექსპორტი, რამაც ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოების დახურვა გამოიწვია. მალე რუსული სარდლობა მიხვდა მის ცალკეულ შეცდომას და დაიწყო ქალაქის სათანადოდ გამაგრებისათვის ზრუნვა. ბათუმის პორტში ბაზირებდა შავი

ზღვის სამხედრო ესკადრაც. ბათუმში განთავსდა საინტენდატო, სასურსათო, სამხედრო საჭურველის საწყობები და სამედიცინო მომსახურებისათვის განკუთვნილი სამხედრო ჰოსპიტალები. ომის დროს ბათუმში ამოქმედდა რუსეთის ცალკეული სამხედრო ქარხნების ფილიალებიც. ბათუმში არსებული საწარმოთა მატერიალური და მაღალკვალიფიცირებული შრომითი რესურსები ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა მრეწველობის ცალკეული დარგების საომარი დანიშნულებით უმოკლეს დროში გარდაქმნისათვის შეიძლება ითქვას, რომ ბათუმი ცხოვრობდა ფრონტისპირა ქალაქისათვის დამახასიათებელი წესი, რაც, თავისთავად, ქმნიდა მრავალ სირთულესაც იკლო ბათუმის შემოსავლებმაც, რომელიც მეტწილად საწარმოთა დახურვასა და საექსპორტო საქონლის ექსპორტ-იმპორტის შეწყვეტასთან იყო დაკავშირებული (**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 3 2008: 368-372**).

1917 წლის პოლიტიკურმა მოვლენებმა რუსეთის იმპერიაში დიდი ძვრები გამოიწვია რამაც ბათუმის საქალაქო ცხოვრებაზეც იმოქმედა. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა კაცობრიობის ისტორიაში. იმპერიის მსხვრევამ არარუს ერებს თვითგამორკვევისა და ადრინდელი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის რეალური შესაძლებლობების იმედი ჩაუსახა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, თვითგამორკვევის პრობლემა ყველაზე თანმიმდევრულად წინა პლანზე წამოსწიეს ფინეთის, პოლონეთის,ბალტიისპირეთის და უკრაინის ეროვნულმა ძალებმა ,რაც შეეხება საქართველოში ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პრობლემას, მიუხედავად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი გამოცდილებისა, ფაქტობრივად არც კი დასმულა თუ არ ჩავთვლით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბრძოლას ამ მიმართებით.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, პირველ რიგში, წინა პლანზე აყენებდა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობას. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი იყო ინტერპარტიული საბჭოს შექმნა. 1917 წლის აპრილის სხდომებზე ამ საბჭომ დააყენა საქართველოს ტერიტორიული საზღვრებისა და

ეროვნული სეიმის შექმნის საკითხები, მაგრამ მცდელობა მხოლოდ თეორიულ და დოქტრინულ ჩარჩოებს არ გასცილებია.

პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის იმპერიაში საშინელი ეკონომიკური კრიზისი, ქაოსი, ნგრევა და განუკითხაობა გამოიწვია. ამას დაემატა ისიც, რომ დროებითმა მთავრობამ ხალხთა მასებში ავტორიტეტი ვერ მოიპოვა. რადგან იგი პრაქტიკულად ვერ წყვეტდა ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნების ამოცანებს. სწორედ ეს გახდა მიზეზი ბოლშევიკთა გააქტიურებისა, რასაც ახალი მღელვარების ტალღა და 25 ოქტომბერს პეტროგრადში დროებითი მთავრობის დამხობა მოჰყვა.

თუ თებერვლის რევოლუციამ გააააქტიურა და წინა პლანზე წამოსწია „ეროვნული საკითხი“, ოქტომბრის მოვლენათა ფონზე შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის რეალური პერსპექტივა. შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ ყოველივე ამის საფუძველი ნამდვილად არსებობდა და ამის დამადასტურებელია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმიანობა.

მართლაც, 1917 წლის 29 ნოემბერს გამართულ „დამკომის“ ერთ-ერთ სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე. გ. მაჩაბლის ინფორმაციით, გერმანიისა და მისი მოკავშირეების მთავრობებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რათა ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებისთანავე და დაეცვათ მისი ინტერესები, ამიტომ „დამკომმა“ მიმართა გერმანიის მთავრობას და სთხოვა დანაპირების წერილობით დადასტურება. როგორც ჩანს, „დამკომმა“ ასეთი წერილობითი გარანტიაც მიიღო, რადგანაც 3 დეკემბრის სხდომაზე გადაწყდა საქართველოსთან დასაკავშირებლად ქართული ლეგიონის ორი ოფიცრის გამოგზავნა ამჯერად სახმელეთო გზით, რადგანაც პირველი ცდა დახმარების აღმოჩენისა უშედეგოდ დასრულდა (**ვაჩნაძე 1992 : 23**).

1917 წლის მიწურულს პოლიტიკური ვითარება საქართველოში მეტად დაიძაბა ამას ისიც დაერთო, რომ ბათუმს მოაწყდა დემორალიზებულ ჯარისკაცთა დიდი ნაკადი. ისინი ტოვებდნენ ფრონტის ხაზს და ცდილობდნენ რუსეთში დაბრუნებას. ასეთ სიტუაციაში ამიერკავკასიის კომისარიატი უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა კავკასიის ფრონტის დაშლა, ამიტომ საჭიროდ ჩათვალეს ოსმალეთთან სასწრაფოდ დაზავება.

მართლაც, შეიქმნა დროებითი საზავო პირობების შემმუშავებელი ერთობლივი კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის არმიის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორ ვიშინსკი. აღნიშნულ ზავს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიისათვის. გენერალი ოდიშელიძე საზავო დელეგაციის თავმცდომარეს - ვიშინსკის ერზინცანში ატყობინებდა - „მდგომარეობა იმდენად კატასტროფულია, რომ ძვირფასია ყოველი საათი. განუმარტეთ კომისიას, რომ ზედმეტი ლაპარაკისა და ზედმეტი ცერემონიების გარეშე სასწრაფოდ მოხდეს დაზავება, წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალეთის რწმუნებულებს შეუძლიათ მოწმენი გახდნენ პირველი კორპუსის კატასტროფული რღვევისა“ (**ზოსიძე 1995: 16**).

ამიტომაც, კომისიამ იჩქარა და 1917 წლის 18 დეკემბერს ფართო საზავო მოლაპარაკების დაწყებამდე საომარი მოქმედებების დროებით შეწყვეტის პირობებით ერზინცანში ხელი მოეწერა ზავს. აღნიშნული ზავი შეიცავდა 14 მუხლს. ნიშანდობლივია ის, რომ მე-12 მუხლი ითვალისწინებდა: „თუ ბრესტ-ლიტოვსკში დაიდებოდა ზავი რუსეთსა და გერმანიის ბლოკში შემავალ სახელმწიფოებს შორის, ამ ზავის ყველა პუნქტი მისაღები უნდა ყოფილიყო კავკასიის ფრონტისათვისაც“ (**ზოსიძე 1995: 18**).

სწორედ ასეთ ვითარებაში ბრესტ-ლიტოვსკში მუშაობა დაიწყო საზავო კონფერენციამ გერმანიის ბლოკსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ოსმალეთის მთავრობამ 1918 წლის 16 იანვარს ოფიციალური ნოტით აცნობა ამიერკავკასიის კომისარიატს, რომ „ცენტრალური სახელმწიფოები, შეკრებილნი ბრესტ-ლიტოვსკში, მზად არიან მთელი ძალისხმევა მოახმარონ ამიერკავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობის აღიარებას იმ შემთხვევაში, თუ ამიერკავკასიის მთავრობა მიავლენს თავიანთ დელეგატებს ბრესტში, საზავო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად“ (**ზოსიძე 1995: 19**). ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა და მთავრობამ ამ შეთავაზებას იგნორირება გაუკეთეს.

სამწუხაროდ, ამიერკავკასიის მთავრობის ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი იყო პოლიტიკური შეცდომა, რამაც ქვეყანა მძიმე სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა გადაჭარბებული არ იქნება თუ

ვიტყვით, რომ იმჟამად ამიერკავკასიის მთავრობას არ გააჩნდა მკვეთრად გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკური კურსი.

ერთიანი რუსეთის აღდგენის მოტრფიალე ამიერკავკასია არც ოსმალეთს აწყობდა და არც გერმანიას, მართალია, გერმანიასა და მის მოკავშირეებს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის ვალდებულება ნაკისრი ჰქონდათ, მაგრამ ვინაიდან თბილისში არ იზრუნეს ამ პოლიტიკური აქტის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ამიტომაც მოკავშირეებმა აქცენტი გადაიტანეს რუსეთისაგან მთელი ამიერკავკასიის ჩამოშორებაზე.

1918 წლის 23 თებერვალს, გერმანიის ბლოკმა საბჭოთა მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი, რომელიც 10 პუნქტს შეიცავდა. მე-5 პუნქტის მიხედვით, რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა „ანატოლიის პროვინციები“. თუ რა იყო ეს „ანატოლიის პროვინციები“, რუსეთის დელეგაციამ კარგად გაიგო მას შემდეგ, როცა მათ მიერ ეს ულტიმატუმი მიღებულ იქნა (**История дипломатии, т. II 1945: 342**).

კავკასიის ფრონტზე წარმატებულმა შეტევამ, ოსმალეთს მისცა სტიმული ზემოაღნიშნული „ანატოლიის პროვინციების“ გარდა, ბრესტ-ლიტოვსკში წარედგინათ ახალი, ფართო მასშტაბის მოთხოვნები. 1918 წლის 1 მარტს, გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელმა - როზენბერგმა წაიკითხა საზავო ტექსტის ხელნაწერი, რომლის მიხედვით რუსეთს თავისი საჯარისო ნაწილები უნდა გაეყვანა აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციებიდან და დაუყოვნებლივ უნდა დაეცალა ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებიც (**Мирные переговоры в Брест-Литовске, 1920: 2015**).

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოეწერა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას. რასაკვირველია, თბილისში პასუხი ამაზე არ დააყოვნეს და იმავე დღეს ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით ე. გეგეჭკორმა და ნ. ჩხეიძემ პროტესტი გაუგზავნეს საზავო ხელშეკრულების ხელმომწერ სახელმწიფოებს მაგრამ პროტესტი დაგვიანებული დარჩა, რადგან ბრესტის ზავის დადგენილებით, ოსმალეთმა მოითხოვა ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების დაუყოვნებლივ დაცლა. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი იყო დამოუკიდებელი მოლაპარაკების დაწყება ოსმალეთის მთავრობასთან. კონფერენციის ჩატარების

ადგილად განისაზღვრა ქალაქი ტრაპიზონი. ქართველი დიპლომატები იმედებს ამყარებდნენ მოლაპარაკებებზეც. ტრაპიზონის (1918 წლის 14 მარტი-5 აპრილი) და ბათუმის (გაიხსნა 1918 წლის 11 მაისს) კონფერენციებზე ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციებს შორის ცილობის საგნად იქცა მეცხრამეტე საუკუნეში დაბრუნებული ტერიტორიებიც (**ზოსიძე 1998: 20-27**).

1918 წლის 11 მაისს მუშაობას შეუდგა ბათუმის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაცია თანახმა იყო მოლაპარაკებები წარმართულიყო ბრესტის ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად ბათუმის კონფერენცია, რომელიც ერთგვარად ტრაპიზონის საზავო კონფერენციის გაგრძელებას წარმოადგენდა, ითვალისწინებდა ოსმალეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას ტერიტორიულ საკითხებში. კერძოდ ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების დათმობით უნდა შეჩერებულიყო ოსმალთა ექსპანსია საკითხის ასეთი კუთხით დასმა მიუღებელი აღმოჩნდა ოსმალთათვის. სანაცვლოდ მათ მოითხოვეს ახალქალაქის, ახალციხის, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის რაიონები. ამით, ფაქტობრივად, აღდგებოდა 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი (**სცსსა, ჰარვარდის მიკროფირების ფონდი, ანაწ. 1, საქ.73, ფურ. 4-5**).

მაისის მეორე ნახევრიდან საზავო მოლაპარაკებაში ჩაება გერმანიის წარმომადგენლობაც. ამიერკავკასიის დელეგაცია კარგად ითვალისწინებდა გერმანიის ინტერესებს ამ რეგიონში და შეეცადა ეს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

გერმანიის სამხედრო წრეებიც დარწმუნდნენ იმაში, რომ „ბრწყინვალე პორტა“ კავკასიაში უფრო თავის პანთურანულ მიზნებზე ფიქრობდა, ვიდრე ანტანტის წინააღმდეგ ომზე. ამის დამადასტურებელია ოსმალთა მიერ 14 აპრილს წარმოდგენილი ახალი ულტიმატუმი, რითაც ოსმალეთი მოითხოვდა ალექსანდრეპოლ-ცულფის რკინიგზის ხაზის დროებით მათთვის გადაცემას. გერმანიის გენშტაბის უფროსმა, გენერალმა ლუდენდორფმა დაავალა ოსმალეთის გენშტაბის უფროსის მოადგილეს ფონ სექტს, რომ ოსმალეთის ტერიტორიული პრეტენზიები მოექცია ბრესტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში,

შეეჩერებინა ოსმალთა შემდგომი წინსვლა ამიერკავკასიაში და აქ განთავსებული ცარის ნაწილები ირანსა და მესოპოტამიაში გადაეყვანა.

19 მაისს, მოლაპარაკების დაჩქარების მიზნით, გერმანელებმა ამიერკავკასიის დელეგაციას შუამდგომლობა შესთავაზეს. ოსმალეთის მხარემ ამ შუამდგომლობაზე უარი განაცხადა, რის გამოც გერმანიის მისიამ თავისი ყოფნა მოლაპარაკებაზე უაზრობად ჩათვალა და 25 მაისს ბათუმი დატოვეს.

გერმანელებისათვის ნათელი გახდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა მათი პოლიტიკურ ჩანაფიქრის განსახორციელებლად საიმედო დასაყრდენი ვერ იქნებოდა. გამომდინარე იქედან, რომ აზერბაიჯანი აშკარად პროოსმალური ორიენტაციის მატარებელი იყო, ხოლო სომხეთი ამ ომში იმდენად გაჩანაგდა, რომ არც მასზე დაყრდნობა იყო შესაძლებელი, რჩებოდა მხოლოდ საქართველო.

გერმანიის დელეგაციის წევრებთან შეხვედრისას გამოიკვეთა პოზიცია, რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიის მთავრობის გარდაუვალ დაშლას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ზურაბ ავალიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა- „და აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოგვიკაკუნა და როგორ არ მივეგებოთ მას. თუ ხელიდან გავუშვებთ ამ შესაძლებლობას, რა პასუხი უნდა გავცეთ მას, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა. ნუთუ ეს ხალხი დაბადებულია ოდენ მონობისა და მორჩილებისათვის და იგი საბოლოოდ უნდა გადაიქცეს „ეთნიკურ მასალად“ საიდანაც, გარემოების მიხედვით შტამპით გამოვლენ ხან სპარსელები, ხან ოსმალები, ხან რუსები - არა, მას ახსოვს, მას სურს აღდგეს და კვლავ გახდეს თავისთავადი“ (**ავალიშვილი 2011: 74-83**).

საქართველოს მომავალი პოლიტიკური ორიენტაციის განხილვისას შემუშავდა რამდენიმე ვარიანტი. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოპტიმალური იყო - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მართალია, ამით ოსმალეთის საფრთხე დღის წესრიგიდან არ მოიხსნებოდა, მაგრამ დამოუკიდებელ საქართველოს შეეძლო გერმანიასთან დაედო ხელშეკრულება. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ მოიპოვა 117 წლის წინ დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობა. და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აუცილებლობა ბათუმის საზავო კონფერენციაზე დაისვა დღის წესრიგში, საამისო

აზრიც აქვე ჩამოყალიბდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროექტი აქვე შემუშავდა და 26 მაისს თბილისში განხორციელდა. დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა მადაგაღვიძებული ოსმალების შესაჩერებლად წარმატებით გამოიყენა ხალხის ერთსულოვანი შემართება მომხვდურთა წინააღმდეგ და გერმანელთა სამხედრო ძალაც.

ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა მაინც იძულებული შეიქმნა დაზავებოდა ოსმალეთს. საამისო ხელშეკრულება 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში გაფორმდა, თუმცა ის რატიფიცირებული არ ყოფილა.

ოსმალთა 6-თვიანი ოკუპაციის პირობებში აჭარაში ჩაკვდა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივ-კულტურული პროცესები. ფუნქციონირება შეწყვიტა ქალაქ ბათუმსა და მის ოლქში მოქმედმა ჯერ კიდევ დიდი ილია ჭავჭავაძის თაოსნობით შექმნილმა პირველ დაწყებითმა სკოლებმა და ბათუმის გიმნაზიამ. პრაქტიკულად აიკრძალა და ფუნქციონირება შეწყვიტა ქართულ ენაზე მოქმედმა საზოგადოებრივმა და საგანმანათლებლო-კულტურულმა დაწესებულებებმა. დამპყრობთა საკითხისადმი დამოკიდებულება ზედმიწევნით გამოხატა 1918 წლის 4 აპრილს ბათუმში ჩამოსულმა ცნობილმა თურქმა პოლიტიკურმა მღვაწემ, ოტომანთა იმპერიის სამხედრო მინისტრმა ენვერ-ფაშამ. მან ქ. ბათუმის საკრებულოში გამოსვლისას თავისი სიტყვა შემდეგი ფრაზით დაასრულა ოსმალები აქ მოვიდნენ არა როგორც დამპყრობლები, არამედ თავიანთი ძველი და განუყოფელი კუთხის დამბრუნებელნი. „ბათუმი და ბათუმის ოლქი უბრუნდება დედასამშობლოს“ - ეს იყო დამპყრობთა პირველი პოლიტიკური განცხადება (**აჭარის სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი**, **ფონ. 67, ანაწ.1, საქ. 14, ფურ. 149**).

შემოსვლისთანავე ოსმალები შეეცადნენ ბათუმის იერსახის შეცვლას. გუბერნატორის ბრძანებით, 1918 წლის 22 აგვისტოდან მარინეს პროსპექტს დაერქვა სულთან-სელიმის სახელი, პეტროგრადისას - კონსტანტინეპოლის, გრიბოედოვის ქუჩას - ართვინის, პუშკინისას - არდაჰანის, ტურგენევისას - ჰაზი მუხტარ ჰაჯის, შერემეტიევისას - დერვიშ-ფაშას, ქუთაისისას - აზიზიეს და ა. შ. აბრებს მხოლოდ

თურქულ წარწერას უკეთებდნენ. გამალებით მიმდინარეობდა ძველი მმართველობის აპარატის დაშლა და ახალი ოსმალური სტრუქტურების შექმნა. ოლქის გუბერნატორი ადგილზე დარჩენილ ქრისტიან ქართველებს ავიწროებდა, მისი ემისრები მაჰმადიანებს მათ წინააღმდეგ აქეზებდნენ, სავაჭრო დაწესებულებებში არ ღებულობდნენ ქართულ ფულს, სამაგიეროდ, უცხოურ ვალუტასთან ერთად მიმოქცევაში გაუშვეს ნიკოლოზის თუმნიანები.

სამხრეთ-დასავლეოლქის მოსახლეობის ბრძოლა განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს იძენდა. ეს ტენდენცია მკვეთრი გახდა 1918 წლის 14 ივლისიდან, როდესაც ოსმალთა ხელისუფლებამ აჭარაში ჩაატარა რეფერენდუმი მოსახლეობის ორიენტაციის საკითხის გასარკვევად. რეფერენდუმი ოდნავადაც არ გამოხატავდა მკვიდრთა ნება-სურვილს. საალყო წესები, ქალაქში შესვლაზე მკაცრი მეთვალყურეობა, მოსახლეობის გახიზვნა და სხვ. გამორიცხავდა მის ობიექტურად ჩატარებას. ამასთან, გუბერნატორმა რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება დართო ისეთ პირებს, რომლებიც ქალაქში დროებით ცხოვრობდნენ (სპარსელები) და ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული აჭარის ბედით.

ოსმალეთის ექსპანსიონისტურ ზრახვებში ერთმანეთს ყოველთვის ენაცვლებოდა მუქარისა და დაყვავების პოლიტიკა. ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოსაგებად სულთანმა აჭარაში დიდძალი თანხა გამოგზავნა. 1918 წლის 20 ივლისს კი ბათუმის სათათბირომ 6 დელეგატი წარგზავნა სტამბოლში მათ ოლქის მოსახლეობის სახელით სულთან მუჰამედისათვის ტახტზე ასვლა უნდა მიელოცათ. სულთანმა ისინი უხვად დაასაჩუქრა, დაუნიშნა პენსიები, ზოგიერთს კი ბეგის ტიტულიც უბოძა (**გაზ. „ერთობა", № 238, 1918 წ**).

ბათუმში მოქმედ ქართველთა ეროვნული საბჭოს ძალისხმევამ მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, შედეგი ვერ გამოიღო. წარუმატებელი აღმოჩნდა ქალაქის თვითმმართველობის პროტესტიც. ოსმალებმა მთლიანად გაძარცვეს სასკოლო დაწესებულებები, მათი შენობები და ყაზარმებად აქციეს. ოლქში ჭარბად გაიხსნა მედრესეები, სადაც ბავშვებს გაუგებარ არაბულ ენაზე ისლამის დოგმებს ასწავლიდნენ.

ოკუპაციამ შეაფერხა ოლქის კულტურული ცხოვრებაც. 1918 წლის აგვისტოში გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ქართველ, რუს, ბერძენ, ებრაელ მოსახლეობასა და ქართველ მუსლიმანებს მხოლოდ თითო დაწყებითი სასწავლებლის გახსნას ჰპირდებოდა, სადაც თურქული ენის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პრესაც. დაიხურა ყველა ადგილობრივი გამოცემა. ჟურნალ-გაზეთები აღარც თბილისიდან შემოდიოდა. თუ ვინმე გაზეთის გამოცემას დაიწყებდა, იგი მხოლოდ რამდენიმე კვირის მანძილზე გამოდიოდა და ისიც, მკაცრი ცენზურით* პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ეროვნულ თემაზე რაიმე მასალის გამოქვეყნება (**სცსსა, ფონ. 1864, ანაწ. 1, საქ. 24, ფ.43**).

1918 წლის შემოდგომაზე, ანტანტის ქვეყნების გამარჯვებამ წერტილი დაუსვა ოსმალეთის ბატონობას ბათუმის ოლქში. მან უსიტყვოდ მიიღო გამარჯვებული სახელმწიფოების ყველა ულტიმატუმი, ნოემბრის დამლევს ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმმა არსებობა შეწყვიტა. 1919 წლის იანვრიდან ბათუმის ოლქში დაიწყო დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო რეჟიმის ფუნქციონირება. ინგლისის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლობამ ქალაქ ბათუმისა და ბათუმის ოლქის გუბერნატორად დანიშნა გენერალი კუკ კოლისი. ახალი ხელისუფლება შეუდგა ასეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ინგლისელთა პოლიტიკური კურსის განმტკიცებას, ხოლო მათ მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა ხშირად ანტიქართული ხასიათის მატარებელი იყო. კუკ კოლისმა ქ. ბათუმში პრაქტიკულად ხელისუფლება გადასცა ქართველთა აშკარა მოძულეს, პირწავარდნილ შოვინისტს პრიდადიან მასლოვს, რომელიც აგრეთვე ხელმძღვანელობდა ქ. ბათუმში მოქმედ რუსულ ეროვნულ საბჭოსაც (**ზოსიძე 1995: 75-78**).

ქართული ეროვნული ცნობიერების მიზანმიმართულად განადგურებისა და ქართული კულტურული ფასეულობების დეგრადირება-დაქვეითების მიზნით ბათუმის ოლქში დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ შექმნა ქალაქისა და ოლქის მართვის საბჭო. სწორედ ამ ანტიქართული ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნეს პ. მასლოვი. ეს უკანასკნელი კი თავს ანგარიშვალდებულად თვლიდა გენერალ დენიკინის ქ. ეკატერინოდარში

დისლოცირებულ თეთრგვარდიული არმიის შტაბის წინაშე. ანტიქართული საქმიანობის ეფექტურად გაჩაღების მიზნით რუსული ფულით ფინანსდებოდა ის პერიოდული გამოცემები, რომლებიც ბათუმის ოლქის რუსეთის მფარველობაში შესვლას გაუწევდა პროპაგანდას. ამ მხრივ განსაკუთრებული პრივილეგირებული მდგომარეობა ეჭირა ქ. ბათუმში გამომავალ აშკარად შოვინისტურ, ანტიქართულ გაზთ ,,ნაშ კრაის''. შემუშავდა გეგმა ამ გაზეთის ტირაჟის გაზრდისა და სამენოვანი (რუსულ; ქართულ; თურქული) გამოცემისა. ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ ნ. ზოსიძის მოსაზრებას, რომ ,,დენიკინელებმა კარგად იცოდნენ, აჭარა წმინდა ქართული ტერიტორია იყო, ხოლო აჭარლები ქართული ეთნოსის ძირძველი მკვიდრნი, ამიტომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ მათთან პროპაგანდისტულ მუშაობას, ცდილობდნენ ჩაენერგათ მათში რუსეთის მძლავრი იმპერიის ხელახალი აღდგენის რწმენა“ (**ზოსიძე 1995: 80-81**).

მიუხედავად მრავალი ანტიქართული ორგანიზაციების მცდელობისა აჭარაში არ ჩამკვდარა ეროვნული ცნობიერება და ეს კუთხე წარმოადგენდა ნათელ მაგალითს ეროვნული იდენტობისა და სულიერი ფასეულობების შენარჩუნება განმტკიცების თვალსაზრისით.

1920 წლის 19 მარტს დამფუძნებელი კრების სხდომაზე აღინიშნა, რომ ბათუმის საკითხი საქართველოს ყოფნა-არყოფნას ეხება. ამ პოზიციიდან ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების საქმიანობა აჭარაში შეფასდა, როგორც საქართველოს ეროვნული ინტერესების უგულებელყოფა. დამფუძნებელი კრების სახელზე გაგზავნილ წერილებში აღნიშნული იყო ბათუმის საკითხის დაუყოვნებლად მოგვარების აუცილებლობა (**გაზ. საქართველო №61, 1920 წ**). 1920 წლის თებერვლიდან ბათუმში შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულის ინსტიტუტი მ. ხოჭოლავას მეთაურობით. ქართული ეროვნული ცნობიერებისა და კულტურულ- სულიერი ფასეულობების შენარჩუნება განმტკიცების მამულიშვილურ საქმეს ემსახურებოდა ბათუმში მოქმედი ქართველთა ეროვნული საბჭო და 1918 წელს დაფუძნებული ,,სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი''. ამ უკანასკნელს გააჩნდა თავისი გაზეთი იმავე სახელწოდებით. გაზეთ ,,სამუსლიმანო საქართველო''- ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ერის წინაშე.

ამრიგად თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბათუმი ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ნამდვილად იყო კულტურათა დიალოგის ცენტრი. რაზეც მეტყველებს ბათუმის მრავლფეროვნება. აქ თავს იყრიდა სხვადასხვა კულტურის, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები. ბათუმი შეიძლება ითქვას, რომ იყო ერთადერთი ქალაქი მთელს რესპუბლიკაში, სადაც ყველა რელიგიის წარმომადგენელს თავისი სამლოცველო გააჩნდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა ერის წარმომადგენელი ძალიან კარგად აცნობიერებდა თავის როლს კუთხის განვითარების საქმეში, ისინი პატივსცემდნენ ერთმანეთის კულტურასა და ტრადიციებს, სწორედ მსგავსი ურთიერთობები უწყობდა ხელს კულტურათა შორის წარმატებულ დიალოგს. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კულტურული მრავალფეროვნება იყო და დღემდე რჩება ბათუმის მთავარ ნიშად, რაც ქალაქს კიდევ უფრო საინტერესოს და წარმატებულს ხდის.

თავი III. აჭარა დასავლური ცივილიზაციის კონტექსტში თანამედროვე ეტაპზე

3.1. **საბჭოური პერიოდი**

XIX საუკუნე საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ძვრების პერიოდია. დაიწყო ჩრდილოეთის გზით შემოსული, თუდაც ზედაპირული ვესტერნიზაცია; გაუმჯობესდა დემოგრაფიული მდოგმარეობა, ქართველებმა რიცხობრივად იმატეს და XIX საუკუნის ბოლოს კავკასიაში მცხოვრებ სხვა ეთნოსებს გადააჭარბეს. ქართული სუბეთნოსების კონსოლიდაცია და ევროპული ტიპის ქართველი ერის ფორმირება მკვეთრად დაჩქარდა.

1917 წლამდე საქართველო დიდი იმპერიის ნაწილი იყო და არავითარ დამოუკიდებელ საგარეო-პოლიტიკურ ფუნქციას არ ასრულებდა. იმპერიისათვის კი საქართველოს ტერიტორია ფასობდა ძირითადად მისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო. 1921-1991 წლებში კი საქართველო, ნომინალურად „სუვერენული სახელმწიფო“ რეალურად მდებარეობდა დიდი უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

პოლიტიკურ-გეოგრაფიულად საბჭოთა საქართველოს მდებარეობა ჩიხური გახდა. თავის აკვატორიას ის ვერ აკონტროლებდა : შავი ზღვის ნავსადგურები მოსკოვიდან იმართებოდა; მეზობლობა დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, თურქეთთან, იმ დროს საერთოდ არ იგრძნობოდა, რადგან საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი 1930-იანი წლებიდან მთლიანად ჩაირაზა **(გაჩეჩილაძე 2017: 20).** საბჭოთა სისტემამ ადამიანებს წააჭრა არა მხოლოდ მეხსიერება და ასტორნომიული წარმოდგენები პოლიტიკური მითოლოგია შეუცვალა, არამედ სივრცეში მოძრაობა და გადაადგილებაც შეუზღუდა და ის მხოლოდ გარკვეული მიმართულებით წარმართა. საქართველოს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს მიმართულება ხმელეთით - საქართველოს სამხედრო გზით -

განესაზღვრა, ხოლო ზღვისაკენ გახედვა და ზღვით სარგებლობა საერთოდ შეეზღუდა. ამ შეზღვის შედეგია ზღვისადმი სრული სიბრმავე, ზღვის იგნორირება, ზღვის ვერდანახვა. არადა მეცხრამმეტე საუკუნის ქართველი დამკვირვებლები ზღვას როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ალტერნატიულ გზას, სატრანსპორტო საშუალეებას განიხილავენ. ისინი იწყებენ მსჯელობას ზრაზე, როგორც ევროპასთან კავშირ-ურთიერთობის საშუალებაზე და კრიტიკულად განიხილავენ ზღვისადმი ქართველების ისტორიულად არსებულ დამოკიდებულებას. „ყველა იმ ხალხებისათვის, რომელნიც ზღვის ნაპირად დგანან, ზღვა დაუფასებელ საუნჯეთ ყოფილა. ადამიანის დაარსებიდანვე შენიშნულა, რომ ყველაზე ადრე ის კაცი და ის ხალხი განათლებულა და გამდიდრებულა, რომელნიც ზღვის ნაპირას ცხოვრობდა. სხვათა შორის , ზღვას მიუცია იმათთვის სხვა ხალხებთან მისვლა-მოსვლა და ვაჭრობის გამართვის სახსარი - და ეს პირვლეი საშუალებაა ხალხის წინ მსვლელობისა, განათლებისა.

საბჭოთა კავშირის შექმნით ევრაზიის ტერიტორიაზე ყალიბდება სრულიად საწინააღმდეგო პოლუსის სახელმწიფო სისტემა, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა მსოფლიოში არსებული სისტემებისგან. ის შეიძლება ითქვას სტალინის მიერ თითიდან გამოწოვილი სახელმწიფო იყო სრულიად ახალი იდეოლოგიით. სწორედ ამ იდეოლოგიით დაუპირისპირდა ის დასავლურს , ეს დაპირისპირება კი თითქმის ერთი საუკუნე გრძელდებოდა და დღემდე გრძელდება რადგან რუსეთის სახელმწიფო დღემდე ინარჩუნებს ბოლშევიკური იმპერიის სტატუსს.

1991 წლის 8 დეკემბრის ბელოვეჟის ტევრის მოვლენამ, როდესაც სამი საბჭოთა სლავური რესპუბლიკის - რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის - ხელმძღვანელი სპონტანურად შეთანხმდა საბჭოთა კავშირის უსისხლო დაშლაზე, გავლენა იქონია პოლიტიკურ პროცესებზე მთელ მსოფლიოში. ამ მოვლენამ დამოუკიდებლობის ცნობა მოუტანა საქართველოს რესპუბლიკას. 1992 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა მკვეთრად შეიცვალა. ის დაუმეზობლად ოთხ დამოუკიდებელ სახელმწიფოს - თურქეთს, რუსეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს.

თანამედროვე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობას ძირითადად განაპირობებს მისი გეოგრაფიიული მდებარეობა. უპირველესად იგულისხმება მდებარეობის სატრანსპორტო-გეოგრაფიული ასპექტი, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ-გეოგრაფიული ასპექტიც.

დასავლეთი და დასავლური ცივილიზაცია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ე.წ „რკინის ფარდის“ მიღმა დარჩა როგორც აჭარისათვის ისე მთელი საქართველოს მოსახლეობისათვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიუხედავად ანკარის დიდი ინტერესისა ბათუმის მიმართ, ქემალისტები ბოლშევიკების წინაარმდეგ ბრძოლას არ აპირებდნენ, შავ ზღვაში მყოფი ფრანგული სამხედრო ფლოტის რამდენიმე გემიდან დესანტირება არც მომხდარა : მათ უბრალოდ გააცილეს საქართველოდან ემიგრირებული მენშევიკური მთავრობა **(გაჩეჩილაძე 2017: 175).**

1921 წლის ივნისში შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ამავე წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმებით, თურქეთი საბჭოთა საქართველოს სასარგებლოდ უარს ამბობდა თავის პრეტენზიაზე ბათუმისა და მისი ოლქის მიმართ ავტონომიის მინიჭების პირობით. ფაქტობრივად მოხდა ის, რომ ათეისტურმა სახელმწიფომ ამ კონკრეტული გაერთიანების შექმნას საფუძვლად დაუდო მისთვის იდეოლოგიურად უცხო და მიუღებელი რელიგიური ფაქტორი. ავტონომიური ერთეულის შექმნის მიუხედავად აჭარის მუსლიმი ქართველები საკამოდ სწრაფად ხელახლა ეზიარნენ საერთოქართულ იდენტობას.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტები და მთავრობები საქართველოს ბედით არ დაინტერესებულან. ეს არც იყო მოსალოდნელი დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებმა საბჭოთა რუსეთს უფლება მისცეს დაეპყრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ცხადია ახლა ისინი რუსეთს არ მოსთხოვდნენ გაეყვანა ჯარები ოკუპირებული სახელმწიფოდან.

1921 წელს პარიზში გაიმართა საქართველოს ემიგრანტული მთვრობის სხდომა

ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. მთავრობის სხდომაზე იხილებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საქართველოს მოკავშირის საკითხი. საქართველოს დამოუკიდებლობა, შეიძლება ითქვას, რომ დიდ პოლიტიკას შეეწირა. ინგლისისა და საფრანგეთის შემთხვევაში ეს ნატლად გამოიკვეთა, 1921 წელს

ინგლის-რუსეთს შორის გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულება პირდაპირ მიანიშნებდა, რომ ინგლისის რუსეთის წინააღმდეგ გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. ამდენად, რუსეთის წინაარმდეგ, საქართველოს განთავისუფლების საქმეში დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნები ვერ გამოდგებოდნენ მოკავშირეებად.

1921 წლიდან ქართული კულტურა წარმოუდგენლად რთულ პირობებში ვითარდებოდა. საბჭოთა პოლიტიკური სისტემისათვის კულტურა, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდა ახალი სისტემის მშენებლობის პროცესში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უპირველეს ღონისძიებას წარმოადგენდა განათლების ძველი სისტემის ლიკვიდაცია. აღებულ იქნა გეზი საყოველთაო-სახალხო განათლების შემოღებისაკენ **(ვაჩნაძე, გურული 2014: 248).**

1921 წელს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში წითელი ჯარები შემოიჭრა. ამავე წელს თურქეთი ისევ ცდილობს დაიკავოს ბათუმი. ბათუმისთვის ბრძოლა ისევ გადაიქცა ორი სახელმწიფოს ინტერესის საგნად. თურქეთსა და რუსეთს შორის მოსკოვის „ძმობის და მეგობრობის“ ხელშეკრულების (1921 წლის 16 მარტი) თანახმად, ბათუმი და აჭარა რუსეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო, მაგრამ ეს თურქეთისთვის ბარიერი არ ყოფილა. საიდუმლო შეთანხმებით, ის თურქეთის შემადგენლობაში შეიძლება აღმოჩენილიყო **(ზვიადაძე 2016 :19)**. მარტში აჭარაში ჩადის ანგორის დელეგაცია და ბერსტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე, აჭარის თურქეთის შემადგენლობაში გადასვლას ითხოვს. მეჯლისზე მემედ აბაშიძე ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგება. ბათუმში შესული თურქული სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ (გასაბჭოების შემდეგ) იბრძვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტობრივად დაშლილი ჯარი და მილიცია, რომელსაც გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მეთაურობდა. მაზნიაშვილის მოგონებიდან ვიგებთ, რომ დაღუპულები აზიზეის მოედანზე დაკრძალეს. საბჭოთა პერიოდში ამ ადგილას აღმართული იყო მონუმენტი, წარწერით, რომ აქ განისვენებენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის დაღუპული მებრძოლები. მოგვიანებით პოსტ-საბჭოთა პერიოდში ეს ადგილი გახდა ისტორიის გადაწერის და ბრძოლის ადგილი.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს სსრ რევკომის დეკრეტით №54 აჭარის ასსრ-ს მოწყობის შესახებ, შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა . გასაბჭოების პირველ წლებში ისევ გრძელდება რთული პოლიტიკური სიტუაცია, ღიად თუ საიდუმლოდ დაპირისპირება სხვადასხვა ჯგუფებს შორის (განმათავისუფლებელი კომიტეტი, სედაი მილეთი, ქემალისტური ჯგუფები). პარალელურად მიმდინარეობს საბჭოთა მმართველობის დამყარება და რადიკალური სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები აჭარაში. ყველა ეს ცვლილება რეალურად ეხებოდა ტრადიციულ მუსლიმ თემს. როგორც ყველგან საქართველოში, აჭარაშიც იწყება საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკა: დაიხურა მედრესები, დაიკეტა მეჩეთები. 1924 წელს გაუქმდა შარიათი, 1926 წელს გაუქმდა აჭარის სამუფთო. 1927 წლიდან იწყება ჩადრის ტარების წინააღმდეგ კამპანია საბჭოთა მთავრობა მოლებს აიძულებდა, რომ ვაიაზებში (ქადაგებაში) საბჭოთა ხელისუფლების სიკეთეებზე ესაუბრათ . 1929 წელი გარდამტეხია აჭარაში ანტირელიგიური კამპანიისთვის და რეგიონში საბჭოთა წყობილების განმტკიცების კონტექსტში. თუ გავითვალისწინებთ იმ ისტორიულ ფონს, როდესაც აჭარა სხვადასხვა იმპერიის ცილობის სამიზნეა, აჭარაში ანტირელიგიურმა კამპანიამ ანტისაბჭოთა მუხტი გაზარდა. მალევე რეგიონში განსაკუთრებული მდგომარეობის და ფონის გათვალისწინებით, ანტირელიგიური კამპანიის „შერბილება“ იწყება. 1929 წელს სტალინის წერილში რელიგის პოლიტიკის ტაქტიკის ცვლილების საჭიროება ჩანს **(ხვიჩია 1971: 24).** აჭარისადმი ეს კონკრეტული განსხვავებული მიდგომა შემდეგში მისი იზოლაციის და „დაფარვის“ ზოგადი პოლიტიკური მიდგომა ხდება.**(ზვიადაძე 2016 : 20)**

1929 წლის დეკრეტით მთელ საქართველოში შემოღებული იქნა საყოველთაო სავალდებულო სწავლება. 1929 წელს აჭარაში მოლების მოსამზადებელი 5 სპეციალური დაწესებულება და 172 მედრესე იყო . აჭარაში იმავე წლიდან აიკრძალა რელიგიური სასწავლებლები. ისევე როგორც 20-30-იანი წლების „მებრძოლი ათეისტური“ პოლიტიკის შემდეგ, ანტირელიგიური კამპანია გრძელდებოდა აგიტაციის ფორმით - „რელიგიურ გადმონაშთებთან“ ბრძოლით. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სტალინი რელიგიას, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტს, დროებით აბრუნებს პოლიტიკაში, როდესაც მას, ომის და ტრავმატული პერიოდის დროს, ხალხის კონსოლიდაციისათვის იყენებს. 40-იან წლებში საქართველოს რიგ ქალაქებში

ისევ იხსნება ეკლესიები. ამავე პერიოდში ხელახლა იხსნება ბათუმის ორთა ჯამე. თუმცა მეჩეთები სხვაგან აღარ გახსნილა.ინსტიტუციურად რელიგიის პოლიტიკაში ე.წ. დათბობამ საფუძველი ჩაუყარა შემდგომ წლებში სახელმწიფოს მიერ კონტროლირებური რელიგიური ორგანიზაციების ფორმას. 1943 წელს საბჭოთა მთავრობის ზედამხედველობით შეიქმნა კავკასიის მუსლიმთა საბჭო, რეზიდენციით ბაქოში. მუსლიმთა საერო და სასულიერო საკითხთა ადმინისტრირება ამ ორგანოს დაექვემდებარა. საბჭოთა სეკულარიზაციამ ქვემო აჭარაში, ბათუმსა და ქობულეთში ყველაზე მეტად შეცვალა რელიგიური სურათი. აჭარის მთიანეთში მოსახლეობამ მეტნაკლებად შეინარჩუნა რელიგიური ტრადიცია, ისინი ჩუმად განაგრძობენ ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური რიტუალების შესრულებას. ძირითადად ეს იყო დაკრძალვის, წინადაცვეთის, ყურბან ბაირამის, მევლუდის დღესასწაულის აღნიშვნა. რელიგიური პრაქტიკა შეინარჩუნეს, მაგრამ მან ტრასფორმაცია განიცადა. ზეპირი ისლამი დამალულ ისლამად იქცა. **(ზვიადაძე 2016 : 23)**

მეორე მსოფლიო ომის დროს აჭარლების ლოიალობას სახელმწიფო ეჭვის თვალით უყურებდა. აქ არ ყოფილა იმ მასშტაბის გადასახლება, როგორც 1944 წელს სამცხე-ჯავახეთში, თუმცა აჭარლების ნაწილი ამ პერიოდში მაინც გადაასახლეს ყაზახეთში, ომში გაწვეულები დააბრუნეს, ან არ გაიწვიეს. ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ამის მიზეზი ის იყო, რომ „აჭარა სასაზღვრო რეგიონი იყო და თურქეთი ახლოს იყო“. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (განსაკუთრებით ნატოს ალიანსის ჩამოყალიბების შემდეგ), აჭარა ოფიციალურად სასაზღვრო ზონად გადაიქცა. აჭარაში გზებზე ბლოკ-პოსტები მოეწყო და სამხედრო პირები აკონტროლებდნენ ამ ტერიტორიაზე მიმოსვლას. აჭარლებს პასპორტში მითითებული ჰქონდათ - „სასაზღვრო რეგიონი“. ეს აღნიშვნა აჭარლების საბუთში საერთო პასპორტიზაციის დროს მოხდა.

აჭარის სასაზღვრო რეგიონის სტატუსის საკითხის ისტორია უფრო ადრე იწყება. 1932 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილება „სსრ კავშირში ერთიანი საპასპორტო სისტემის შემოღებისა და პასპორტების სავალდებულო მიწერის შესახებ“ (**Собрание законов СССР, N 84, 516, 1932**). პასპორტიზაციის საკითხი აჭარაში საზღვრისპირა ტერიტორიის კონტექსტში განიხილებოდა (ხვიჩია 1971).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1937 წლის 21 სექტემბერს მიიღო დამატებითი დადგენილება „საქართველოს სასაზღვრო რაიონებში პასპორტიზაციის ჩატარების შესახებ“, რის შემდეგაც შს სახალხო კომისარიატის სასაზღვრო დაცვის ნაწილები სასაზღვრო ზონებში მცხოვრებთა პასპორტებს სპეციალურ აღნიშვნას უკეთებდნენ. აჭარელი უპასპორტოდ ვერ შეძლებდა ამ პოსტის გავლას, მაგალითად, ბათუმში ჩასვლას. კონტროლი კიდევ უფრო გამკაცრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა იხსენებს, გადასახლებიდან რეაბილიტირებულებს არ შეეძლოთ აჭარაში დასახლება. აჭარაში მობილობა მთელი რიგი ბიუროკრატიული სირთულეებით იყო შეზღუდული.

ფაქტია, რომ აჭარას უფრო მცირე დროში და რამდენიმე იმპერიის პოლიტიკის შუქზე უწევს „ეროვნული გამოღვიძება“ და ქართულ წარმოსახვით ერთობაში გაერთიანება. რატომღაც, ამ პროცესს, რომელიც საბჭოთა დროს ახალ მასშტაბს იძენს დერლუგიანი უწოდებს, „The apparently successful assimilation of Ajaris into Georgia“ (Derluguian 1998: 278). მაგრამ რამდენად შეიძლება ვისაუბროთ აჭარლების გაქართველებაზე და ასიმილაციზე? ავტორისთვის აჭარა არ მოიზრება ქართველურ ეთნოსად, ის თანაბრად აყენებს მას აფხაზურის გვერდით. სტატიაში დერლუგიანი ნახევარ სიმართლეს გვიზიარებს: ვიცით საბჭოთა პოლიტიკა აჭარაში, მაგრამ არ ვიცით რა იდენტობა, რა პოლიტიკური და თუნდაც იდენტობის კონკურენცია მიმდინარეობს ამ მხარეში. ამიტომ სტატიის მიხედვით, მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის მხარე, სადაც არავითარი ქართველად აღქმის გამცდილება არ არსებობს, არც მსგავსი იდენტობის მქონე პოლიტიკური ფიგურები. გასაბჭოებამდე ამ მხარეში ნამდვილად არის პოლიტიკური ორიენტაციის და კულტურული მიკუთვნილების ჭიდილი, მაგრამ დერლუგიანის სტატიაში ეს არ ჩანს. ჩვენ ვხედავთ აჭარას, როგორც ოსმალეთის ყოფილ პროვინციას, რომელიც საბჭოთა დროს „გააქართველეს“. რაც შეეხება, სიმართლის მეორე ნახევარს, ფაქტია რომ საბჭოთა მმართველობა ერევა და ქმნის ეთნონიმებს კავკასიაში. ამის მაგალითია „აზერბაიჯანულის“, როგორც ეთნიკურობის განმსაზღვრელის შემოღება. გასულის საუკუნის 30-იოან წლებში „აზერბაიჯანელის“ ქვეშ გაერთიანდნენ: ქურთები, ტიურკები, თათები, ყარაფაფახები, ლეზგები (Derluguian 1998: 278). კონტროვერსული რჩება, რამდენად შეიძლება მსგავსი შემთხვევა იყოს აჭარა.

საბჭოთა მთავრობა ნამდვილად განსხვავებულად მიუდგა აჭარას, უფრო ფრთხილად ვიდრე სხვა მუსლიმებს, ისიც ფაქტია, რომ 30-იან წლებში პარტია და ქართული ისტორიოგრაფები მუშაობენ ხალხთა ეთნიკური კლასიფიკაციის შესახებ საქართველოში. მაგრამ ეს ყოველივე იქნებოდა ისტორიის მხოლოდ არასრული სურათი და საბჭოთა პერიოდში ქართული ნაციონალიზმის მხოლოდ ზემოდან მართული პროცესის დანახვა და უკვე არსებული სოციალური და კულტრული პროცესის უგულებელყოფა. დერლუგიანის სტატიაში აჭარის თემა პრობლმურია უფრო მეტად იმ ექოს გამო რასაც გამოსცემს, ვიდრე ფაქტების გამო. მართალია, რომ წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა აჭარაში გამოიხატებოდა ქართულად წერა - კითხვის სწავლებით. ამ ფაქტთან ავტორის შენიშვნა „რათქმაუნდა არა არაბულად ან თურქულად“, სწორედ ზემოთნახსენებ ექოს გამოსცემს. მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ თურქული ამ მხარეში იყო საყოველათაოდ გავრცელებული ენა და ახლა მას საბჭოთა მთავრობა ქართულით ანაცვლებს. დერლუგიანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ძალიან მწირი და ფრაგმენტული კვლევები მოგვეპოვება გასაბჭოებამდე და სტალინიზმის დროს აჭარის შესახებ (Derluguian 1998: 297). მწირია არამარტო აკადემიური ნაშრომები, არამედ ზოგადად საზოგადოებრივი ცოდნა. საბჭოთა დროს აჭარას თითქოს დროებით ფარდა ჩამოაფარეს. მოცეკვავე აჭარელის სილუეტი ხდება ამ ფარდის მთავარი დეკორი. მის უკან „გადამალეს“ ისლამი და სხვა აჭარული ტრადიციები და კულტრული პროცესები. საბჭოთა ხილულმა და უხილავმა საზღვარმა დიდწილად განსაზღვრა აჭარლების არა უბრალოდ გეოგრაფიული და ადმინისტრაციული საზღვრები, არამედ აჭარელის კულტურული და სოციალური ცხოვრება. აჭარის გაცნობამ პოსტსაბჭოთა ეპოქაში გადაინაცვლა.(ზვიადაძე 2016:21)

მართალია, საქართველოს გასაბჭოებამ სრულად მოწყვიტა აჭარა დასავლურ სივრცეს, მაგრამ უნდა ითქვას რომ ათეისტური სახელმწიფოს პრინციპებმა გარკვეულ წილად ხელი შეუწყო აჭარის მოსახლეობის ახალ სივრცესთან ინტეგრაციას, საინტერესოა როგორ იცვლება აჭარელი ქალის ცხოვრება აღნიშნულ პერიოდში.

მეფის რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლება გეგმაზომიერად ირჯებოდა იმისათვის,რომ აჭარელი ქალი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ვერ გამხდარიყო და დაჩენილიყო ნახევრად დამონებულ, უუფლებო მდგომარეობაში.

როდესაც იმხანად ბათუმში მოღვაწე საზოგადი პირებმა - ლუკა ასათიანმა, გრიგოლ ვოლსკიმ, ივანე მესხმა, დავით კლდიაშვილმა, ხუსეინ აბაშიძემ და სხვებმა ზემდგომ ორგანოებში კატეგორიულად დასვეს საკითხი, რომ ქართული სწავლებით ქალთა გიმნაზია დაარსებულიყო ამან ზემდგომ ორგანოებში აღშფოთება გამოიწვია იმ მოტივით, რომ ამით ინტელიგენტი ქალების რიცხვი გამრავლდებოდა და ეს იმპერიისათვის საზიანო იქნებოდა.

მამაკაცებთან ქალების უთანასწორობის ყველაზე დიდი მიზეზი იყო ჩადრი, რომლისგანაც აჭარელი ქალები გათავისუფლებას საფუძველი მხოლოდ მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ჩაეყარა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ დააკანონა ქალთა თანასწორუფლებიანობა მამაკაცებთან.

სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო აჭარაში ქალთა ჩართულობა კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. აჭარის ქალების პოლიტიკურმა და კულტურულმა დაწინაურებამ მათმა აქტიურობამ დღის წესრიგში დააყენა ჩადრის ახდის საკითხიც, რომელიც ხულოდან დაიწყო და 1929 წლის თებერვალში ქართველ მაჰმადიან ქალთა ყრილობის ბოლო დღეს ბათუმში აზიზიეს მოედანზე 30 დელეგატმა ქალმა ჩადრი საჯაროდ მოიხადა და დაწვა. მართალია ბევრისთვის ეს ფაქტი მტკივნეულიც კი აღმოჩნდა , იყო ისეთი შემთხვევიბიც, როდესაც ჩადრის მოხსნას აიძულებდნენ. ეს იმას ნიშნავდა რომ, არსებობდა მოსახლეობის ის ნაწილი რომლისთვისაც ისლამური წეს-ჩვეულებები ჯერ კიდევ პრიორიტეტული იყო.

საერთო ჯამში, ვფიქრობთ, საბჭოთა მმართველობამ ბევრი უარყოფითი ტენდენციის მიუხედავად ხელი შეუწყო აჭარელი ქალის ემანსიპაციას, ქალები ჩაერთნენ განათლებისა და კულტურის განვითარებაში, შეიქმნა ქალთა კომიტეტები, რომლებიც ზრუნავდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ჩაბმისათვის, მათი სოციალურ-კულტურული ღირებულებების, ჯანმრთელობის თუ სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის.

ვფიქრობთ, რეგიონის სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წინსვლის ერთ-ერთი წინაპირობა საზღვაო ინფრასტრუქტურის გამართვაც იყო. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ძირეული რეკონსტრუქცია და უახლოესი ტექნიკით აღჭურვა XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო და 90-იან წლებამდე გაგრძელდა. ნავსადგურში დაიდგა ტვირთის დამუშავების ახალი მარკის საზღვარგარეთული ტექნიკა: პორტალური ამწეები, პნევმოგადამტვირთავები, ავტომტვირთავები და სხვ. ბათუმის პორტში იღბდნენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გემებს, მათ შორის, საოკეანე ლაინერებსაც. XX ს-ის 50-80-იან წლებში ნავსადგურის საქმიანობის ყველა უბანზე მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა. მუშავდებოდა როგრც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთის გემები. XX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში საზღვაო სანაოსნოს დაარსებით დაინტერესებული იყო სსრკ საზღვაო ფლოტის სამინისტრო. საქართველოს საზღვაო სანაოსნო დაარსდა 1967 წელს და მან ბინა დაიდო ქ.ბათუმში, სანაოსნოს თავდაპირველად 13 გემი ჰყავდა. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის სორეული ნაოსნობის კაპიტანს ანატოლი კაჭარავას რომელიც 1967-1979 წწ მისი უფროსი იყო. სანაოსნოს გემები მსოფლიოს ოკეანეებს და ზღვებს სერავდნენ და შედიოდნენ 55 ქვეყნის 130 ნავსადგურში. საქართველოს სანაოსნოს კოლექტივი მოწინავეთა რიცხვებში იდგა, გემებსა და ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდა **(სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV 2009: 304)**.

ჩვენი აზრით, საზღვაო ფლოტის და შესაბამისად მეზღვაურთა რაოდენის გაზრდამ აჭარასა და მიმდებარე რეგიონებში ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის თვალსაწიერის გაზრდას, დასავლური ფასეულობების და მიღწევების თუნდაც ზედაპირულ აღქმას და მომავალი პერიოდისთვისს შეამზადა ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბუნებრივია, საბჭოთა კავშირი რჩებოდა ტოტალიტარულ სახელმწიფოდ, მისთვის დამახასიათებელი მეურნეობის მართვის არაეკონომიკური მეთოდებით. მოხდა საწარმოების ტოტალური ნაციონალიზაცია. ასეთი იყო მაგალითად ფრანგული საზოგადოების თამბაქოს ფაბრიკა. კაპლანის თუჯისა და სპილენძის მექანიკური ქარხანა, პოლიგრაფიულისაწარმოები - გაირასი, ხაჩატურიანის ბიდონების ქარხნები,

მანთაშევისა და როვლსკის ქარხანები და ა.შ. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საწარმოთა მომსახურე პერსონალი სამუშაოზე ადგილზევე იქნენ დატოვებულნი, მათ მფლობელ უცხოელებს კი უფლება მისცეს საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე განეგრძოთ წარმოების ხელმძღვანელობა.

გასაბჭოების პირველ წლებში, საბჭოთა რეჟიმი მეტ-ნაკლებად მსუბუქი ხასიათისა იყო, თუმცა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მდგომარეობა მძიმდება. კომუნისტური მთავრობის მთავარ ამოცანად რებოდა დასავლური ღირებულებების დაბლოკვა და ახალი საბჭოთა იდენტობის შექმნა. მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმება ახალი მსოფლიო ომისათვის მზადებამ გამოიწვია. მე-20 ს 30-იან წლებში დასავლეთის დემოკრატები ხედავდნენ, რომ ჰიტლერის სახით საქმე ჰქონდათ აშკარა აგრესორთან. მაგრამ ლონდონისა და პარიზის მთავრობებმა შეიქმნეს სახიფათო ილუზია, რომ ჰიტლერი შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო ცენტრალური ევროპის გერმანულენოვანი ტერიტორიების შეერთებით და დიდი ომი თავიდან ყოფილიყო აცილებული. თანაც, უფრო აღმოსავლეთით, სხვა აგრესორი ეგულებოდათ რომელიც ჰიტლერზე არანაკლებ საშიშნი იყვნენ.

რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს მოხდა ისე, რომ უკიდურესი ბოროტება ნაციზმი - დასავლეთის დემოკრატებს უნდა დაემარცხებინათ მეორე უკიდურესი ბოროტებასთან - კომუნისტურ რეჟიმთან - თანამშრომლობით. საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია დღემდე მიიჩნევს, რომ მისი როლი ნაციზმის დამარცხებაში გადამწყვეტი იყო. საბოლოოდ გერმანული სამხედრო მანქანის დამარცხება შესაძლებელი გახდა სამი უდიდესი ქვეყნის - საბჭოთა კავშირის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მოკავშირეობით.

აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ აღმოსავლეთ ევროპის იმ სახელმწიფოებზე, სადაც კომუნისტური რეჟიმი გვიან დამყარდა და ფეხი მყარად ვერ მოიკიდა, ასეთებია მაგალითად პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ლატვია, ლიეტუვა. უკვე 1944 წელს საბჭოთა კავშირმა აღადგინა კონტროლი 1940 წელს ოკუპირებულ რეპუბლიკებზე - ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვაზე, სადაც მძიმე რეპრესიები დაიწყო.

საბჭოთა კავშირმა დაუბრუნა აღმოსავლეთის პროვინციები პოლონეთს, რომელიც ომამდელი საზღვრების აღდგენას ითხოვდა. 1943 წელს თეირანში, 1945 წელს იალტაში საბჭოთა კავშირმა დაითანხმა დიდი ბრიტანეთი და აშშ და შეინარჩუნა 1939 წელს დაპყრობილი აღმოსავლეთ პოლონეთი. საბჭოთა კავშირმა დაიტოვა ჰიტლერთან შეთანხმებით რუმინეთისგან 1940 წელს ანექსირებული ბესარაბია. ის სახელმწიფოებია, რომლეთა მთავრობები, მსგავსად საქართველოს მთავრობისა, არ ეგუებოდნენ საბჭოეთის მარწუხებს და ეძებდნენ მისგან თავის დასაღწევ საშუალებებს. 1949 წელს დასავლეთის ქვეყნების საოკუპაციო ზონები გაერთიანდნა და შეიქმნა ახალი სახელმწიფო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ), რომლის დროებით დედაქალაქად გამოცხადდა ბონი. საბჭოთა ზონაში კი კრემლმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ) შექმნა, დედაქალაქით აღმოსავლეთ ბერლინში. ყველა ამ სახელმწიფოს საბჭოთა კავშირში „სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს“ უწოდებდნენ. კაპიტალისტურ დასავლეთში1961 წელს, როგორც ვიცით, გერმანიაში, ბერლინში დაიწყო ე.წ ბერლინის კედელის მშენებლობა, სწორედ ამ მოვლენას გამოეხმაურა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი იუსტონ ჩერჩილი თავისი ცნობილი ფრაზით - „ევროპას რკინის ფარდა ჩამოეფარა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ არმოსავლეთ ევროპა სრულად მოექცა საბჭოთა სოციალისტური ბანაკის შემადგენლობაში.

აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების გასაბჭოებამ, გარკვეულ წილად დაახლოვა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკას მჭიდრო ურთიერთობა ქონდა ე.წ. „სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან“ ეს ურთიერთობები ძირითადად გამოიხატებოდა: ხელოვნების, კულტურის, სპორტის, ასევე არქიტექტურის და სხვა სფეროებში.

ბათუმი როგორც საზღვაო ქალაქი ყოველთვის იყო კულტურათა თავშეყრის ადგილი. მართალია, ბათუმის ზღვისპირა ქალაქად ჩამოყალიბება რუსეთის იმპერიის დროს დაიწყო, ქალაქგანვითარების ყველაზე ხანგრძლივი პროცესი საბჭოთა მმართველობის დროს გაიარა.

საბჭოთა პერიოდში ზღვისპირა ქალაქი, „თეთრი ბათუმი“ მთლიანი აჭარის სიმბოლო ხდება. ამ პერიოდში მთიანი აჭარა დანარჩენი საქართველოსგან

იზოლირებულია. აჭარაში მიმდინარე კულტურული და რელიგიური პროცესები დიდი ხნით უცნობი რჩება ფართო საზოგადოებისათვის. მულტიკულტურალიზმი, ტურიზმი, საბჭოთა ქალაქდაგეგმარება და გეგმური ქალაქგანვითარება (მოსახლეობის განსახლების, სიმჭიდროვის და რიცხოვნების კონტროლი, „ჩაწერის“ ინსტუტუტი) ქალაქის თავისებურ სტრუქტურას და ცხოვრებას აყალიბებს.

ტრადიციულად, საზღვაო ქალაქები გამოირჩევიან კულტურული მრავალფეროვნებით, ღიაობით, კოსმოპოლიტური ტრადიციებით (**Werbner 2015: 15-17**). პორტი, ვაჭრობა, ტურიზმი ბუნებრივად აყალიბებს ისეთ სოციალურ ურთიერთობებს, რომლებიც ბათუმის ცხოვრების წესს ქმნის. საბჭოთა განვითარების პირობებშიც ქალაქი რჩება მულტიკულტურულ სივრცედ. საბჭოთა დროში ბათუმს აჩრდილივით თან ახლდა სასაზღვრო ქალაქის სტატუსი, კონტროლი და მინიშნება, რომ „იქით თურქეთია“. სახელმწიფოს მხრიდან საზღვრისპირა რეგიონის კონტროლის გამომხატველი იყო არა მხოლოდ აქ არსებული სასაზღვრო საკონტროლო პუნქტები, არამედ ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომში აჭარის მკვიდრი მოსახლეობა თითქმის არ გაუწვევიათ. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა იხსენებს, ზოგიერთები გზიდან მოაბრუნეს, ხოლო ვინც მონაწილეობა მიიღო, ომის დასრულების შემდეგ ბანაკში გააგზავნეს.

3.2. პოსტსაბჭოთა პერიოდი

იდენტობის სუბიექტური განცდა, თვითიდენტიფიკაცია ყალიბდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების კვალდაკვალ და სოციალიზაციის, საზოგადოებაში პიროვნების ინტეგრაციის შედეგს წარმოადგენს. ინდივიდის მიერ სოციოკულტურული ნიმუშების, ნორმების, ღირებულებების ათვისება და გაზიარება არ არის ერთგვაროვანი პროცესი და ხასიათდება გარკვეული ცვლილებებითაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული სამი ტერმინი - იდენტობა, იდენტიფიკაცია, თვითიდენტიფიკაცია - ერთი და იგივე შინაარსისაა და ერთმანეთისაგან განსხვავდება აქცენტებით: 1. იდენტობა აღნიშნავს უკვე ფაქტის სახით არსებულ რეალობას, იდენტიფიკაცია კი პროცესია, რომლის შედეგი ამ რეალობის განსაზღვრაა; 2. იდენტიფიკაცია და თვითიდენტიფიკაცია ერთი და იგივე პროცესის ობიექტური და სუბიექტური ასახვაა. კულტურული იდენტობა კი ეს არის ამა თუ იმ ისტორიული ერთობის წევრ ინდივიდთა (თვით)გააზრება ამ ერთობის კულტურის წევრად. ეთნიკური იდენტიფიკაცია საკუთარ ეთნიკურ გარემოსთან ინდივიდის გაიგივების პროცესია, რომელიც მას ამ ეთნოსის ქცევის ნორმებისა და კულტურული ფასეულობების ათვისების შესაძლებლობას აძლევს.

პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციას თან სდევს ძალაუფლების რესტრუქტურირება საზოგადოებაში, მეტწილად არსებულ სოციალურ გამყოფ მიჯნებზე, იქნება ეს კლასი, გენდერი, რელიგია თუ ნაციონალობა. ტრანსფორმაცია განხილულ უნდა იქნეს როგორც ბრძოლის საგნად სხვადასხვა არენებზე მოქმედ აქტორებს შორის. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციები არ წარმოადგენენ სწორხაზოვან პროცესს, რომელთაც მკაფიო შედეგი მოსდევთ, არამედ ისინი სოციალური და პოლიტიკური ბრძოლების შედეგად გვევლინებიან[10].

საბჭოთა მმართველობის 70-წლიან პერიოდში ისტორია გამოიყენებოდა როგორც იდეოლოგიური იარაღი, რომელიც არ ეყრდნობოდა რეალურ ფაქტებსა და სიმართლეს. იგი სავსე იყო ფალსიფიკაციებით, მცდარი ინტერპრეტაციებითა და კომუნისტური პოსტულატებით. კომუნისტები გულწრფელები მხოლოდ იმ

[10] (http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/transformation-theoretical-aspects.pdf)

საიდუმლო დოკუმენტებში იყვნენ, რომელსაც საბჭოთა ბიუროკრატები მმართველობის უმაღლეს რგოლსა და ელიტაში ავრცელებდნენ.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებსა და სისტემის ტრანსფორმაციის პერიოდში, აჭარაშიც იზრდება ეროვნული მუხტი. 1988 წელს თბილისში გამართულ საპროტესტო აქციას უერთდება აჭარის მკვიდრთა საკმაოდ დიდი ჯგუფი. აჭარისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1988 წლის ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გამოსვლა 20 ნოემბრის აქციაზე. ეროვნული მოძრაობის და ნაციონალიზმის დისკურსის გაჩენასთან ერთად, 1988 წლიდან ცალკეულ ინტელექტუალებსა და სამოქალაქო ჯგუფების მანიფესტებში ისმის მოთხოვნა - გაუქმდეს აჭარის ავტონომიის სტატუსი. იმ დროის ნაციონალიზმის სულისკვეთების გამოხატულებაა 1990 წელს ტარიელ ფუტკარაძის სიტყვები, რომ „თავისი აბსურდულობით ყველაზე დიდ აღშფოთებას იწვევს აჭარის ავტონომია, - ქართველთა ავტონომია საქართველოში ... ავტონომიის გაუქმება აჭარის მკვიდრთა საქმეა. მათი საპატიო და ისტორიული მოვალეობაა“[11]. აჭარაში ამ საკითხის წინ წამოწევა აღნიშნული პერიოდის ნაციონალური სულისკვეთების, სეპარაციის შიშების მანიფესტიაციაა. 1988 წლის 20 ნოემბერს, ბათუმში გამართულ მიტინგზე წამოაყენეს ბათუმის კათოლიკური ტაძრის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემის მოთხოვნა. გააკრიტიკეს ავტონომიური მოწყობის ფორმაც. 1989 წლის 26 მაისს მიტინგზე დაისვა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი.

დღეს უკვე ეთნიკური კონფლიქტების და ომის გამოცდილების შემდეგ ნაციონალიზმის დისკურსში დამოუკიდებელ საქართველოში მთავარი ტონის მიმცემი ნელ-ნელა მართლმადიდებლური ეკლესია ხდება. „აჭარის დაბრუნების“ საკითხს რელიგიური ტონები შეემატა. „დაბრუნება“ ამ შემთხვევაში არა ტერიტორიულ ან პოლიტიკურ გაერთიანებას, არამედ რელიგიურ (ქრისტიანულ) სივრცეში დაბრუნებას ნიშნავდა. ამ დროს ყველაზე ხშირად ისმის მოწოდება, რომ აჭარა „უნდა დაუბრუნდეს დედა ეკლესიას“ და რომ ეს იქნება მისი საქართველოსთან საბოლოო დაბრუნება. აჭარაში რელიგიური პროცესების გასაგებად ცალკე უნდა აღინიშნოს პატრიარქის ვიზიტები აჭარაში, საყოველთაო ნათლობები. ქრისტიანი აჭარლები და ქრისტიანი სასულიერო პირები აჭარის აღორძინების პერიოდის

[11] http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000366/

დასაწყისად 1989 წელს მიიჩნევენ, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქმა ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში 5000-მდე ადამიანი მონათლა. ამ მოვლენას წინ უძღოდა ისტორია, რომელიც აღიბეჭდება აჭარლების მეხსიერებაში. ესაა 1989 წლის 19 აპრილი, როდესაც აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ, მაისში, ილია II აჭარაში ჩავიდა. პატრიარქი შეხვდა ხალხს, ანუგეშა და აჭარაში ქრისტიანობის „გამოღვიძების“ მნიშვნელობაზე მიუთითა: „აჭარა საქართველოს უძვირფასესი კუთხეა, აქ იყვნენ პირველი ქრისტიანები. გახსოვდეთ, არასოდეს არ გვჭირდებოდა ერთიანობა ისე, როგორც გვჭირდება დღეს. (...) ვისაც გსურთ, აქაც მოგნათლავთ, გამოვგზავნი მღვდელმთავრებს, თუ საჭირო იქნება, მეც ჩამოვალ და მოგნათლავთ. ნათლობა ეს არის სულის გადარჩენა“[12].

1990–2007 წლებში პატრიარქი ინტენსიურად ჩადის აჭარაში, გრძელდება საყოველთაო ნათლობის რიტუალის შესრულება. ნათლობებს დიდი რეზონანსი აქვთ პრესასა და საზოგადოებაში, თუმცა აჭარლების ნაწილი, მუსლიმი თემის ერთი ნაწილი კვლავ ისლამის მიმდევარია.

საბჭოთა კავსირის დაშლის შემდეგ, აჭარაში ინტენსიურად იწყება მოსახლეობის დიდი ნაწილის ქრისტიანულ წიაღში დაბრუნება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელმა აჭარამ აღიარა ქრისტიანული რელიგია. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ეტაპზეც ხშირად შეინიშნება თურქეთის სახელმწიფოს გავლენა, რაც ხელს უწყობს რეგიონში ისლამის გავრცელებას. „რელიგიის გავლენა სათანადოდ შეფასებული არ არის, ადამიანები ფიქრობენ, რომ (დემოკრატიის წარმატებისთვის) საკმარისია სწორი ინსტიტუტების შექმნა, მაგრამ ინსტიტუტები ეფექტური იქნება მხოლოდ მაშინ, თუკი იქ ეთიკური ადამიანები იმუშავებენ“ აღნიშნავდა რადოსლავ სიკორსკი.[13]

საბჭოთა კავშირის ყოფილმა 15 რესპუბლიკამ ცენტრალური დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკით შეცვალა, თუმცა ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობაში ავტორიტარული მართველობის სისტემებია. რკინის ფარდა ჯართად კი დაიჭრა, მაგრამ დღევანდელ ევროპაში გაჩდა ახალი ზღვარი - დემოკრატიებს და იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ასეთებად ვერ იქცნენ.

[12] https://socialjustice.org.ge/ka/products/istoriuli-konteksti-acharis-mravali-dabruneba
[13] https://tabula.ge/ge/topic/81230

შეიძლება ითქვას რომ ნაწილობრივ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ასეთებად გადაიქცნენ საკუთარი კულტურის, ისტორიის და გეოგრაფიის წყალობით; ნაწილობრივ ეს სოციალიზმიდან პოსტკომუნისტურ ეპოქაში გადასვლის სხვადასხვა მეთოდების შედეგია. მთავარი სხვაობა კომუნისტების მმართველობის ქვეშ გატარებული დროის ხანგრძლივობაა. სსრკ-ს რესპუბლიკების უმრავლესობას ეს პარტია 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, 70 წლის განმავლობაში მართავდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საბჭოთა გავლენის ქვეშ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოექცნენ. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დიდ ნაწილს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ისტორია არ გააჩნდა, რადგან რევოლუციამდე ისინი მეფის რუსეთის იმპერიას წინასახელმწიფოებრივ ეტაპზე „შეუერთდა“.

შემთხვევითი არ არის ის, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, რომლებიც სსრკ-ს მხოლოდ 1940 წელს შეუერთდნენ, განვითარების ევროპული მოდელს უფრო იოლად აუღეს ალღო. ისინი თავს საბჭოთა რესპუბლიკებად არ მიიჩნევენ, არამედ ევროპულ ქვეყნებად, რომლებიც ცდილობენ დემოკრატიის აღდგენას და არა ახალი სახელმწიფოსს აშენებას.

ამ ფაქტორების გამო, დასავლეთი არასაბჭოთა სახელმწიფოებს ყოველთვის ევროპის ნაწილად მიიჩნევდა (მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც), ხოლო საბჭოთა კავშირის მხრივ კი სულ სხვა სიტუაცია - უკრაინის მაგალითს თუ ავიღებთ „უკრაინას იმის დამტკიცება უწევს, რომ რუსეთი არ არის“ აღნიშნავდა ალექსეი ხარინი[14], ამიტომ დასავლეთმა უმალ გაიღო უზარმაზარი დახმარება აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისთვის გარდამავალ პერიოდში.

ევროკავშირმა ასევე სწრაფად გაუხსნა ბაზრები მის აღმოსავლელ მეზობლებს, რამაც ხელი შეუწყო მათი ეკონომიკების ამუშავებას. 1990-იანების შუა წლებში ევროკავშირმა მოლაპარაკებები დაიწყო თითოეულ ამ ქვეყანასთან, სთავაზობდა მათ მოდელებს, მიზნებს, სტიმულებს რეფორმებისთვის, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არ მომხდარა. საქართველოს საერთაშორისო კვლევების ფონდის ხელმძღვანელი ალექსანდრე რონდელი აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ახლა დავიწყეთ

[14]https://www.tadviser.ru/index.php/%D0%9F%D0%B5%D1%80%D1%81%D0%BE%D0%BD%D0%B0:%D0%A5%D0%B0%D1%80%D0%B8%D0%BD_%D0%90%D0%BB%D0%B5%D0%BA%D1%81%D0%B5%D0%B9_%D0%90%D0%BD%D0%B0%D1%82%D0%BE%D0%BB%D1%8C%D0%B5%D0%B2%D0%B8%D1%87

საკუთარ თავზე ოპერაციის კეთება, ერთდროულად ტვინზე და კუჭზე, ხოლო გულუხვი მხარდაჭერის გარეშე ამის კეთება ძალიან რთულია“[15].

შეფერხებების მიუხედავად, პოსტსაბჭოთა დემოკრატიის საქმე ბოლომდე განწირული არაა. 2003-2005 წლებში ე.წ.ფერადმა რევოლუციებმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიულ სისტემებს.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში იწყება თვისობრივად ახალი ერა, განსხვავებულ გარემოში გადავიდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება. მოხდა აფხაზეთის და სამაჩაბლოს ოკუპაცია, აჭარას კი ავტორიტარული „ავტონომიის“ ზღუდე შემოევლო. აჭარაში სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება მხოლოდ 2004 წელს მოხდა. აჭარამ „შემოერთების“ კიდევ ერთი ეტაპი გაიარა. ვარდების რევოლუციის შემდეგ აჭარა ექცევა პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის ტურბულენტურ ფაზაში. ეს ტრანსფორმაციის ახალი ეტაპია რელიგიური თვალსაზრისითაც. ვარდების რევოლუციის შემდეგ რელიგიის პოლიტიკა ამბივალენტური (წინააღმდეგობრივი) იყო: გაცხადებული სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებთან ერთად, იმავდროულად ეკლესიასთან ალიანსი, განსაკუთრებით, პოლიტიკური კრიზისის დროს. ეს წინააღმდეგობა ჩანს აჭარაშიც.

აჭარა, თურქეთთან საზღვრის გამო, მუდმივად მეთვალყურეობის და ეჭვის ობიექტი, საქართველოსთვის დანარჩენ სამყაროსთან კარიბჭედ გადაიქცა. ამ „კარიბჭის“ ტრანსფორმაციას კარგად დავინახავთ, თუ თვალს გადავავლებთ მხოლოდ ამ საზღვრის გადაკვეთის რეგულაციებს და თურქეთში წასვლის მოტივაციებს: სავაჭრო ურთიერთობები, ორმხრივი ტურიზმი, თურქული კაპიტალდაბანდება ბათუმში, შრომითი მიგრაცია, უვიზო მიმოსვლა. საზღვრის გადაკვეთა აღარ არის საშიში. აჭარელი თითქოს უნდა გათავისუფლებულიყო ეჭვიანი მზერისგან. თითქოს დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდს წარსულისგან ემანსაპიციისთვის უნდა შეეწყო ხელი. ასეც მოხდა ნაწილობრივ (ზვიადაძე 2016 :58).

[15]https://eon.ge/book/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94/

მიუხედავად იმისა, რომ მე-20 ს 90-იანი წლების ბოლოს და 21-ე ს დასაწყისიდან აჭარა გარკვეულ წილად თავისუფლდება რელიგიური ნიშისგან. მოკლედ რომ ვთქვათ, აჭარელი თუ ადრე ავტომატურად მუსლიმად მოიაზრებოდა ეს შეხედულებები შეიცვალა.

აჭარის საზღვირპირა მდებარეობამ, განაპირობა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური გადინება თურქეთის რესპუბლიკაში, ასევე თურქეთი დაინტერესებულია ადგილობრივი ახალგაზრდების თურქეთში წაყვანით, სადაც ისინი იღებენ უფასო რელიგიურ განათლებას, რაც ვფიქრობთ არც თუ ისე კარგი შედეგის მომცემი იქნება სამომავლო პერსპექტივაში. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვნია, სახელმწიფო ინსტიტუტების მეტი ჩართულობით, მოხდეს მსგავსი ფაქტების გაკონტროლება და რელიგიური ტოლერანტობის ფარგლებში ადგილობრივ მუსლიმ ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცეს განათლება ადგილზე, მშობლიურ ენაზე მიიღონ.

როგორც ვნახეთ, პოსტსაბჭოთა ქვეყნები სხვადასხვა განვითარების ეტაპზე არიან, თუ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები დემოკრატიის აღდგენისთვის იბრძვიან და მაქსიმალურად ჩართულნი არიან ევროკავშირის გეგმებში, ამიერკავკასიის სახელმწიფოები პოსტსაბჭოთა პერიოდს საკმაოდ რთულად გადიან, ვგულისხმობთ, იმას, რომ ისეთ სახელმწიფოებში როგორებიცაა საქართველო, უკრაინა, ყირგიზეთი და სხვ. გარკვეულწილად უბრუნდებიან ისტორიას, ტრადიეციებს. შეიძლება ითქვას, ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა ფეხი აგვეწყო და გვეპასუხა იმ გამოწვევებისათვის, რომლებსაც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა უფრო წარმატებით უპასუხეს.

მიუხედავად სირთულეებისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო და აჭარა, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ყოველთვის მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგანდა, საბჭოთა, კომუნისტურმა რეჟიმმა რომელიც 70 წელი გრძელდებოდა, ვერ მოახერხა და ბოლომდე ვერ მოწყვიტა დასავლურ სივრცეს. თუ აჭარამ მოახერხა და 300-წლიანი ბატონობის მიუხედავად შეძლო იდენტობის მთავარი მარკერების შენარჩუნება, 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმიც ვერ აღმოჩნდა იმ რეალობის შემცვლელი, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში

მიჰყვება ჩვენი ქვეყანა, როგორც დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენადი რეგიონში.

აუცულებელია აღვნიშნოთ, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან ასევე იწყება ევროპული განათლების აქტიური შემოდინება საქართველოში. როგორც ითქვა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს აჭარაში დაარსდა საზღვაო სასწავლებელი , საიდანაც კურსამდთავრებულები შორეულ ნაოსნობაში მიდიოდნენ და სადაც ეცნობოდნენ უცხო კულტურასა და ცივილიზაციას. ასევე საინტერესოა, რომ ამ პერიოდიდან იწყება დასავლური განათლების სისტემის დანერგვა საქართველოში. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ 90-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებული შტატები ინტერესდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განათლების დონის ამაღლებით. 1992 წლიდან ინერგება ახალი FLEX (Future Leaders Exchange Program) პროგრამა სკოლის მოსწავლეებისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილი აღნისნავდა, რომ თუ მეორე უნივერსიტეტი გაიხსნებოდა საქართველოში, ეს უნდა ყოფილიყო სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, კერძოდ კი ბათუმი. 1990 წლის აგვისტოში ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთდა. ბათუმის უნივერსიტეტი დღემდე აქტიურადაა ჩართული დასავლეთის ქვეყნების პრესტიჟულ სასწავლებლებთან გაცვლითი პროგრამებში, რაც ხელსუწყობს უცხოური განათლების პოპულარიზაციას.

1999 წლის 19 ივნისს ევროპის 29 ქვეყანამ ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას. აღნიშნული დეკლარაცია ითვალისწინებდა ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნას, რომელშიც ჩართული იქნებოდნენ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები. ამჟამად ბოლონიის პროცესში 47 სახელმწიფოა ჩართული. საქართველო ბოლონიის პროცეში 2005 წლიდან ჩაერთო და დღემდე აქტიურად აგრძელებს ევროპული განათლების დანერგვას და განვითარებას. ეს თეზა პირდაპირ მიესადაგება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ძალზედ მაღალია ამ პროცესში ჩართულობის ხარისხი.[16]

[16] იხ. https://bsu.edu.ge/sub-19/news/index.html

დასკვნა

დასავლური სივრცე, რომელიც დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებაში აღმოჩნდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს ისტორიის და კულტურის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. ჩვენი ერის განვლილი გზის შეფასებისას რთულია გვერდი აუარო საქართველო-დასავლეთის კავშირს, იმ გამოცდილებას, რომელიც საუკუნეებია გროვდება და დღემდე აგრძელებს ფუნქციონირებას.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადრეანტიკურობას სამხრეთ-დასავლეთი საქართელოს ისტორიისათვის. ადრეანტიკური სამყარო, რომელიც თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის წინაპრადაც შეიძლება მოვიხსენიოთ, მთელი თავისი დიდებულებით მნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სამრეთ-დასავლეთი საქართველოს განვითარების საქმეში.

ადრეანტიკური სამყაროს ღირსეულ გამგრძელებლად, რაღა თქმა უნდა, ელინიზმი და ელინისტური ხანა გვევლინება, რომლის წარმოშობა ალექსანდრე დიდის სახელს უკავშირდება. ალექსანდრეს იდეა, შეექმნა გლობალური იმპერია, საერთო ენით, კულტურითა და საერთო სახელმწიფო მოწყობით, მართალია ბოლომდე ვერ განხორციელდა, მაგრამ მან დატოვა ისეთი ძლიერი მუხტი, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში უდიდესი ზეგავლენა იქონია როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

ელინიზმის პერიოდში საქართველო, როგორც სახელმწიფო იწყებს ჩამოყალიბებას. ფარნავაზის ეპოქა, რომელმაც ელინისტური სახელმწიფოს მოდელით შიექმნა, ძლიერი ერთიანი სახელმწიფოს ერთ-ერთი საყრდენია. სახეზე გვაქვს სახელმწიფებრივი აზროვნების მაღალი დონე, რაც გამოიხატებოდა თუნდაც ეგრისის მმართველი ქუჯისა და ფარნავაზის ურთიერთობით, რეფორმებით რომელიც იმ პერიოდისათვის, სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

ძვ.წ. I საუკუნიდან სამხრეთი საქართველოს საზღვრებთან გამოჩნდნენ ელინისტური სამყაროს მემკვიდრეები - რომაელები. მართალია, საბერძნეთთან

შედარებით რომთან ურთიერთობა უფრო მეტად მილიტარულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ნიშანდობლივია, ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ინარჩუნებდა თავის ავტონომიას და რომთან ნომინალურ ურთიერთობაში იყო. ეს გვაძლევს უფლებას ვისაუბროთ კოლხეთზე, როგორც პოლიტიკურად განვითარებულ ძლიერ სახელმწიფოზე, რომელიც უკვე ახ.წ. I-II სს ახერხებს თავისი უფლებების დაცვას და რომისათვის წინააღმდეგობის გაწევას.

ახ.წ. I საუკუნიდან, მაშინ როდესაც ახალი რელიგია იწყებს ჩამოყალიბებას, თანდათან იქმნება ახალი იდეოლოგია, რომელიც სახელმწიფოთა განვითარების საფუძველი ხდება. მართალია, თავდაპირველად რომში ქრისტიანობა იდევნებოდა, მაგრამ უკვე IV საუკუნისათვის სახელმწიფო რელიგიის სტატუსს იღებს და შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ სწორედ ამ პერიოდიდან ერთიან იმპერიულ სივრცეს ერთიანი ქრისტიანული სივრცე ანაცვლებს. რომის იმპერიის ორად გაყოფის შემდგომ, აღმოსავლეთი რომის იმპერია, რომელიც შემდგომში ბიზანტიად იწოდება უშუალოდ გაუმეზობლდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს და სწორედ აქედან იწყება ე.წ. ბიზანტიური პერიოდი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ბიზანტიასთან ურთიერთობის საუკუნეებს ითვლის და მიუხედავად იმისა რომ სხვადასხვა დროს ურთიერთობის განსხვავებული მიდგომები არსებობდა, ერთიანობაში საქართველო ბიზანტიას ყოველთვის ქრისტიანული სივრცის ცენტრად მოიაზრებდა და ცდილობდა სტაბილური ურთიერთობა შეენარჩუნებინა მასთან. ეგრისის მმართველები დიპლომატიის საშუალებით კარგად ახერხებდენენ ლავირებას და ისტორიულად ორ დამპყრობელს შორის მოქცეულნი ცდილობდნენ მშვიდობის დამყარებას. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავის მხრივ ბიზანტიაც, როგორც არა ერთ გზის აღვნიშნეთ, დასავლეთი საქართველოს - ლაზიკის და აფხაზეთის სამეფოებს აღიქვამდა როგორც მოკავშირეს და ჯერ ირანის, ხოლო მოგვიანებით არაბების შემოსვლის დროისთვის შეიძლება ითქვას, რომ ის ერთგვარ ბუფერულ სახელმწიფოს წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიისათვის.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარეა, რომელმაც ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე თავისი განუზომელი

წვლილი შეიტანა. მიუხედავად მძირე ისტორიული წარსულისა, ის ყოველთვის ახერხებდა ქართული თვიდმყოფადობისა და იდენტობის შენარჩუნებას. ქართული ტრადიციებისა და ისტორიის პატივისცემა ყოველთვის იყო და ახლაც რჩება მთავარ მამოძრავებელ ძალად კუთხის განვითარების საქმეში. აჭარა ყოველთვის პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ რეგიონს წარმოადგენდა, თუმცა XIX საუკუნის ბოლო მეთხედსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის აღნიშნყული სტატუსი კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რაც განპირობებული იყო ერთის მხრივ ბათუმის პორტის ახალი სტატუსით (პორტო-ფრანკო, თავისუფალი ნავსადგური) და მეორეს მხრივ ოსმალთა საუკუნოვანი ბატონობის დასასრულით.

თუ დავაკვირდებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს, დავინახავთ რომ სწორედ ამ პერიოდიდან მძაფრდება ევროპაში ნაციონალისტური იდეების პოპულარიზაცია. ძალიან საინტერესოა ის გარემოება, რომ სწორედ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში ჩნდება ახალგაზრდა, ენერგიული, განათლებული თაობა, რომელიც ისტორიაში „თერგდალეულების“, „სამოციანელების“სახელით მოიხსენიება. მოგვიანებით მას „ცისფერყანწელები“ ანაცვლებენ. მათ მთავარ ამოცანას სწორედ ეროვნული, ნაციონალური ღირებულებების გამოღვიძება და მათი დასავლურ ფასეულობებთან შეთანაბრება წარმოადგენდა. მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა, მათ აერთიანებდა სწორედ ეროვნული იდეა. ისინი ძალიან კარგად იცნობდენენ ევროპულ ლიტერატურას, ახდენდნენ მათ ანალიზს და მასზე დაყრდნობით იმუშავებდნენ გეგმას, რომელიც შეძლებდა საზოგადოებაში ქართული ცნობიერების აღდგენას და ქვეყნის განვითარების ჩვეულ კალაპოტში დაბრუნებას. აჭარის განთავისუფლების შემდგომ განუზომელია ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების როლი კუთხის კულტურული და საგანმანათელბლო განვითარების საქმეში.

გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობისა, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი აჭარის ისტორიაში ხასიათდება როგორც კულტურისა და განათლების გამოღვიძების პერიოდად. სწორედ ამ პერიოდიდან აარსებენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები ევროპული მოდელის ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომელმაც ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებას. ბათუმი

თანდათან უბრუნდებოდა დასავლურ ღირებულებებს, ისტორიულ წარსულს, რომელთან კავშირიც უძველესი პერიოდიდან იწყება.

ჩვენ გავეცანით უცხოელ ავტორთა ნაშრომებს, რომლებიც ძალიან კარგ მასალას წარმოადგენს აჭარის ისტორიის შესასწავლად. მათზე დაყრდნობით გავაანალიზეთ იმ პერიოდის ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრება, კულტურული თუ ეკონომიკური მდგომარეობა. გააქტიურებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ევროპის ისეთ ძლიერ სახელმწიფოებთან როგორებიც იყვნენ საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ავსტრია და სხვ. მნიშვნელოვნად გაზარდა ბათუმის როლი დასავლურ სამყაროში. ბათუმი თანდათან ყალიბდება ევროპული ტიპის ქალაქად, რაც გამოიხატებოდა ადგილობრივთა როგორც ჩაცმულობის სტილით ასევე ცხოვრების მაღალი დონით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი და XX საუკუნის დასაწყისი კუთხის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პერიოდია, როგორც პოლიტიკური ასევე კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით. სწორედ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ შეგვესწავლა აღნიშნულ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ურთიერთობები დასავლურ ცივილიზაციასთან.

საბჭოთა კავშირის შექმნით ევრაზიის ტერიტორიაზე ყალიბდება სრულიად საწინააღმდეგო პოლუსის სახელმწიფო სისტემა, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა მსოფლიოში არსებული სისტემებისგან. ის შეიძლება ითქვას სტალინის მიერ თითიდან გამოწოვილი სახელმწიფო იყო სრულიად ახალი იდეოლოგიით. სწორედ ამ იდეოლოგიით დაუპირისპირდა ის დასავლურს, ეს დაპირისპირება კი თითქმის ერთი საუკუნე გრძელდებოდა და დღემდე გრძელდება, რადგან რუსეთის სახელმწიფო დღემდე ინარჩუნებს ბოლშევიკური იმპერიის სულისკვეთებას.

როგორც ვნახეთ, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდი არანაკლებ დატვირთული აღმოჩნდა ჩვენი რეგიონისათვის, საბჭოთა იდეოლოგიამ თავისი კვალი დატოვა ჩვენი კუთხის განვითარების საქმეში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აჭარა საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში მოხვდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რიგი ცვლილებები, რომელიც საბოლოო ჯამში დადებითად აისახა ჩვენი კუთხის

განვითარების პროცესზე. რელიგიის უკანა პლანზე გადაწევამ საბჭოთა კავშირში, შეიძლება ითქვას, აჭარელ მოსახლეობას ხელი შეუწყო განთავისუფლებულიყო ისლამური წეს-ჩვეულებებისაგან და გადასულიყო განვითარების ახალ ეტაპზე. განვითარების ახალ ეტაპში იგულისხმება თუნდაც ის ფაქტი, რომ დაიწყო ქალის როგორც სოციალური ფიგურის წინა პლანზე წამოწევა. აჭარელი ქალი აქტიურად ერთვება სოციალურ და პოლიტიკურ საქმიანობებში, ამ ყოველივეს თან ახლდა ჩადრის მოხსნის პროცესი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ასევე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემობასაც, რომ აჭარა, როგორც ზღვისპირა რეგიონი მიუხედავად საბჭოთა მარწუხებისა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მაინც ახერხებდა ზღვის საშუალებით კომუნიკაციას სხვა ხალხებთან. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, როდესაც საბჭოთა კომუნისტური იმპერიის შემადგენლობაში აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები მოექცნენ, რომელთაც, როგორც ვთქვით, „სახალხო დემოკრატიის რესპუბლიკების“ სახელით მოიხსენიებდნენ. ეს სახელმწიფოები იყო ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებიც უშუალოდ სსრკ შემადგენლობაში შევიდნენ, ასევე ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და მცირე ხნით იუგოსლავია. საბჭოთა იმპერია გარკვეულწილად არ ზღუდავდა იმპერიის შიგნით მიმოსვლას და კომუნიკაციას. ეს კომუნიკაცია კი გამოიხატებოდა, კულტურის სფეროს წარმომადგენლების ხშირი მიმოსვლით; იმართებოდა კონცერტები, ეწყობოდა ახალგაზრდული ბანაკები, ექსკურსიები. ყოველივე ეს კი ძალიან კარგი საშუალება იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მათ შესაძლებლობა ეძლეოდათ გაცნობოდნენ მრავალფეროვან კულტურასა და საზოგადოებას, რომელიც ხშირად იყრიდა თავს აჭარაში.

საბჭოთა იმპერიის დაშლამ შექმნა ახალი, სრულიად განსხვავებული რეალობა. ქვეყანაში ახალი გამოწვევები ჩნდება. მართალია, დამოუკიდებლობა სხვადასხვა პოლიტიკური წრეებისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა, მაგრამ გარდამავალი პერიოდი ქვეეყნის ეკონომიკისა და კულტურისათვის ძალიან მძიმე და მტკივნეული იყო. თუმცა, 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან თანდათან იწყება სტაბილიზაციის პერიოდი. ქვეყანაში წინა პლანზე ეროვნულ ღირებულებებზე აღმოცენებული პარტიები იკიდებენ ფეხს კვლავ დგება აჭარის, როგორც რელიგიურად

განსხვავებული სივრცის საკითხი. ბევრ კითხვებს აჩენს თავად აჭარის ავტონომიის საკითხიც, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები შეუძლებლად მიიჩნევენ „საქართელოში ქართველთა ავტონომიას“. თუმცა, ეტაპობრივად რელიგიური განსხვავებულობა მაშტაბური ნათლობებით ბალანსდება და აჭარელი მოსახლეობა აქტიურად უბრუნდება წინაპართა რელიგიას.

როგორც ვნახეთ, პოსტსაბჭოთა პერიოდი ბევრად მარტივი გადასალახავი აღმოჩნდა აღმოსავლეთ ეროპის სახელმწიფოებისათვის, ისინი იწყებენ დემოკრატიის აღდგენის პროცესს, რაშიც აქტიურად ეხმარება ევროკავშირი, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს და მისი მეზობელი სახელმწიფოების შემთხვევაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ ხდებიან კომუნისტური იდეოლოგიის მსხვერპლნი, ხოლო საქართველო და დანარჩენი სახელმწიფოები 1917 წლამდე მეფის რუსეთის ხოლო შემდეგ საბჭოეთის გავლენის ქვეშ ექცევიან, რაც არც თუ ისე მარტივად დასაძლევი აღმოჩნდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპა და დასავლეთი ძალიან კარგად იაზრებდა იმას, რომ სტანდარტული პოლიტიკა არ გაამართლებდა და შეიძლება ითქვას, სწორედ დასავლეთის ჩართულობით დაიწყო ფერადი რევოლუციების ტალღა, რომელსაც ახალი მუხტი შემოიტანა რეგიონის განვითარების საქმეში

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ავალიშვილი 2011:** ავალიშვილი ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში,თბ., 2011

2. **ახვლედიანი 1944** : ახვლედიანი ხ. ნარკვევები აჭარის ისტორიიდან. ბათუმი, 1944

3. **ახვლედიანი 1956** : ახვლედიანი ხ. სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო XIX ს. ბათუმი, 1956

4. **ახვლედიანი 1971**: ახვლედიანი ხ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში: 1917-1921, ბათუმი, 1971

5. **ახვლედიანი, 1972:** ახვლედიანი ხ. სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათუმი, 1972

6. **ბერძენიშვილი 1990:** ბერძენიშვილი ნ, საქართველოს ისტორიის საკითხები,თბ., 1990

7. **გაჩეჩილაძე 2017:** გაჩეჩილაძე რ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში, თბ., 2017.

8. **გოგიტიძე 1997:** გოგიტიძე ს. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა. ბათუმი, 1997

9. **გოგოლიშვილი 2005**: გოგოლიშვილი ოთ. ბერლინის კონგრესი, საისტორიო მაცნე, 14, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005

10. **გოგოლიშვილი 2012**: გოგოლიშვილი ოთ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910 წწ, ბათუმი, 2012

11. **გოგოლიშვილი 2017** : გოგოლიშვილი ოთ. უცხოელი ავტორები XIX საუკუნის ბათუმის შესახებ (1804-1898წწ), ბათუმი, 2017

12. **გოგოლიშვილი 2019** : გოგოლიშვილი ოთ. ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 2019

13. **გოგოლიშვილი 2020** : ო.გოგოლიშვილი. ბათუმის ოლქი 1900-1921 წლებში. I ნაწილი, ბათუმი, 2020

14. **გოგოლიშვილი 2020** : ო.გოგოლიშვილი. ბათუმის ოლქი 1900-1921 წლებში. II ნაწილი, ბათუმი, 2020

15. **დიასამიძე 2001:** დიასამიძე ბ, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში I-X სს., ბათ., 2001

16. **ერიაშვილი 2016:** ერიაშვილი ნ. კულტუროლოგია, თბ., 2016

17. **ვარდმანიძე 2001 :** ვარდმანიძე ჯ. მუჰაჯირობა და ეროვნული ცნობიერების ზოგიერთი საკითხი სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში. ბათუმი, 2001

18. **ვარშანიძე 2006 :** ვარშანიძე ნ. ბათუმის ოლქი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში (ეთნო-კულტურული ვითარება), ბათუმი, 2006

19. **ვარშანიძე, კახიძე 2012:** ვარშანიძე ნ., კახიძე ე. ბათუმის დემოგრაფიული ვითარების იმპერიული ხედვა XIX ს-ის ბოლო მეოთხედში და მისი თანამედროვე ანალოგიები, ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა, 2, 2012: 287-292

20. **ვაჩნაძე 1992:** ვაჩნაძე დ. სამშობლოს სამსახურში (მოგონებები), ქართულ-ევროპულიინსტიტუტის ჟურნალი ,,ივერია'' №1, 1992

21. **ვაჩნაძე, გურული 2014 :** ვაჩნაძე მ., გურული ვ. საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები), თბ., 2014

22. **ზვიადაძე 2016 :** ზვიადაძე ს. აჭარის ხილული და უხილავი საზღვრები. თბ. 2016

23. **ზოიძე 2009 :** ზოიძე ი. საზოგადოებრივი მდგომარეობა აჭარაში ოსმალთა ბატონობის შემდგომ პერიოდში.

24. **ზოსიძე 1995:** ზოსიძე ნ. პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი, 1995

25. **ზოსიძე 1998:** ზოსიძე ნ. ტრაპიზონის საზავო კონფერენცია (დოკუმენტების კრებული), გამოსცა და წინაიუტყვაობა დაურთო ნ.ზოსიძემ, ბათუმი 1998

26. **თევზაძე 2010:** თევზაძე გ. ი. ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება, თბ., 2010

27. **ინაიშვილი 1993 : ინაიშვილი ნ.** ციხისძირის ახ.წ I-VI არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993

28. **კაკიტელაშვილი 2000:** კაკიტელაშვილი ქ, დასავლეთი ქართულ ცნობიერებაში, თბ., 2000

29. **კახიძე, ხახუტაიშვილი 1989:** კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, ბათუმი, 1989

30. **კახიძე, ვაშაკიძე 2010:** კახიძე ა., ვაშაკიძე ნ., ფიჭვნარი III, ბათუმი/ოქსფორდი, 2010

31. **კახიძე 2002 :** კახიძე ე. რომის იმპერია და სამხრეთ-არმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ახ.წ. I-V სს., თბ. (საკანდიდატო დისერტაცია), 2002

32. **კომახიძე 1999 :** კომახიძე თ. აჭარა წარსულის გადასახედიდან, ბათუმი, 1999

33. **კომახიძე 2011:** კომახიძე თ. აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, წიგნი II, ბათუმი, 2011

34. **ლობჟანიძე 2010**: ლობჟანიძე გ. ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ (XVI-XVIII სს), თბილისი, 2010

35. **ლორთქიფანიძე, ჩიქოვანი 1997:** ლორთქიფანიძე გ., ჩიქოვანი ნ. ქართული კულტურის ისტორია, თბ., 1997

36. **ლორთქიფანიძე 1972:** ლორთქიფანიძე ოთ. ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972

37. **ლორთქიფანიძე 1998 :** ლორთქიფანიძე ოთ. ქართველთა ქვეყანა: ისტორია და კულტურა, თბ., 1998

38. **მამულაძე, ქამადაძე 2015:** მამულაძე შ, ქამადაძე კ, , ყიფიანი გ, ავგიის ნაეკლესიარი, ბათ. 2015

39. **მეგრელიშვილი 1956:** მეგრელიშვილი შ. აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისგან, ბათუმი, 1956

40. **მერკვილაძე, გაბისონია 2014:** მერკვილაძე დ., გაბისონია პ. არქანჯელო ლამბერტის მოგზაურობა დამასკოდან გორამდე, თბ., 2014

41. **მესხი 2000:** მესხი ს. წერილები აჭარაზე, 1875-1882, ბათუმი, 2000

42. **პატარიძე 2009:** პატარიძე ლ. პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში. „ქართლის ცხოვრების„ სამყარო, თბ., 2009

43. **რიზი 2008 :** რიზი ლ. მეორე მსოფლიო ომი დახურულ კარს მიღმა. სტალინი ნაცისტები და დასავლეთი, თბ., 2008ჯ56

44. **სანიკიძე 1956:** სანიკიძე ლ. პონტოს სამეფო, თბ., 1956

45. **სიჭინავა 1958**: სიჭინავა ვ. ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958

46. **სიხარულიძე, 1999:** სიხარულიძე ფ. ასე იწყებოდ აჭარაში - გაზეთი „ახალი განათლება“, 1999 წლის 21 ივნისი

47. **სურგულაძე, სიორიძე 1996**: სურგულაძე ა., სიორიძე მ. პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996

48. **სურმავა 2018:** სურმავა ნ. დასავლეთი და აღმოსავლეთი XX საუკუნის არაბულ ლიტერატურაში (10-იანი-60-იანი წლები), ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2018

49. **უზუნაძე 1997**: უზუნაძე რ. ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1997

50. **უზუნაძე 2005:** უზუნაძე რ. ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი, 2005

51. **ყაუხჩიშვილი 1957:** ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957

52. **ყაუხჩიშვილი 1977:** ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ, 1977

53. **ჩიქოვანი 2005 :** საქართველოს კლტურული რაობა ცივილიზაციათა თეორიის კონქექსტში, თბ, 2005

54. **ხახუტაიშვილი 1996:** ხახუტაიშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები გონიო-აფსაროსში,ბათ., 1996

55. **ჯავახია 2002:** ჯავახია ბ. გოთები და დიდი ომიანობა ეგრისსში, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბ., 2002

56. **ჩარკვიანი 2015:** ჩარკვიანი გ. სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები, თბ., 2015

57. **ჩხეიძე 1974** : ჩხეიძე ა. ბათუმი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში (1875-1878 წწ)

58. **ჩხეიძე 2009:** ჩხეიძე ი. ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდალეულები“), თბ., 2009

59. **ჩხეიძე 1959** : ჩხეიძე ჯ . ბათუმი ისტორიული ნარკვევი, ბათუმი, 1959

60. **Braund 1994:** Braund, D. Georgia in Antiquity, Oxford, 1994

61. **Derluguian 1998:** Derluguian, G.M. The tale of two Resorts: Abkhazia and Ajaria before and since the Soviet collapse. *Research Series-Institute of International Studies University of California, Berkeley*, 1998: 261-292

62. **Kakhidze, Varshanidze 2013 :** Kakhidze E., Varshanidze N. Western Georgia in the fifth-sixth centuries AD: a choice between Byzantium and Persia, G.R. Tsetskhladze, S.Atasoy, A. Avram, Ş. Dönmez and James Hargrave (eds): The Bosporus: Gateway between the ancient West and East (1st millennium BC – 5th century AD), Proceedings of the Fourth International Congress on Black Sea Antiquities Istanbul, 14th–18th September 2009, BAR International Series 2517, 2013: 275-277

63. **Webner 2014:** Webner, P. The dialectics of urban cosmopolitanism: between tolerance and intolerance in cities of strangers, Identities 22, 2014: 1-19

კრებულები და პერიოდიკული მასალა

1. **არხეონი IX**: კულტურის ცივილიზაციის ცნებათა განსხვავებული ასპექტები, თბ., 2015

2. **აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში**: სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2019

3. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება დაწესებულება- საარქივო სამმართველო : აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საერთაშორისო-**

სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“, 2009

4. **„დროება“**, 1879, № 40
5. **„დროება“** , 1880, №168
6. **„ივერია“** 1886: №197
7. **ისტორიანი:** №12 , თბილისი, 2014
8. **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები**, ტომი I, თბ., 2007
9. **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები - აჭარა,** III, ბათუმი, 2008
10. **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები - აჭარა,** IV, ბათუმი 2012
11. **საქართველოს ისტორიის ნარკვევები,** V, თბ., 1970
12. **საქართველოს ისტორიის ნარკვევები,** VI, თბ., 1970
13. **Внешняя политика России XIX и начало XX века,** Москва, 1976
14. **История дипломатии, т. II,** Москва, 1945
15. **Мирные переговоры в Брест-Литовске,** Москва, 1920
16. **Русско-турецкая воина 1877-1878 гг.,** Москва, 1977
17. **Собрание законов СССР,** Москва, 1932

ელექტრონული მასალები:

1. http://kulturiskvlevebi.weebly.com/432143044325430443204311430943084314431743214321-431343234314432243234320432343 14ndash433043124309431243144312431043044330431243234320431 2-4306430443207.html
2. https://ge.boell.org/ka/2017/05/05/ase-shors-da-mainc-ase-axlos-evropis-saxe-xati-sakartveloshi-ideata-

istoria?fbclid=IwAR00eJouB1R2u16F1uouFf2bWu4D3PGMqFx2Bjo5TXtzPGXQpwocwj0_uqA

3. http://el.ge/uploads/30917/Iveria_1886_N197-(1).pdf
4. http://www.archives-ajara.gov.ge/text_files/en_file_170_1.pdf
5. http://www.archives-ajara.gov.ge/text_files/en_file_170_1.pdf
6. https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/
7. http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/socialuri-instituti-468
8. http://culturedialogue.com/resources/library/civilresearches/journals/3.pdf
9. http://www.culturedialogue.com/resources/library/terms/dasavletidaagmosavleti.shtml
10. http://kulturiskvlevebi.weebly.com/
11. http://www.culturedialogue.com/resources/library/civilresearches/index.shtml
12. http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/
13. https://www.gfsis.org/files/my-world/1/saberdzneti.pdf
14. http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/evropa_rogorc_maswavlebeli.pdf
15. https://www.flickr.com/photos/csem_archives/albums/72157707231432415?fbclid=IwAR2VTImPpGvhZhu4FoOrRompCdRt1HWpqzTAvHi0cbgIdIq8dR4tagwG3i4
16. https://intermedia.ge/სტატია/100220-კასტელის-ნახატები-მე-17-საუკუნის-საქართველოსა-და-ქართველების-აღწერით/89/
17. http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/transformation-theoretical-aspects.pdf